The New ECONOMIST

Quarterly International Scientific-Practical Journal, Precise and Reviewed

N1-2, 2020

ISSN 1512-4649

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ახალი ეკონომისტი

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" რეფერირებულია:

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში „ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) HAS BEEN REVIEWED:

In "Georgian Reviewed Magazine" – P.L.L.E. Institute of Techinform

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, (ბიზნესის სკოლა ESM);
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ნურსულტანი).

ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, (Business School ESM);
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Nursultan).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;

ელ-ფოსტა: editor@neweconomist.ge
ვებ-გვერდი: www.neweconomist.ge; www.loi.ge

ADDRESS: 5 Jorjadze str.,
0105, Tbilisi, Georgia
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;

E-mail: editor@neweconomist.ge
web-site: www.neweconomist.ge; www.loi.ge

ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №1-2 (56-57), 2020

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;
საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე;
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბესაძე(თსუ); ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელგერდ ბატიაშვილი; გივი ბედიანაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის შ. რუსთაველის სახელმფიფო უნივერსიტეტი); სიმონ გელაშვილი; რამაზ გერლიანი; რევაზ გველესიანი; ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე; სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); მერაბ კაკულია; რევაზ კვატაშიძე (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); ალექსანდრე კვაშილავა; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ენვერ ლაგვილავა; ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-ბაგრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მექვაბიშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია; სოლომონ პავლიაშვილი (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); ვახტანგ სართანია; ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა; გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); ლაშა ტაბატაძე (პასუხისმგებელი მდივანი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); ეკატერინე შაკიაშვილი; თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერძეზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; ვასილ ხიზანიშვილი (თელავის უნივერსიტეტი); დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ივანე ჯაგოდნიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია; მიხეილ ჯიგუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნანა ჯღარკავა.

სტატიაზე, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

© ჟურნალი „The New Economist“, „ახალი ეკონომისტი“, 2020წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 10 ლარი

The New ECONOMIST

QUARTERLY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL,

PRECISE AND REVIEWED N1-2(56-57), 2020.

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration,
Professor of Georgian Tecnical University;
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI; ROSTOM BERIDZE (Batumi state university); SIMON GELASHVILI; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI; VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Belarusia State University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE (Head of Budget and Finance Committee of Parliament of Georgia); KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; NUGZAR NADARAIA (President of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA; ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA; GELA SVIRAVA; LASHA TABATADZE (Risponsible Secretary); DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University); MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA; MICHAEL JIBUTI (Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

მეცნიერება

ენვერ ლაგვილავა

კადრების მომზადების სისტემის ტრანსფორმაცია ციფრული ეკონომიკის პირობებში ----- 7

ჯამლეტ ჯანჯღავა

ეკონომიკური გამოწვევები საქართველოში ---------- 20

ლაშა ტაბატაძე

თანამედროვე მენეჯმენტის თეორიის ახალი ხედვა ---------- 29

რევაზ ლორთქიფანიძე, ნინო მაღრაძე

საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტები
კორონავირუსის შემდგომ ინფორმაციულ ეპოქაში ---------- 33

ლაშა მგელაძე

მკვდრადშობილი საჯარო სამსახურის სისტემის მაკოორდინირებელი ინსტიტუტი -------- 36

თემურ მონიავა

ტყის, როგორც გარემოს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობის ელემენტის
მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად განხორციელებული ღონისძიებების
ეფექტურობის პრობლემა თანამედროვე საქართველოში ---------- 41

ეკატერინე ლომია

„ახალი მსოფლიო წესრიგის“ ისტორიული ნარატივები ---------- 46

ეკატერინე გიგოლაშვილი

საქართველოში საწარმოების განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის
ხელშემშლელი მიზეზები და მათი გადაჭრის გზები ---------- 54

ირაკლი პეტრიაშვილი

კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტები საქართველოში------- 65

სალომე ციმაკურიძე

ეფექტური გადაწყვეტილების მიღება თანამედროვე ორგანიზაციებში ---------- 71

თემურ მონიავა

ტყის ექსპლუატაციის პროცესში მცენარეული საფარისათვის მიყენებული ეკოლოგიური
ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი ფორმების გამოყენების თაობაზე დასკვნები და
ამ მიმართებით არსებული ვითარების სრულყოფასთან დაკავშირებით წინადადებები --- 76

თამარ ქარაია

ჟურნალისტიკის ენა და მისი შეცვლის მიზეზი ---------- 80

SCIENCE

ENVER LAGVILAVA
Transformation of the Personnel Training System in the Conditions of Digital Economics ----- 7

JAMLET JANJGAVA
Economic Challenges in Georgia----------20

LASHA TABATADZE
The New Vision of Modern Management Theory ----------29

REVAZ LORDKIPANIDZE, NINO MAGHRADZE
Priorities of the Georgian Economy in the Post-coronavirus Information Age ----------33

LASHA MGELADZE
Unproductive Public Service System Coordinating Institute ----------36

TEMUR MONIAVA
The Problem of the Effectiveness of Measures Implemented in the Present-Day Georgia to Preserve the Forest Diversity as an Element of Global Ecological Importance for the Environment ----------41

EKATERINE LOMIA
Historical narratives of the "New World Order" ----------46

EKATERINE GIGOLASHVILI
Reasons Hindering Enterprise Development and Internationalization and the Ways for their Elimination in Georgia----------54

IRAKLI PETRIASHVILI
Capital Adequacy Standards in Georgia----------65

SALOME TSIMAKURIDZE
Effective Decision Making Process in Modern Organizations ----------71

TEMUR MONIAVA
Conclusions with regard to the application of the legal forms of compensation for environmental damage caused to vegetation during forest exploitation and suggestions for improving the situation in this regard----------75

TAMAR KARAIA
Language of Journalism – The Reason It Alters ----------80

კადრების მომზადების სისტემის ტრანსფორმაცია ციფრული ეკონომიკის პირობებში

ენვერ ლაგვილავა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა enver.lagvilava@tsu.ge

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია ციფრული ეკონომიკისთვის კვალიფიციური კადრების მომზადების თავისებურებები, კრიტიკულადაა შეფასებული დღეისთვის მსოფლიოში ინფორმაციული საზოგადოების მშენებლობის მოდელები, აღნიშნულია ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი ციფრული ეკონომიკის განვითარებაში, ჩამოყალიბებულია განათლების სისტემისადმი შრომის ბაზრის მოთხოვნები, ხაზგასმულია ციფრული ეკონომიკის პირობებში სხვადასხვა სექტორში პროფესიების მოძველებასა და ახლის წარმოშობის ტენდენციებზე, აღნიშნულია, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების მიერ გამოშვებული კადრების განათლების ნაწილობრივ დაბალი დონისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო უმუშევართა დიდი ნაწილი მოდის უმაღლესი და საშუალო პროფესიული განათლების სპეციალისტებზე, განხილულია სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ელექტრონულ სწავლებაში ინტერნეტ და მობილური ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები, აღნიშნულია, რომ ციფრული ეკონომიკის პირობებში საქართველოს უმაღლეს სასწავლებლების სასწავლო გეგმებში შეტანილი უნდა იქნეს პროფესიული ინფორმატიკის დისციპლინები, ხაზგასმულია განათლების მიღების, როგორც უწყვეტი პროცესის აუცილებლობაზე, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ადამიანმა პროფესიული საქმიანობის პარალელურად დამატებით მიიღოს განათლება, ძირითადად არაფორმალური სწავლების ფორმების გამოყენებით.

სტატიაში კვლევის შედეგები წარმოდგენილია დასკვნების სახით: *სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების საფუძველზე წარმოქმნილ თანამედროვე სპეციალობების ფორმირებას; უნდა გაფართოვდეს და სრულყოფილი იქნეს* ***on-line*** *განათლების მიღება; საჭიროა ციფრული ეკონომიკის მოთხოვნის შესაბამისად გამოვლინდეს პერსპექტიული და არააქტუალური პროფესიები და სპეციალობები; ქვეყნის ინფორმატიზაციის განვითარების დაჩქარების მიზნით აუცილებელია ამაღლდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტების კვალიფიკაციის დონე და გაიზარდოს მათი რიცხვი; შრომის ბაზრის მოთხოვნილებიდან გამომდინარე აუცილებელია ეკონომიკის, ბიზნესისა და სხვა სფეროებში მომუშავე კადრების კომპიუტერული განათლების და კულტურის ამაღლება; უნდა გაფართოვდეს არასაწარმოო სფეროში დასაქმებულთა დისტანციური მუშაობის ფორმები და საშუალებები; ციფრული ეკონომიკის მოთხონებიდან გამომდინარე უნდა გადაიხედოს და ცვლილებები შევიდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორში; კადრების მიმართ ციფრული ეკონომიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიერ წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე სრულყოფას საჭიროებს უმაღლესი სასწავლებლების კურუკულუმები და სილაბუსები; შრომით ბაზარზე პერსპექტიული სპეციალობებისა და პროფესიების კადრებზე მოთხოვნის პროგნოზირების მიზნით საჭიროა ფართოდ დაინერგოს ფორსაითი.*

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული საზოგადოება, შრომის ბაზარი, ციფრული ეკონომიკა, ელექტრონული სწავლება, არაფორმალური სწავლება.

საზოგადოების ინფორმატიზაციის თანამედროვე ეტაპზე შრომის ბაზარზე მიმდინარეობს არსებითი ცვლილებები. შრომის ბაზარი ინდივიდისგან მოითხოვს მაღალტექნოლოგიურ კომპეტენციებს. იცვლება შრომითი საქმიანობის ფორმები. საზოგადოების ინფორმატიზაციისა და ციფრული ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელება მნიშვნელოვნად ცვლის შრომის ხასიათსა და ორგანიზაციას, განსა-

კუთრებულ მოთხოვნებს უყენებს დასაქმებულთა ცოდნასა და კომპეტენციებს. ციფრული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება იწვევს ახალ ციფრულ უნარ-ჩვევებზე მოთხოვნების ზრდას. შრომის ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები ყალიბდება სერიოზული რისკებისა და გამოწვევების სახით, რომელთა შორის უმთავრესია: ახალი პროფესიების წარმოშობა, მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურის ცვლილება, აქამდე არსებული ბევრი პროფესიის გაუქმება, უმუშევრობის ზრდა, შრომითი საქმიანობის ფორმების ტრანსფორმირება. სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დასაქმების არაფორმალურ და არატრადიციულ ფორმებს, რომლებიც დაფუძნებულია დისტანციურ ტექნოლოგიებზე. გამოიკვეთა პრობლემები და ნაკლოვანებები განათლებისა და შრომითი კადრების მომზადების სფეროში. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უსწრაფესი ტემპებით განვითარებამ და მათმა დანერგვამ ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში, მოახდინა შრომის ბაზარზე არსებითი გავლენა – იცვლება მისი სტრუქტურა და შრომის ბაზრის სუბიექტებს შორის ყალიბდება ურთიერთობის ახალი ფორმები. თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა გახდა დასაქმებულის მიმართ მთავარი მოთხოვნა. ამ პროცესებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა თანამედროვე ადამიანის ცხოვრების სოციალურ სფეროში.

სტატიაში გამოკვლეულია ციფრული ეკონომიკის ძირითადი გამოწვევებიდან გამომდინარე ახალი რეალობა – შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის მკვეთრად ზრდის მიმართულებით. შემოთავაზებულია კადრების მომზადების პერსპექტიული მიმართულებები და კადრების მომზადებაში არსებული გამოწვევების დაძლევის წინადადებები და დასკვნები.

ციფრული საზოგადოების პირობებში სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროში ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები. სულ უფრო იზრდება მოთხოვნა განათლების მაღალი დონის მქონე ადამიანებზე. შრომის ბაზარზე იკვეთება გარკვეული შეუსაბამობა კადრებზე მოთხოვნასა და განათლების არსებული სისტემის მიერ მომზადებული სპეციალისტების სტრუქტურულ, თვისებრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებს შორის. შესაბამისად, სულ უფრო აქტუალური ხდება განათლებისა და კადრების მომზადების სისტემის სრულყოფა თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების გამოყენებით.

დღეისთვის განსაკუთრებით თვალშისაცემია შრომის ბაზრის შემდეგი მახასიათებლები:

- ინფორმაციულ სფეროში დასაქმებულ თანამშრომელთა ხვედრითი წილის ზრდა;
- დასაქმებულთა ცოდნასა და კვალიფიკაციაზე მოთხოვნათა ზრდა;
- არაფორმალური დასაქმებისა და განათლების მნიშვნელობის ზრდა.

ყოველივე ზემოაღნიშნული მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებებს შრომის ბაზრისა და განათლების სისტემაში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მიმართულებით. „თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა გახდა დასაქმებულის მიმართ მთავარი მოთხოვნა. თუმცა ამასთან დაკავშირებულმა დასაქმების სხვა ფორმებმა შექმნეს გარკვეული გამოწვევები და რისკები, რომელთაც უნდა გავუმკლავდეთ ისევ მაღალი პროფესიული უნარების შეძენისა და განათლების ინოვაციური ფორმების შემოღებით“ [18].

საზოგადოების ინფორმატიზაციისა და ციფრული ეკონომიკის ფორმირების პროცესი ურთულესი სოციალური, სამეცნიერო-ტექნოლოგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესია, რომელშიც პირდაპირ თუ ირიბად, ჩართულია ქვეყნის მოსახლეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი [1].

დღევანდელ ეტაპზე ქვეყნის ინფორმატიზაციასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ციფრული (ქსელური) კონომიკის, ცნებები. ტერმინი ციფრული ეკონომიკა პირველად 1995 წელს გამოიყენა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მეცნიერმა ნიკოლას ნეგროპონტემ. მისი განმარტებით „ციფრული ეკონომიკა ეს არის სამეურნეო საქმიანობა, რომელშიც წარმოების ძირითადი ფაქტორია ციფრული სახის მონაცემები, რომელთა დიდი მოცულობების დამუშავება და მათი ანალიზის შედეგების გამოყენება მეურნეობრიობის ტრადიციულ ფორმებთან შედარებით საშუალებას იძლევა არსებითად გაიზარდოს სხვადასხვა სახის წარმოების, ტექნოლოგიების, მოწყობილობების შენახვის, გაყიდვის, საქონლის და მომსახურების მიღების ეფექტიანობა“[20].

ციფრული ეკონომიკის განვითარების დღევანდელი მდგომარეობა საშუალებას იძლევა ციფრული ეკონომიკის ზემოაღნიშნული განმარტება გადმოვცეთ რამდენადმე განსხვავებული სახით, სადაც პრიმატი ეკუთვნის ინფორმაციული ტექნოლოგიებს. ამ თვალსაზრისით ციფრული ეკონომიკა არის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ციფრული კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასთან, სადაც არსებით როლს თამაშობს **online** მომსახურებასთან დაკავშირებილი სერვისები: ელექტრონული გადახდები, ინტერნეტ-ვაჭრობა, კრაუდფანდინგის მოედნები, ელექტრონული კომერცია, ინტერნეტ-ბანკინგი, ინტერნეტ-რეკლამა და ა. შ. [19].

აღნიშნული განმარტებებიდან თვალშისაცემია ციფრული ეკონომიკის სიახლოვე ელექტრონულ

მმართველობასა და ელექტრონულ მთავრობასთან. ელექტრონული მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო სერვისების ელექტრონული ფორმით მიწოდებას. სისტემაში დასაქმებული ადამიანების უმთავრესი კომპეტენციაა კომპიუტერული უნარ-ჩვევები. ელექტრონული მთავრობა ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, მათ შორის დისტანციურ-ქსელური ფორმით. იგი ხელს უწყობს ინტერნეტ-ბაზრის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სახით ინტერნეტკომპანიების განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დასაქმებისა და ქვეყნის ეკონომიკის ზრდას.

ინფორმაციული საზოგადოებისა და ციფრული ეკონომიკის შენება და განვითარება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარეობს განსხვავებული მიდგომებით, ორიენტირებით, მიზნებით, განხორციელების მეთოდებით და ტემპებით. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მიერ ინფორმაციული საზოგადოების განვითარების, ძირითადი გამოწვევებისა და თანმხლები სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკის მიხედვით იყოფა 3 ჯგუფად [8]:

- სილიკონის ველის მოდელი;
- სინგაპურის მოდელი;
- ფინური მოდელი.

– პირველი მოდელის მართვაში სახელმწიფო ნაკლებად მონაწილეობს. იგი ძირითადად აშშ-ში ფუნქციონირებს. იგი ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული მოდელია, თუმცა არ არის სოციალურად ორიენტირებული, არ გააჩნია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სოციალური სერვისები.

– სინგაპურის მოდელი ძირითადად აზიის ქვეყნებში, ჩინეთსა და ინდოეთში მოქმედებს და იმართება სახელმწიფოს მიერ. იგი გათვლილია იაფი სამუშაო ძალის ბაზრებზე.

– ფინური მოდელი წარმოადგენს ინფორმაცი-ული საზოგადოებისა და სოციალური სახელმწიფოს კომბინაციის ევროპულ ვარიანტს. განვითარებული ევროპული მოდელი გულისხმობს ადამიანთა პერსონალურ მომსახურებაზე ორიენტაციას, თანაბარი პირობების შექმნას განათლებაზე, საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებასა და დასაქმების შესაძლებლობების განვითარებაზე და ზოგადად, ციფრული (ახალი) ეკონომიკის შექმნაზე. დანარჩენს ბიზნესი და ბაზარი დაარეგულირებს. ევროპული მოდელი უდევს საფუძვლად საქართველოს ინფორმაციული საზოგადოების მშენებლობის ფუნდამენტურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ პრინციპებს.

ინფორმატიზაციის სოციალური შედეგების ანალიზის მიზნით ფართოდ იყენებენ შვეიცარიელი მეცნიერის კ. ხესიგის ცხრილს „ინფორმატიზაციის შედეგები საზოგადოების სარკეში" [17], რომელშიც წარმოდგენილია ინფორმატიზაციის შედეგების სისტემური ანალიზი. შვეიცარია წარმოადგენს მაგალითს, სადაც ინფორმატიზაციის პროცესი მიმდინარეობს კლასიკური ევროპული მოდელის მიხედვით, წარმატებულად. ცხრილში ასახულია მოსახლეობის გამოკითხვის მაჩვენებლები, რომლებშიც გამოვლენილია ინფორმატიზაციის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ინფორმატიზაციის პროცესის განვითარებისა და გაღრმავების პარალელურად საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მუდმივი ორგანიზაციულ-სამმართველო ღონისძიებების გატარება ნეგატიური შედეგების შერბილების თვალსაზრისით. სოციალურ-შრომით სფეროში პერმანენტულად უნდა ტარდებოდეს შრომითი ურთიერთობების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან მისი დაახლოების მიმართულებით [9].

ინფორმატიზაციის სოციალური შედეგები არის რეალური და პროგნოზირებადი ცვლილებები საზოგადოებაში, რომელიც მიმდინარეობს ინფორმატიზაციის გავლენით. ცნება „სოციალური" შეიძლება განვიხილოთ ფართო და ვიწრო გაგებით. სოციალური ფართო გაგებით შეიძლება გავაიგივეოთ ცნებასთან „საზოგადოებრივი". ამ შინაარსით ინფორმატიზაციის წანამძღვრების, პირობებისა და შედეგების განხილვა ფაქტობრივად წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ანალიზს ინფორმატიზაციის მიმდინარეობისა, მისი აღქმისა და ინტეგრაციის, ასევე განვითარებისთვის მზადყოფნის თვალსაზრისით. ვიწრო გაგებით სოციალური შეიძლება განვიხილოთ როგორც სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინფორმაციული მოთხოვნების თავისებურებები, ინფორმატიზაციის პროცესისადმი მათი მზადყოფნის დონე, სოციალური სტრუქტურა მისი ინფორმატიზაციის პროცესებთან მიმართების თვალსაზრისით [13].

შრომის ბაზარზე ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენა მნიშვნელოვანი სამეცნიერო-პრაქტიკული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა, რომელსაც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მიექცა გამორჩეული ყურადღება. 2000-იანი წლებიდან ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესაბამისად აღნიშნული პრობლემის კვლევამ შეიძინა გაცილებით მეტი აქტუალობა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული ინოვაციური ტექნოლოგიების ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში საყოველთაო ინტეგრაციამ გამოიწვია არსებითი ცვლილებები უპირველეს

ყოველისა, ეკონომიკის, ბიზნესის, მენეჯმენტისა და განათლების სფეროებში. ინფორმაციული ტექნოლოგიების, ბიზნესისა და შრომითი რესურსების ურთიერთმიმართებაში გაჩნდა ახალი მოვლენები, პრობლემა გახდა კომპლექსური, მრავალწახნაგოვანი. ციფრული ტექნოლოგიების მაღალმა დონემ განაპირობა ე. წ. ქსელური ეკონომიკის ჩამოყალიბება. დღევანდელი საწარმოები არ არიან კონცენტრირებული ერთ ადგილზე, იქმნება საწარმოთა ქსელები, რომლებიც ტერიტორიულად დაშორებულია მანძილის შეუზღუდავად, ამასთანავე კომუნიკაციები ხორციელდება დროის რეალურ რეჟიმში. მენეჯმენტის ნებისმიერ დონეზე რეალიზებულია პირდაპირი კავშირი ქსელის ნებისმიერ ელემენტზე, მნიშვნელოვნად იზრდება შრომის ნაყოფიერება, ინერგება ინფორმაციული ლოჯისტიკის მაღალი დონე, მცირდება მმართველობითი ოპერაციების შესრულების დრო, გამონთავისუფლდება დროითი და შრომითი რესურსები საწარმოს სხვა საჭიროებებისთვის, სწავლების ინტელექტუალიზაციის შედეგად მცირდება პერსონალის სწავლებისა და გადამზადების ხარჯები [9].

ასეთ პირობებში შრომის ბაზარზე სულ უფრო მეტი მოთხოვნაა განათლების მაღალი დონის მქონე ადამიანებზე. მათ მოეთხოვებათ ჰქონეთ სწავლის სურვილი და უწყვეტი სწავლისთვის მზადყოფნა, გააჩნდეთ შემოქმედებითი მიდგომები და ინფორმაციასთან მუშაობის უნარები.

დღეისთვის შრომის ბაზრის, ადამიანური რესურსებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მეცნიერულ კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებსა და პროექტებში. რეალური მდგომარეობის შეფასებისა და პერსპექტიული ღონისძიებების დასახვის მიზნით შემუშავებულია სხვადასხვა მეთოდიკური და პრაქტიკული რეკომენდაციები. ამ მხრივ საყურადღებოა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მეთოდიკა, რომელიც ითვალისწინებს ადამიანური კაპიტალისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ინდექსების დადგენას. აღნიშნული ინდექსები ქვეყნდება რეგულირულად [13].

ადამიანური კაპიტალის განვითარების ინდექსი ითვალისწინებს 46 მაჩვენებლის ანალიზს, რომლებიც გაერთიანებულია 4 ჯგუფში [12]:

1. განათლება და პროფესიული მომზადება;
2. ჯანმრთელობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება;
3. შრომითი მოწყობა და დასაქმება;
4. ინფრასტრუქტურა, სამართლებრივი დაცვა, სოციალური მობილობა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ინდექსი ითვალისწინებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან წვდომას, მათი გამოყენების დონეს, მოსახლობის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნას. იგი ამასთანავე ითვალისწინებს იმ გარემოებებს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება ადამიანისგან მოითხოვს ახალ ჩვევებსა და უნარებს, იზრდება ინფორმაციის გაცვლის სისწრაფე, და ინდივიდის მიერ ინფორმაციის მოხმარების მოცულობა. ამ ინდექსებს შორის არსებობს უაღრესად მჭიდრო დამოკიდებულება იმ თვალსაზრისით, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების დონე მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანური კაპიტალის განვითარებასთან.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ თანამედროვე შრომის ბაზარი კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს განათლების სისტემას. ძირითადი მოთხოვნები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ:

- სახელმწიფოს დონეზე საგანმანათლებლო ორგანიზაციების დაფინანსების გაზრდა;
- თანამედროვე ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების სხვადასხვა ფორმების და მეთოდების დანერგვა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებათა სასწავლო გეგმებისა და პროგრამების განახლება, ახალი სპეციალობების დანერგვა;
- პროფესორ-მასწავლებელთა გადამზადება;
- ინფორმატიკის დისციპლინების სწავლების გაძლიერება ყველა სპეციალობაზე;
- მოსწავლეებში შემოქმედებითი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო უნარების განვითარება.

აღნიშნული ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესებს შრომის ბაზარზე კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრებით უზრუნველყოფას.

საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესის გაღრმავების პარალელურად იკვეთება შრომის ბაზრის შემდეგი ტენდენციები [16]:

- საწარმოებში შტატების ოპტიმიზაცია. საწარმოთა მიერ აუტსორსინგზე გამოტანილი ფუნქციების ზრდა;
- იმ სამუშაოებისა და ფუნქციების ზრდა, რომელთა შესრულება შესაძლებელია დისტანციურად;
- დისტანციური მუშაობის (ფრილანსის) ხვედრითი წილისა და საზოგადოებაში მის მიმართ ინტერესის ზრდა;
- გონებრივი (არამატერიალური) შრომის წილის ზრდა.

ყველა ეს ტენდენცია პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვასთან, დისტანციურად მთელი რიგი სამუშაოებისა და ფუნქციების შესრულებასთან. დისტა-

ნციური მუშაობა განვითარებულ ქვეყნებში უკვე მასობრივად ვითარდება. მაგ., შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2017 წელს გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, 2017 წლისთვის განვითარებულ ქვეყნებში დისტანცირად მომუშავეთა წილი შეადგენდა 17%-ს, აშშ-ში 37%-ს, იაპონიაში 32%-ს [10]. მოსალოდნელია ამ მაჩვენებლების სწრაფი ზრდა უახლოეს წლებში. განსაკუთრებით შემდეგი პროფესიის წარმომადგენლებში: პროგრამირება, დიზაინი, სარეკლამო საქმიანობა, საგამომცემლო საქმე, ანალიტიკა, ბუღალტერია, კომერცია და სხვა.

რადგანაც დისტანცური მუშაობა გამოკვეთილია როგორც არასაწარმოო სფეროში დასაქმების ყველაზე პერსპექტიული ფორმა, რომლის ხვედრითი წილი ძალიან სწრაფად იზრდება, მიზანშეწონილია კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი და დავაზუსტოთ მისი დადებითი მხარეები:

➢ მომუშავეთათვის მუშაობის უფრო კომფორტული პირობები: თავისუფალი გრაფიკი, ტრანსპორტირების ხარჯებისა და დროითი დანაკარგების არარსებობა;

➢ მოსახლეობის გარკვეული კატეგორიისთვის (რომელთაც სხვა პირობებში ეს შესაძლებლობები, სრულად ან ნაწილობრივ ჰქონდათ შეზღუდული) სრულყოფილი დასაქმების შესაძლებლობა (შშმ პირები, პენსიონერები, დედები მცირეწლოვანი შვილებით, სტუდენტები);

➢ დამსაქმებლის ეკონომია. საჭირო თანამშრომლის მოძებნის შესაძლებლობა გეოგრაფიული შეზღუდვების გარეშე.

აქვე უნდა აღინიშნოს დისტანციური მუშაობის უარყოფითი მხარეებიც [9]:

➢ სამუშაოს შესრულების კონტროლის გართულება;

➢ მოტივაციის შემცირების შესაძლებლობა;

➢ ინფორმაციული უსაფრთხოების რისკის ზრდა.

ცხადია, რომ ახალი ტექნოლოგიების, პროდუქტების, მართვის მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული ასპექტების განვითარებასთან ერთად გაჩნდება მოთხოვნილება ახალ სპეციალობებსა და პროფესიებზე. იზრდება ცვლილებების სიჩქარე და პროფესიული ამოცანების სირთულე. როგორ უნარებს, ცოდნას და კომპენტენციებს უნდა ფლობდეს მომავლის სპეციალისტი? შესაძლებელია დარგებისა და სფეროების მიხედვით ძირითადი მიმართულებების პროგნოზირება. დღეს ამ მიზნით მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში აქტიურად გამოიყენება ე. წ. ფორსაიტი **(foresight)** – მომავლის ხედვა, წინასწარ-განჭვრეტა) – სოციალური ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა სპეციალისტების მიერ მოხდეს ქვეყნების, რეგიონების, დარგების, მიმართულებების განვითარების პროგნოზი და გამოიკვეთოს პერსპექტიული სპეციალობები, პროფესიები, სათანადო უნარ-ჩვევები და კომპეტენციები [13]. ამასთანავე, სერიოზული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ე. წ. ზეპროფესიული, ანუ პროფესიათშორისი უნარებისა და კომპეტენციების ფლობას, მაგალითად, როგორიცაა: ეკოლოგიური აზროვნება, სისტემური აზროვნება, პროექტების მართვა, ადამიანებთან მუშაობა, ალგორითმული აზროვნება, დარგთაშორისი კომუნიკაციები და ა. შ. ეს კომპეტენციები მრავალფეროვანი, უნივერსალური და მნიშვნელოვანია ნებისმიერი სფეროს სპეციალისტისთვის. მათი ფლობა მომუშავეს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტიანი გახადოს თავის დარგში პროფესიული საქმიანობა. ამასთან, აძლევს შესაძლებლობას გადავიდეს ერთი დარგიდან მეორეში და მინიმალური ძალისხმევით შეინარჩუნოს მოთხოვნადობა [15].

პროფესიებიც იცვლებიან, ძველდებიან და კვდებიან. ეს ბუნებრივი პროცესია, რომელიც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ტექნოლოგიური ციკლის ნებისმიერი ცვლილებისას. თუ ადრე ციკლები გრძელდებოდა ათეულობით წლების განმავლობაში, ამჟამად მათი ხანგრძლივობა წარმოადგენს არაუმეტეს 10-15 წელს. თუმცა ეს პროცესი არ ხდება ერთბაშად. ამიტომ ფორსაიტი საშუალებას იძლევა, ამის შესახებ ცნობილი გახდეს რაც შეიძლება ადრე და მიღებულ იქნას სათანადო ზომები.

მომავლის პროფესიების პროგნოზირებისა და გამოკვეთის კვალდაკვალ იცვლება გარემომცველი უნარების სტრუქტურა. აღნიშნული უნარების ერთობლიობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მოცემულ სფეროში მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევების დონესთან. უნარები განსხვავდებიან აგრეთვე სფეროებისა და პროფესიული მიმართულებების მიხედვით.

ინფორმაციული და სხვა ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებამ შეცვალა ჩვენი ნარმოდგენები განათლების სისტემისა და ცოდნის მიღების ფორმების შესახებ. შეიცვალა განათლების, როგორც კონსერვატიული სფეროს შესახებ წარმოდგენები. მიმდინარეობს სასწავლო პროცესებისადმი მიდგომის სერიოზული გადაფასება. განათლების სფერო, უპირველეს ყოვლისა, სპეციფიკურია იმ თვალსაზრისით, რომ იგი განიხილება ორი მიმართულებით [15]: პირველი – განათლება, როგორც დარგი, სფერო, მართვის ობიექტი. ამ თვალსაზრისით განათლების სფეროს მიზანია მეცნიერებისა და სწავლების პროცესების წარმართვა სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადების სრულყოფის მიზნით. მეორე – განათლების სფერო, როგორც კვალიფიციური კადრების, სპეციალისტების გენერატორი და მიმწოდებელი

ნებისმიერი სხვა სფეროსთვის. შრომის ბაზრის სპეციალისტებით უზრუნველყოფა გულისხმობს ზემოაღნიშნულ ორივე მიმართულებას.

განათლების სფეროში ახალი ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის დადებითი შედეგებიდან უნდა გამოვყოთ ის უპირატესობები, რომლებიც უშუალოდ ორიენტირებულია პროფესიის ათვისების პროცესების სრულყოფაზე, უპირველეს ყოვლისა, მათი გამარტივების თვალსაზრისით. მაგალითად, განათლების ინდივიდუალიზაციის ხარისხის ამაღლება. მოსწავლისთვის აუცილებელი არ არის თავისი სწავლის ტრაექტორია დაუკავშიროს კონკრეტულ ჯგუფს. სწავლის პროცესი ადვილად ადაპტირდება კონკრეტული მოსწავლის მოთხოვნებთან და მის პირად შესაძლებლობებთან. შესაძლებელია სწავლის ფორმატისა და ტემპის შერჩევა, კონცენტრირება ცალკეულ, ვიწრო მიმართულების თემებზე ან პირიქით, ზოგადზე, ან დისციპლინათშორის განათლებაზე. დისტანციურმა განათლებამ წაშალა მანძილი მოსწავლეებსა და სასწავლებლებს შორის. უახლოეს პერიოდში დისტანციური განათლება გახდება ტრადიციული, დასწრებული განათლების სრულფასოვანი ალტერნატივა [14].

შრომითი რესურსების ბაზრის მოთხოვნები იმდენად სწრაფად იცვლება, რომ მოსწავლეთა (სტუდენტთა) უდიდეს ნაწილს არ სურს 4-5 წელი მოანდომოს თეორიული დისციპლინების სწავლას, შემდგომ კიდევ გარკვეული პერიოდი ეუფლებოდეს პროფესიას დამსაქმებლის ხარჯზე. ამიტომ პროფესიული, უმაღლესი და უმაღლესის შემდგომი კადრების გადამზადება ხდება უფრო ხანმოკლე და პრაქტიკაზე ორიენტირებული. აქცენტი კეთდება თეორიიდან მოსწავლეთა რეალურ მოთხოვნებზე, პროექტებსა და გეგმებზე. ვითარდება სწავლის ისეთი ფორმები, როდესაც სტუდენტს შეუძლია ერთდროულად მუშაობა და სწავლა.

ამრიგად, განათლების მიღება არ იქნება ცალკეული, განსაზღვრული ეტაპი ადამიანის ცხოვრებაში, არამედ ხდება უწყვეტი პროცესი, რომლითაც ადამიანი დაკავებულია მთელი ცხოვრების განმავლობაში. უწყვეტი სწავლების სისტემა გულისხმობს თავდაპირველად საბაზო ცოდნის მიღებას, ხოლო შემდგომ მთელი პროფესიული საქმიანობის პარალელურად დამატებითი განათლების მიღებას საჭიროების მიხედვით, სწავლების სხვადასხვა ფორმების გამოყენებით. სწავლის სიხშირე და ხანგრძლივობა დამოკიდებულია საქმიანობის სფეროსა და სხვადასხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორებზე. საბაზო განათლება ადამიანს აძლევს ფუნდამენტურ ცოდნას ძირითად მეცნიერებებში, დამატებითი კი გულისხმობს ცოდნას პროფესიული ინტერესების სფეროში ახალი მიღწევების შესახებ. მხოლოდ ამგვარი მიდგომით შეიძლება დღევანდელ დინამიურ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში შენარჩუნებულ იქნეს კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე [5]. ზოგიერთი ატორის აზრით თვით პროფესიის ცნება უკანა პლანზე გადადის. მას ცვლის უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობა, რომელიც თავის მხრივ, მოქნილი და ცვალებადია და რომელიც აუცილებელია კონკრეტული, პროფესიული ამოცანების გადასაჭრელად. ეს ერთობლიობა შეიძლება შეივსოს ახალი უნარებით სხვა პროფესიის ათვისებასთან დაკავშირებით.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ისტორიულად მოკლე დროში წარმოშვა ახალი პროფესიებისა და სპეციალობების მთელი სპექტრი. შედეგად, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მომუშავეთა პროფესიულ-კვალიფიკაციური სტრუქტურა რადიკალურად შეიცვალა [2]. უკანასკნელ წლებში ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით მოწინავე ქვეყნებში უკვე გამოჩნდა რიგი ახალი პროფესიებისა, რომლებსაც მომავლის პროფესიებს უწოდებენ და მათზე მოთხოვნა შრომის ბაზარზე სწრაფი ტემპებით იზრდება. ასეთ პროფესიებს შეიძლება მივაკუთვნოთ [12]:

on-line სწავლების სექტორში:

- **on-line** კურსების პედაგოგი;
- **on-line** კურსების ორგანიზატორი;
- სწავლების ინდივიდუალური ტრაექტორიების დამგეგმავი;
- საგანმანათლებლო **on-line** პლატფორმის კოორდინატორი;
- სტარტაპების მენტორი. სპეციალისტი, რომელიც საკუთარი პროექტების მაგალითზე ასწავლის სამეწარმეო საქმიანობას;
- მოდერატორი, პრობლემების ჯგუფური განხილვისა და კოლექტიური პრაქტიკული სწავლების სპეციალისტი;
- ტუტორი, პედაგოგი, რომელიც თვალყურს ადევნებს მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო ტრაექტორიის ფორმირებას, აძლევს კარიერული განვითარების რეკომენდაციებს და სხვა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში:

- ინფორმაციული სისტემების არქიტექტორი;
- ინტერფეისების დიზაინერი;
- ქსელური იურისტი;
- **BIG DATA** მოდელების შემმუშავებელი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტორი;
- ინფორმაციული უსაფრთხოების კურატორი და სხვა.

მენეჯმენტის სექტორში:

- ტაიმ ბროკერი;
- ტაიმ მენეჯერი;

• ფორსაიტერი;
• ვირტუალური ადვოკატი;
• პერსონალური ბრენდ-მენეჯერი;
• ინდივიდუალური ფინანსური ტრაექტორიების დამპროექტებელი;
• ონლაინ გაყიდვების მენეჯერი და სხვა.

ინფორმაციული საზოგადოების პირობებში საქართველოს შრომის ბაზრის კვლევის მიზნით სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ პერიოდულად ხორციელდება მიზნობრივი კვლევები და ქვეყნდება სათანადო შედეგები. თუმცა, აღნიშნული მონაცემები უმთავრესად ატარებს ზოგად ხასიათს და ვერ ასახავს ინფორმატიზაციის პროცესის შინაარსობრივი და თვისებრივი ცვლილებების დეტალიზაციის არსებულ პროცესს. გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ცხრილებში გადმოცემულია დინამიკა ისეთი მაჩვენებლებისა, როგორიცაა: პერსონალური კომპიუტერების რიცხვი, ელექტრონული ფოსტის არსებობა, ვებ საიტის არსებობა, **on-line** სერვისებით სარგებლობა და სხვა.

შრომის ბაზარზე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების კვლევისთვის საჭიროა ჩატარდეს ორგანიზაციების გამოკითხვა ციფრული ტექნოლოგიების უახლესი და პერსპექტიული მიმართულებების გათვალისწინებით. საჭიროა გამოვლენილ იქნეს ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ არა მხოლოდ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხობრივ და რაოდენობრივ დონეს, არამედ გვიჩვენებდეს ამისთვის საჭირო პროფესიებისა და სპეციალობების მიმართულებებსაც. მაგალითად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კვლევების ჩატარება ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა:

➢ კორპორაციული და სოციალური ქსელების გამოყენების ხარისხი;
➢ მონაცემთა შენახვის ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენება;
➢ ე-დოკუმენტებთან მუშაობის სისტემები;
➢ პროექტების მართვის სისტემების გამოყენება;
➢ ინტერნეტ-ბანკინგის გამოყენების ინტენსივობა და სხვა.

ციფრული საზოგადოების პირობებში სოციალურ-შრომითი ურთიერთობების შესწავლის უმთავრესი მიზანია თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების სფეროების, განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოვლენა და ყოველივე ამის საფუძველზე იმ სპეციალობებისა და პროფესიების გამოვლენა, რომელთა მიმართ შრომის ბაზარზე მოთხოვნა აშკარად იზრდება, ასევე პერსპექტიული პროფესიების გამოვლენა და ისეთი პროფესიებისა და სპეციალობების ფიქსაცია, რომლებიც კარგავენ აქტუალობას. დასაქმების ფორმების შესწავლა უნდა ხდებოდეს შეძლებისდაგვარად დეტალიზებულად. მაგ. ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მომუშავეთათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი დასაქმების ფორმები, როგორიცაა: დისტანციური მუშაობა **(teleworking**, **e-work**,) მუშაობა ღრუბლებში **(cloudworking)**, კრაუდსორსინგი **(Crowdsourcing),** კრაუდფანდინგი **(Crowdfunding),** ფრილანსი **(Freelance)**, დასაქმების მოქნილი ფორმები **(flexiblework),** ოფშორული ტელემუშაობა **(Offshore TV work)**, მომთაბარე (ხშირად ცვალებადი) საქმიანობა **(Nomadic activities)** და სხვა [12].

როგორც ვხედავთ, ინფორმაციული საზოგადოების პირობებში შრომის ბაზრის ფორმირების პროცესი სწრაფად ცვალებადი და დინამიურია. აქ მუდმივად მიმდინარეობს სამი ძირითადი პროცესი: „მოძველებულ“ პროფესიებზე მოთხოვნის შემცირება, ახალი პროფესიების წარმოქმნა და განვითარება, გარკვეული პროფესიების გარდაქმნა-ტრანსფორმაცია. თანამედროვე სპეციალისტების მომზადების ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს ციფრული უნარ-ჩვევების ფლობა [5]. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ მომავალი სპეციალისტის კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე სულ უფრო და უფრო იქნება დამოკიდებული ინფორმაციასთან მისი მუშაობის უნარებზე, ინფორმაციულ რესურსებთან წვდომის დონეზე.

ევროპის ქვეყნებში ციფრული უნარ-ჩვევები მიღებულია ძირითად კომპეტენციებად. ეს შეეხება არა მხოლოდ ციფრულ, არამედ ნებისმიერი სფეროს კომპეტენციებს. კომპეტენციების ცვლილების, განვითარების დინამიკის შესწავლა, ანალიზი წარმოადგენს შრომის ბაზრისთვის კვალიფიციური და რელევანტური კადრების მომზადების საფუძველს. ქვეყანაში კომპეტენციების განვითარება უნდა მოხდეს მისი პროგნოზირების საფუძველზე. არსებული კომპეტენციების შესწავლა და მომავლის პროგნოზირება ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების, დარგების, სექტორების მიხედვით და ითვალისწინებს კომპეტენციების დაჯგუფებას და შემდგომ მის ანალიზს შემდეგი სქემის მიხედვით:

➢ ახალი კომპეტენციები, რომლებიც განისაზღვრება იმ ახალი ამოცანებისა და პრობლემების მიხედვით, რომელთა გადაჭრა არსებული ცოდნისა და კომპეტენციების საფუძველზე შეუძლებელია;
➢ მოძველებული კომპეტენციები, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების გავრცელების გამო ხდება არაეფექტიანი;
➢ კომპეტენციები, რომელთა მოქმედების სფერო იცვლება ან გადანაწილდება სხვადასხვა სფეროებზე.

ევროკავშირის ქვეყნებში შემუშავებულია

ციფრული კომპეტენტურობის ჩარჩო-პროგრამა **digcomp** [11]. მის ფარგლებში გამოყოფენ ციფრული კომპეტენციების ჩარჩოებს: პედაგოგებისთვის **(Digkompedu)**, საგანმანათლებლო ორგანიზაციებისთვის **(digcomporg)**, მომხმარებლებისთვის **(digkompconsumers)** [22].

Digkompedu განკუთვნილია განათლების ყველა დონის მასწავლებლებისთვის დაწყებული ადრეული ბავშვობის ასაკიდან, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლებით **(formal education)** დამთავრებული; სპეციალური საჭიროებით განათლება, იგივე თვითსწავლა ტრენინგებით, კურსებით, ფორმალური განათლების სისტემის გარეთ **(non formal education)**; არაორგანიზებული და არასტრუქტურირებული, ცოდნის შეძენა დაუგეგმავად, ცხოვრებისა და მუშაობის პროცესში **(informal learning).**

ფორსაიტის შედეგები საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს ახალი მოთხოვნები რომლებიც წაეყენება კომპეტენციებს ყველა პროფესიისა და კვალიფიკაციის მიხედვით. აქვე გამოჩნდება და დაზუსტდება კომპეტენციები და მოთხოვნები ისეთი პერსპექტიული მიმართულებებისა, როგორიცაა: ღრუბლოვანი ტექნოლოგიები, ბლოკჩეინ ტექნოლოგიები, ვირტუალური რეალობა, ხელოვნური ინტელექტი, **BigData** და სხვა.

პროფესიების მოთხოვნა-მიწოდების სტატისტიკა და ანალიზი საქართველოს შრომის ბაზარზე დღეისთვის არ არის საკმარისად შესწავლილი. ფორსაიტისა და შესაბამისი ანალიზის შედეგები შესაძლებლობას მოგვცემს შევისწავლოთ ის შეუსაბამობა, რომელიც არსებობს კადრების მოთხოვნასა და განათლების სისტემის მიერ მომზადებული სპეციალისტების თვისებრივ, სტრუქტურულ და რაოდენობრივ მახასიათებლებს შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება იმის დადგენა, თუ რომელ სფეროში გვაქვს სპეციალისტების დეფიციტი და რომელში იქნება მოთხოვნები მომავალში.

საქართველოს შრომის ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპეციფიკური მახასიათებელია ე. წ. დიპლომირებული სპეციალისტების დიდი ხვედრითი წილი. მათ უმრავლესობას გააჩნია უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება. მოსახლეობის აღნიშნულ კატეგორიაში აღინიშნება უმუშევრობის შედარებით მაღალი დონე. ჩვენი აზრით ეს მოვლენა განპირობებულია ორი ძირითადი ფაქტორით: პირველი, შრომის ბაზარზე ნაკლებია მოთხოვნა მიღებული განათლების შესაბამის პროფესიებზე. მეორე, მათ მიერ წლების წინ მიღებული ცოდნა და კომპეტენციები არ აკმაყოფილებს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული კიდევ უფრო აშკარად აჩვენებს დიპლომის შემდგომი განათლების, პერსონალის განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მნიშვნელობას. მაშასადამე, უფრო მზარდი ტემპებით უნდა განვითარდეს სწავლების ინოვაციური ფორმები და მეთოდები. ინოვაციური მეთოდები მოიცავს კადრების სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ისეთ მიდგომებს, ტექნოლოგიებსა და ფორმებს, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან არსებული და გამოყენებული პრაქტიკისგან და ამ ეტაპზე ნაკლებად ან პრაქტიკულად არ გამოიყენებიან. ინოვაციური მეთოდები ემყარება არაფორმალური და არასააუდიტორიო სწავლების ინტენსიურ გამოყენებას. მათი მიზანია ცოდნის მიღების შესაძლებლობა უფრო მოხერხებული ფორმით, ნებისმიერ ადგილზე, ამასთანავე მიღწეული იქნას უწყვეტი განათლებისა და განვითარების შესაძლებლობა. არაფორმალურ სწავლებაში ამჟამად სულ უფრო ფართოდ იყენებენ ისეთ უახლეს მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, როგორიცაა: ელექტრონული სწავლება, კოუჩინგი, მეტაფორული თამაშები, კინო-ტრენინგები, ვირტუალური ტრენაჟორები, კომპიუტერული თამაშები, სოციალური ქსელები, სწავლება მუშა ჯგუფებში, ქსელური ურთიერთობების ანალიზი და სხვა [15].

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განათლების რეფორმირების პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასა და ელექტრონული სწავლების **(e-Learning)** ფართოდ დანერგვასთან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ **e-Learning**-ის ცნების ქვეშ უპირატესად განიხილება სწავლების (განათლების) სფეროში ელექტრონული ტექნოლოგიების ფართო სპექტრის გამოყენება, სადაც უპირატესი როლი ენიჭება ინტერნეტ-ტექნოლოგიებს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში სწავლების სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებისა და განვითარების პრობლემები შეისწავლება მეცნიერების სხვადასხვა დარგებისა და მიმართულებების მხრიდან სწავლების ყველა საფეხურზე – დაწყებითი განათლებიდან, საუნივერსიტეტო და უმაღლესის შემდგომი განათლების ჩათვლით, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე კორპორაციულ დონეზე. სპეციალურ ლიტერატურაში ელექტრონული სწავლების სინონიმებად ან მასთან შინაარსობრივად ყველაზე ახლოს მდგომი ცნებებად მოიაზრება: ინტერნეტ-განათლება, დისტანციური განათლება, ქსელური განათლება, ღია განათლება, ტელეგანათლება, კომპიუტერული სწავლება, ვირტუალური სწავლება, web-სწავლება და სხვა [4].

ამ ეტაპზე საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება მობილური სწავლება **(mobile learning)** მობილური ტელეფონების, **i-pad** მოწყობილობების, პლანშეტების და

ა. შ. გამოყენებით. მისი პოპულარობა განაპირობა მობილური ტექნოლოგიებისა და საყოველთაოდ მისაწვდომი, მოხერხებული მოწყობილობების სწრაფმა განვითარებამ. აღნიშნული სწავლება ფართოდ გავრცელდა შიდა კორპორაციული სწავლების სფეროში. მობილური სწავლების ძირითადი ღირსებებია:

- ნებისმიერ მოწყობილობაზე სწავლების შესაძლებლობა;
- ფორმალურ სასწავლო საიტებზე თავისუფალი წვდომის შესაძლებლობა;
- მოხერხებული და მაქსიმალურად ინდივიდუალიზებული კონტენტის არსებობა;
- კორპორაციულ ინტერესებზე მორგება;
- **of-line** წვდომის შესაძლებლობა.

მობილური ტექნოლოგიებისა და სწავლების ტელესაკომუნიკაციო სისტემების განვითარებამ შესაძლებელი გახადა კორპორაციული სოციალური ქსელების შექმნა. იგი წარმოადგენს ცოდნის გავრცელებისა და მართვის ახალ ფორმას. კორპორაციული სოციალური ქსელი წარმოადგენს პორტალს გარკვეული მიზნობრივი ჯგუფისთვის, რომელიც შექმნილია სოციალური ქსელის პრინციპით და გააჩნია მონაწილეთა ურთიერთობების გაფართოებული შესაძლებლობები. კორპორაციული სოციალური ქსელების გამოყენება აქტიურად ხდება როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე გარე აუდიტორიისთვის, პარტნიორებისთვის, კლიენტებისთვის და ა. შ. ეს ტექნოლოგია საშუალებას იძლევა სასწავლო მიზნით ჩატარდეს ვიდეოკონფერენციები, ტელეკონფერენციები, პრეზენტაციები.

ინტერნეტის ქსელის განვითარებასთან ერთად დისტანციური სწავლების შემდგომმა სრულყოფამ, განსაკუთრებით **on-line** სწავლების და მულტიმედიის უახლოეს მიღწევებზე ორიენტაციამ, წარმოშვა კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების ახალი, უფრო მაღალი საფეხური – ელექტრონული სწავლება **(e-learning).** განათლებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების იუნესკოს ინსტიტუტი მას განმარტავს როგორც მულტიმედიის ახალი ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გამოყენებას სწავლების ხარისხის ასამაღლებლად რესურსებზე და სერვისებზე წვდომის გაუმჯობესების, ცოდნის დაშორებული გაცვლის და მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივი მუშაობის საშუალებით [3].

საქართველოში როგორც კერძო კომპანიებში, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ფორმების გამოყენება არ არის სათანადო დონეზე. ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების უმთავრესად გავრცელებული ფორმაა დისტანციური სწავლების შედარებით მარტივი ფორმები. ეს გარემოება განპირობებულია მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით. ძირითადი ობიექტური მიზეზებია ფინანსური სახსრების უკმარისობა და ტექნიკურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის არასაკმარისი დონე. ხოლო ძირითადი სუბიექტური მიზეზია ხელმძღვანელობისა და მენეჯერების მხრიდან ცოდნისა და კვალიფიკაციის სრულყოფის საქმეში ინოვაციური ტექნოლოგიების როლის შეუფასებლობა. პერსონალის სწავლების პერსპექტიულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს ინტეგრირებული სასწავლო-პრაქტიკული პროგრამების რეალიზაცია, რომელიც დაეფუძნება თვით კომპანიებისა და უწყებების მიერ შექმნილ კურსებს, რომლებიც მოიცავენ თეორიულ სწავლებას, პრაქტიკულ მუშაობასა და კვალიფიკაციის მინიჭებას [7].

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი. 2018." მოცემულია **HR**-ის ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფისთვის [6]:

- კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში;
- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებაზე გადასვლის მიზნით კერძო სექტორისა და პროფესიული სასწავლებლების თანამშრომლობის წახალისება;
- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი საკვალიფიკაციო სისტემის ჩამოყალიბება;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაწეული ხარჯების აუცილებლობის შესახებ;
- სასწავლო პროცესის სრულყოფა მოსწავლეებსა და სტუდენტებში სამეწარმეო უნარების ჩამოყალიბების მიმართულებით;
- ახალგაზრდებში სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბება;
- მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მწარმოებელი საწარმოებისა და შესაბამისი სპეციალისტების მომზადების წამახალისებელი ღონისძიებების გატარება.

მოცემული რეკომენდაციები სამართლიანია, არა მხოლოდ პროფესიული, არამედ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აკადემიური სწავლების საფეხურებისთვისაც. ერთი შეხედვით, ეს რეკომენდაციები ზოგადი ხასიათისაა და გათვლილია დროის შედარებით ხანგრძლივ პერიოდზე. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით გადაუდებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, როგორც სახელმწიფო, ისე ბიზნეს სტრუქტურების მონაწილეობით. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ შრომის ბაზრის ინფორმაციული უზრუნველყოფის

პრობლემა. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს იმ შუალედურ რგოლს, რომელიც:

ერთი მხრივ, ოპერატიული საინფორმაციო არხებით დაკავშირებულია ბიზნეს და სახელმწიფო სტრუქტურებთან და ადექვატურად ასახავს უშუალოდ სამუშაო ადგილებზე მიმდინარე პროცესებს: სპეციალობებისა და პროფესიების ცვლილებების დინამიკას, აფიქსირებს და განსაზღვრავს მოთხოვნებს ახალ პროფესიებზე, ახდენს ამ მონაცემთა სისტემატიზაციას მათი სტატისტიკური, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენას.

მეორეს მხრივ, მიღებული მაჩვენებლები წარმოადგენენ ინდიკატორებს განათლებისა და სწავლების სისტემისთვის. ამ ინდიკატორებზე განათლების სისტემამ უნდა მოახდინოს მყისიერი რეაგირება, უზრუნველყოს სათანადო უნარებისა და კომპეტენციების შესაბამისი პროფესიებისა და სპეციალობების ფორმირება და კვალიფიციური კადრების მომზადება. ცხადია, ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის დამუშავების ოპერატიულობას, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი დროის მონაკვეთი, რომელიც სჭირდება ახალი პროფესიის საჭიროების წარმოშობასა და სათანადო კადრების მიწოდებას შორის. ამ მიზნით, ჯერ კიდევ 2013 წლიდან საქართველოში ფუნციონირებს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალი – **www.worknet.gov.ge**. აღნიშნული პორტალისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულებით [21] გათვალისწინებული შესაბამისი ფუნქციების განხორციელება ხელს უწყობს პროფესიული განათლებისა და ტრენინგების პოპულარიზაციას და შრომის ბაზარზე მიმდინარე ძირითადი ტენდენციების გამოვლენას.

ინფორმატიზაციის დღევანდელი ეტაპის მთავარი მახასიათებელია ეკონომიკისა და ბიზნესის გაციფრულება, რომელსაც თან ახლავს მთელი რიგი გამოწვევები და რისკები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ახალი და პერსპექტიული პროფესიების გამოვლენა, და ამ მიმართულებით საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფა. აღნიშნული გამოწვევა თავს იჩენს შრომის ბაზარზე. აქ აისახება ციფრული ეკონომიკის ერთ-ერთი პრობლემა – უმუშევრობისა და არაფორმალური დასაქმების ზრდა. მეორეს მხრივ, საზოგადოების ინფორმატიზაცია იწვევს სამუშაო ადგილების ზრდას ახალი სპეციალობებისა და პროფესიების წარმოშობისა და გავრცელების ხარჯზე. განსაკუთრებით ეს შეეხება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მენეჯმენტისა და სახელმწიფო მმართველობის, კომერციისა და მარკეტინგის, მაღალტექნოლოგიური წარმოებისა და ა.შ. სფეროებს.

ქვეყნის ინფორმატიზაციის პროცესის განვითარებისა და დაჩქარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა და კადრების მომზადების დაბალი დონე ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში. მაგრამ, ჩვენი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში უნარებისა და კომპეტენციების არასაკმარისი დონე სხვა ნებისმიერი სფეროს სპეციალისტებში. აქედან გამომდინარე, სასწრაფო და გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში სათანადო ცვლილებების განხორციელება. უნდა ითქვას, რომ უმაღლესი და პროფესიული მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები ამ თვალსაზრისით საკმარისად ვერ აკმაყოფილებენ დღევანდელ მოთხოვნებს.

საქართველოს უნივერსიტეტების უმრავლესობაში სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული მიმართულებების სასწავლო პროგრამები ითვალისწინებს ერთი ან იშვიათად, ორი დისციპლინის სწავლებას. სავალდებულო საუნივერსიტეტო დისციპლინა – „ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლები“, ფაქტობრივად ითვალისწინებს მინიმალური და ზოგადი კომპეტენციების –კომპიუტერული წიგნიერების ფლობას. იგი ისწავლება პირველ კურსზე და ბუნებრივია, სპეციალური დისციპლინების სწავლებას ვერ დაუკავშირდება. იმისათვის, რომ კურსდამთავრებული პროფესიასთან ერთად ფლობდეს მის სფეროში არსებული პროფესიული ამოცანების გადაწყვეტის მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს და ყოველგვარი დამატებითი პრაქტიკისა და სპეციალური მომზადების გარეშე გახდეს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი შრომის ბაზარზე, არსებითად უნდა შეიცვალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების სისტემა. აღნიშნული მიზნის განხორციელება უნდა მოხდეს ორ ეტაპად:

პირველ ეტაპზე დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს სასწავლო გეგმები პროფესიული ინფორმატიკის დისციპლინების შემოღებით. განურჩევლად ყველა ფაკულტეტსა და მიმართულებებზე უნდა განისაზღვროს რანდენიმე ისეთი დისციპლინა, რომლებიც ასახავს მიმართულების საკვანძო სექტორებს და იქ არსებულ პერსპექტიულ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სწავლებას. მაგალითად, ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ მიმართულებებზე ასეთ დისციპლინებს შეიძლება მივაკუთვნოთ: „სოციალური ინფორმატიკა“, „ელექტრონული ბიზნესი“, „ელექტრონული კომერცია“, „ინტერნეტ მარკეტინგი“ და ა.შ.

მეორე ეტაპზე ყველა სპეციალური დისციპლინის სწავლება უნდა წარიმართოს თანამედროვე

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მოთხოვნათა გათვალისწინებით, როგორც სწავლების ფორმების ისე შინაარსობრივი ინტეგრაციის თვალსაზრისით.

საგანმანათლებლო პროგრამებში ინფორმაციული ტექნოლოგიების დისციპლინების სწავლების გაღრმავება პროფესიულ საქმიანობაში მათი გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად აამაღლებს ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიულ კომპეტენციებს, ხელს შეუწყობს მათი ადაპტურობის თვისებების განვითარებას, დუალური და დისციპლინათშორისი მიმართულებების ასათვისებლად საჭირო კომპეტენციების ფორმირებას.

საბოლოო ანგარიშით, დღეისთვის ინოვაციურობის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ტექნოლოგიად უნდა ჩაითვალოს არასააუდიტორიო, არაფორმალური სწავლების მეთოდები, ისინი სულ უფრო და უფრო იხვეჭენ პოპულარობას. ამჟამად კორპორაციული სწავლების ყველა ფორმის 70% უკავია არასააუდიტორიო სწავლებას [14].

საქართველოში არაფორმალური სწავლება ძირითადად ხორციელდება დისტანციური სწავლების მარტივი ფორმების საშუალებით. ირკვევა, რომ აღნიშნულ სფეროში ადგილი აქვს საკმაოდ მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომელთაგან უნდა გამოვყოთ კადრების მომზადებისა და შერჩევის პრობლემა დისტანციური სწავლებისთვის და პროგრამულ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის პრობლემა.

ზემოაღნიშნულმა პრობლემამ უფრო მძაფრად იჩინა თავი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული პროცესების შედეგად. აუცილებელი გახდა სასწრაფო წესით სწავლების დისტანციურ, ელექტრონულ ფორმაზე გადასვლა. საგანმანათლებლო დაწესებულებები აღმოჩნდნენ ფორსმაჟორულ სიტუაციაში, რის შედეგადაც მათი უმრავლესობა მეტნაკლებად მოუმზადებელი აღმოჩნდა, რასაც ვერ ვიტყვით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რამოდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ. დღეის მონაცემებით ინტერაქტიური ლექციების ჩასატარებლად **თსუ**-ში, კერძოდ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შეირჩა **on-line** ვიდეოკონფერენციებისა და ვებინარების ჩასატარებლად მსოფლიოში საკმაოდ აპრობირებული ღრუბლოვანი პლატფორმა – **Zoom**, ხოლო სტუდენტებთან არასალექციო ურთიერთობებისთვის (სამუშაო ჯგუფებისთვის ძირითადი თეორიული მასალის, სასემინარო და პრაქტიკული დავალებების მიწოდება) – **e-learninge/Moodle** და **LMS** პლატფორმები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

➢ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების საფუძველზე წარმოქმნილ თანამედროვე სპეციალობების ფორმირებას;

➢ უნდა გაფართოვდეს და სრულყოფილი იქნეს **on-line** განათლების მიღება;

➢ საჭიროა ციფრული ეკონომიკის მოთხოვნის შესაბამისად გამოვლინდეს პერსპექტიული და არააქტუალური პროფესიები და სპეციალობები;

➢ ქვეყნის ინფორმატიზაციის განვითარების დაჩქარების მიზნით აუცილებელია ამაღლდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტების კვალიფიკაციის დონე და გაიზარდოს მათი რიცხვი;

➢ შრომის ბაზრის მოთხოვნილებიდან გამომდინარე აუცილებელია ეკონომიკის, ბიზნესისა და სხვა სფეროებში მომუშავე კადრების კომპიუტერული განათლების და კულტურის ამაღლება;

➢ უნდა გაფართოვდეს არასაწარმოო სფეროში დასაქმებულთა დისტანციური მუშაობის ფორმები და საშუალებები;

➢ ციფრული ეკონომიკის მოთხონებიდან გამომდინარე უნდა გადაიხედოს და ცვლილებები შევიდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორში;

➢ კადრების მიმართ ციფრული ეკონომიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიერ წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე სრულყოფას საჭიროებს უმაღლესი სასწავლებლების კურუკულუმები და სილაბუსები;

შრომით ბაზარზე პერსპექტიული სპეციალობებისა და პროფესიების კადრებზე მოთხოვნის პროგნოზირების მიზნით საჭიროა ფართოდ დაინერგოს ფორსაითი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე რ. ციფრული ეკონომიკა სიღარიბისა და უთანასწორობის წინააღმდეგ. www.bm.ge. 14 აგვისტო, 2019. https://www.bm.ge/ka/article/cifruli-ekonomika-sigaribis-da-utanasworobis-winaagmdeg---rati-abuladze/38437 (ბოლო ნახვა 25.04.2020).

2. ლაგვილავა ე. განათლების როლი ინფორმაციულ საზოგადოებაში. საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის "მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო". თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი სამეცნიერო შრომების კრებული. "უნივერსალი", თბილისი 2009. გვ.223–228.

3. ლაგვილავა ე. ელექტრონული სწავლების განვითარების ძირითადი მიმართულებები. ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი" № 4, თბილისი, 2012. გვ.139-154.

4. ლაგვილავა ე. ელექტრონული სწავლების სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ბაზის ფორმირების ზოგიერთი ასპექტი. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში". შრომების კრებული. თბილისი 2015 გვ.161–167.

5. ლაგვილავა ე., ხაინდრავა რ. განათლება და პროფესიული მომზადება ინფორმაციული ეკონომიკის პირობებში. ჟურნალი "ეკონომიკა" № 9-10, თბილისი, 2006. გვ.129–137.

6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს სოციალურ-ეკონონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020. პროექტი. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf (ბოლო ნახვა 25.04.2020).

7. ფირანიშვილი-გიგიბერია ია. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის დანერგვის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.//ახალი ეკონომისტი. #2(45) 2017.

8. ხიდაშელი თ. საინფორმაციო საზოგადოება და საქართველოს ევროკავშირში ასოციაციის დღის წესრიგი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. თბ. 2018. http://asocireba.ge/files/Tina-Khidasheli-IS-2018.pdf (ბოლო ნახვა 25.04.2020).

9. Гуров Ф. Н. Информатизация общества: амбивалентный характер социальных изменений // Ценности и смыслы. 2018. № 6 (58). С.83–96. https://gurovpr.ru/netcat_files/userfiles/gurov-article.pdf (ბოლო ნახვა 25.04.2020).

10. Ефимов В. А. Трансформация трудовых отношений в условиях информатизации. file:///C:/Users/user/Downloads/transformatsiya-trudov-h-otnosheniy-v-usloviyah-informatizatsii.pdf (ბოლო ნახვა 25.04.2020).

11. Коллекция кейсов и инструментов для оценки цифровых компетенций в рамках программы DigComp. https://www.researchgate.net/publication/333842924_Kollekcia_kejsov_i_instrumentov_dla_ocenki_cifrovyh_kompetencij_v_ramkah_programmy_DigComp (ბოლო ნახვა 25.04.2020).

12. Колосова Р. П., Медведева Т. А. Социально-трудовые отношения в сетевой экономике // Вестник Московского университета. Серия 6: Экономика. — 2015. — № 5. — С. 89–103. https://www.twirpx.com/file/1891947/ (ბოლო ნახვა 25.04.2020).

13. Логачова Н. А. Поскин С. А. Цифровая экономика: газвитие, прогнозы, угрозы. Сборник статей международной научно- практической конфегенции. БГТУ, 2018. https://www.elibrary.ru/item.asp?id=36900823 (ბოლო ნახვა 25.04.2020).

14. Майстренко Ю. В. Обучение и развитие персонала: инновационный аспект // Молодой ученый. — 2018. — №52. — С. 134-137. — URL https://moluch.ru/archive/238/55263/ (ბოლო ნახვა 25.04.2020).

15. Никулина Т. В. Стариченко Е. Б. Информатизация и цифровизация образования: понятия, технологии, управление.// Педагогическое образование в россии. 2018. № 8. http://elar.uspu.ru/handle/uspu/ 11060 (ბოლო ნახვა 25.04.2020).

16. Павленко И.И. — Информатизация как всеобщий социальный процесс информационного общества // Социодинамика. – 2016. – № 7. – С. 1 - 9. https://www.nbpublish.com/library_read_article.php?id=19427 (ბოლო ნახვა 25.04.2020).

17. Философия компьютерной революции / А.И. Ракитов. – Москва : Директ-Медиа, 2013. https://biblioclub.ru/index.php?page=book&id=210487 (ბოლო ნახვა 25.04.2020).

18. Хусяинов Т.М. Процесс информатизации труда и его социальные последствия. Международна научна школа «Парадигма». Лято-2015.В 8 т. Т.6-Варна: ЦНИИ «Парадигма», 2015. https://www.researchgate.net/publication/281643169_Process_informatizacii_truda_i_ego_socialnye_posledstvia (ბოლო ნახვა 25.04.2020)

19. Digital Economics How Information And Communication Technology Is Shaping Markets Businesses And Innovation. English Edition. By HARALD VERBY, JAN A.AUDESTAL. 2018. EBOOK

https://www.amazon.ae/Digital-Economics-Information-Communication-Technology/dp/1986751392

20. Negroponte N. Being Digital. New York, 1995. file:///C:/Users/user/Downloads/Nicholas-Negroponte-Being-Digital-Vintage-1996.pdf (ბოლო ნახვა 25.04.2020).

21. http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=744 (ბოლო ნახვა 25.04.2020).

22. https://ec.europa.eu/jrc/en/ (ბოლო ნახვა 25.04.2020).

TRANSFORMATION OF THE PERSONNEL TRAINING SYSTEM IN THE CONDITIONS OF DIGITAL ECONOMICS

Enver Lagvilava
Associated Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ABSTARACT

The present article analyses the peculiarities of training of qualified personnel for digital economics and provides critical assessment of the current models of building the information society in the world, also points out the role of information technologies in the development of the digital economics, formulates the demands of the labour market on the education system, emphasises the trends of certain professions becoming obsolete and the new professions originating in different sectors in the conditions of digital economics; it also states that due to the noncompliance of the low level of education of the personnel trained by higher and vocational education institutions in Georgia with the labour market demands, a large part of unemployed persons are the specialists with higher and secondary vocational education; the article also discusses the issues of using internet and mobile technologies in the e-learning process at various stages of education, and states that, in the conditions of digital economics, the disciplines of professional informatics should be included in the curricula of the higher education institutions of Georgia, emphasizing the necessity of acquiring education, as a continuous process, which enables people to acquire additional education in parallel to their professional activities, mainly by using the forms of informal learning.

The results of the research are presented in the form of conclusions in this article: the state should facilitate the formation of modern specialties based on the labour market demands; the acquisition of on-line education should be expanded and perfected; it is necessary to identify prospective and non-topical professions and specialties according to the requirements of the digital economics; in order to accelerate the development of informatisation of the country, it is necessary to upgrade the level of qualification of the specialists in the field of information technologies and to increase the number of such specialists; based on the labour market demand, it is necessary to increase the computer literacy and culture of the personnel working in the economics, business and other sectors; the forms and means of remote work of the personnel employed in the non-production sector should be expanded; based on the requirements of digital economics, the National Qualifications Framework and the Fields of Education Classification should be revised and amended; based on the requirements of digital economics and information technologies for the personnel, the curricula and syllabi of higher education institutions need to be improved; in order to predict the demand for prospective specialties and professions on the labour market, the foresight needs to be widely introduced.

Keywords: Information society, information technology, labor market, digital economy, e-learning, non-formal learning.

ეკონომიკური გამოწვევები საქართველოში

ჯამლეტ ჯანჯღავა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტისა და საქართველოს
ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი

ანოტაცია

საქართველოში, ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად მოხდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, ასევე გაიზარდა საგარეო ვალები, უცხო ქვეყნებში მიგრანტთა რაოდენობა და უცხო ქვენებიდან გამოგზავნილი ფულადი გზავნილების მოცულობა. ამავე პერიოდში ასევე მკვეთრად გაიზარდა გადახდისუუნარო საბანკო სესხების მოცულობაც.

ქვეყნის, პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების შედეგად მკვეთრად მოიმატა სიღარიბის,უმუშევრობისა და ინფლაციის დონემ. ქვეყანა მთელი რიგი გამოწვევების წინაშეა. ასეთ დროს, ქვეყნის ეკონომიკური პოლოტიკა უნდა დაექვემდებაროს შემდეგ პრინციპებს: 1.უნდა მოხდეს ეკონომიკის სწრაფი და ეფექტური განვითარება და ახალი სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფა. 2. უნდა განხორციელდეს საყოველთაო სიკეთეების ეფექტიანი და სამართლიანი გადანაწილება. 3 .უნდა მოხდეს რესურსების, განსაკუთრებით ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება და ამ პროცესში მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვა. 4. ასევე მნიშვნელოვანია, სამართლიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება, გონივრული რეგულაციების შემოღება. ეკონომიკა უნდა იმართებოდეს კანონებით და არა ცალკეული პიროვნებებზე მორგებულ გადაწყვეტილებებით.

ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება არის მნიშვნელობანი გამოწვევა. ეს არის ის სფერო, რომელზეც უნდა დაფუძნდეს ქვეყნის ეკონომიკა. უნდა დაჩქარდეს და საბოლოოდ უნდა დამთავრდეს ქვეყნის გაზიფიკაციის, სასმელი წყლით მომარაგების და ინტერნეტიზაციის პროგრამები. ამაზეა მიბმული როგორც ეკონომიკის, ასევე გარემოს დაცვითი ღონისძიებების გატარება, მრეწველობის, ტურიზმის და ეკონომილის სხვა დარგების განვითარება.

ქვეყნისთვის მნიშვნელობანია სოციალური უზრუნველყოფის სისტების სრულყოფა. უნდა გაიზარდოს პენსიები, დახმარებები, შემწეობები და უნდა გაგრძელდეს წარმატებული საყოველთაო დაზღვევის პროგრამა.

ქვეყნისთვის ერთ-ერთ გამოწვევად რჩება ინვესტიციების კლების ტენდენცია, მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა.

ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევია ფასიანი ქაღალდების და სახელმწიფო ვალის პრობლემა. დაგროვდა გადასახდელი მილიარდობით ლარის ვალი, რომელსაც გადახდა სჭირდება. ქვეყნისთვის შემდეგ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სფერო. უნდა მოხდეს ამ სფეროების განვითარება, იმ პირობით რომ დაცული იქნება ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება და მასთან ერთად ზიანი არ მიადგება ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობას.

ბოლო წლებში ქვეყანაში ძალიან აქტუალურია ტურიზმის განვითარება. მილიონობით ტურისტი სტუმრობს ხოლმე ქვეყენას, რისთვისაც საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა. სასტუმროების და მოსასვენებელო ადგილების რაოდენობის გაზრდა. უნდა მოხდეს სამედიცინო, ეკოტურიზმის, ექტრემალური, რელიგიური ტურიზმის განვითარება. ასევე ყველაფერი უნდა გაკეთდეს მდიდარი საკურორტო მეურნეობის მათ შორის, ცნობილი კურორტების სრული რეაბილიტაცია.

ასევე მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის და შრომითი უფლებების დაცვა, ახალი რეგულაციების შემოღება.

ჩვენი ღრმა რწმენით , ეს და სხვა ღონისძიებების განხორციელება, ხელს შეუწყობს ქვეყნის წინაშე არსებული ყველა გამოწვევის წარმატებით დაძლევას.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, რეფორმა, ეფექტიანობა, განვითარება

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რაც ძირითადად განპირობებული იყო ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდით, გაზრდილი საგარეო ვალებით და უცხო ქვეყნებიდან გამოგზავნილი ფულადი გზავნილების ზრდით. ამ ფაქტორებს ემატებოდა საბანკო სესხების არნახული ზრდა და ამის შედეგად გადახდისუუნარო მოსახლეობის მკვეთრი ზრდა.

ყოველივე მან გამოიწვია შიდა ბაზარზე მოთხოვნის უპრეცედენტო ზრდა , რასაც არ მოყვა შიდა ბაზარზე მიწოდების ზრდა. გაზრდილი მოთხოვნები ძირითადად იმპორტით კმაყოფილდებოდა. მართალია მიუხედავად იმისა , რომ მოცემულ პერიოდში ადგილი ჰქონდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას ქვეყანამ ვერ შეძლო ახალი სამუშაო ადგილების უზრუნველყოფა. ასევე ,პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანმდევი ახალი და მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარება, რამაც მნიშვნელოვან წილად შეაფერხა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაცია გლობალურ და რეგიონულ ჭრილში.

ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ გაუაზრებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად, ქვეყნის ეკონომიკის ზრდა ვერანაირად ვერ აისახა მოსახლების მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრებაზე. ამ პერიოდში შენარჩუნდა სიღარიბის მაღალი დონე, რაც დღეისთვის, უმუშევრობასთან ერთად ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ გამოწვევად რჩება. ჩვენ გვჭირდება სრულიად განსხვავებული განვითარების ახალი, ეკონომიკის მომავალზე, ორიენტირებული ზრდის მოდელის შექმნა , რომელიც უზრუნველყოფს შრომის საერთაშორისო განაწილებაში საქართველოს მონაწილეობას, როდესაც განვითარების ძირითად ფაქტორად ცოდნა და ინფორმაცია გვევლინება.

ჩვენ ეკონომიკურ განვითარებას განვიხილავთ, არა როგორც თვითმიზანს, არამედ მექანიზმს იმისათვის, რომ მოხდეს მოსახლეობისათვის საყოველთაო კეთილდღეობის შექმნა, თითოეული მოქალაქისათვის ცხოვრებისა და განვითარების ღირსეული პირობებით უზრუნველყოფა. „ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ორიენტირებია უნდა იყოს, ერთის მხრივ ადამიანი - მოქალაქე, რომლის კეთილდღეობა და სოციალური დაცულობა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ და მეორეს მხრივ საზოგადოება, რომელიც ამ ინდივიდების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელშიც თითოეულ მოქალაქეს გააჩნია პასუხისმგებლობები, საზოგადოებრივი ინტერესების მიმართ“(1).

ჩვენის აზრით, ქვეყნის განვითარების სოციალურ ეკონომიკური პოლიტიკა, უნდა დაემყაროს შემდეგს პრინციპებს: 1. უნდა მოხდეს სწრაფი და ეფექტური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. ამის შედეგად, პირველ რიგში უნდა მოხდეს ახალი და რაც შეიძლება ბევრი სამუშაო ადგილების შექმნა და სიღარიბის დაძლევა. 2. ასევე, უნდა მოხდეს ეკონომიკური ზრდის შედეგად, მიღებული საყოველთაო სიკეთეების ეფექტიანი და სამართლიანი გადანაწილებას. 3. ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი პრინციპია, ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ასევე, ეკონომიკური განვითარების, ეკოლოგიური უსაფრთხოების და მდგრადობის უზრუნველყოფა, ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება და გამოწვეულ საფრთხეებთან ეფექტური ბრძოლა. ყოვლად დაუშვებელია ისეთი ქმედებების განხორციელება, როგორც მოხდა ახლო წარსულში, კერძოდ საყდრისის უნიკალური ისტორიული ძეგლის განადგურება, როგორც ვიცით, ისტორიული მემკვიდრეობის ეს ძეგლი ამ დაუცველობას შეეწირა.

ასევე მნიშვნელოვანია ამ პროცესებში მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვა და სამოქალაქო კონტროლის გაძლიერება. ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის და დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლის განხორციელება. აღნიშნული უზრუნველყოფს მთავრობის ტრანსფერენტულობას და ანგარიშვალდებულებას.

შემდეგი გამოწვევა , რომლის წინაშე დგას ქვეყანა არის თავისუფალი კონკურენცია და სახელმწიფოს როლი. ფაქტია, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკამ უნდა განისაზღვროს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შერწყმის ოპტიმალური მოდელის შემუშავება, რომელიც ძირითადი მაკროეკონომიკური მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფს ესენია: მდგრადი ეკონომიკური ზრდა, სრული დასაქმების მაღალი დონის მოღწევა, ინფლაციის დონის მინიმიზაცია და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა, ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების, რაც ეფექტურ ანტიმონოპოლიურ პოლიტიკის გატარებას დაეფუძნება. აღნიშნული გულისხმობს ბაზარზე კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების აღმოფხვრას და ამავდროულად გონივრული რეგულაციების შემოღებას, რათა ბიზნესის გაფართოებას ხელოვნურად არ შეექმნას ბარიერები, არ მოხდეს სუსტი კონკურენტების ბაზრიდან გაქრობა.

ამავდროულად კონკურენციის მარეგულირებე-

ლი საკანონმდებლო ბაზა უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი, რათა არ მოხდეს ისეთი ინოვაციური ბიზნეს ინიციატივების ბლოკირება, რომელსაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტის მოტანა შეუძლია . ბიზნესი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკისაგან და სახელმწიფო მას უნდა მიიჩნევდეს სამუშაო ადგილების შექმნის უმნიშვნელოვანეს წყაროდ. კერძო სექტორში სახელმწიფო ინტერვენციები უნდა განხორციელდეს ისეთ პროექტებში, რომელთა დაფინანსებაც შეუძლებელია კერძო სექტორის მეშვეობით. ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესახებ მსჯელობისას, ცხადია იგულისხმება დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც კანონებით იმართება და არა ცალკეული პიროვნებების ნება -სურვილით. ჯერ კიდევ პლატონი წერდა: „მე მხედავ იმ სახელმწიფოს მოახლოებულ დაღუპვას, სადაც კანონს ძალა არა აქვს და იმყოფება ვიღაცის ძალაუფლების ქვეშ.'' ეკონომიკური თეორიაში, როგორც ვიცით ცნობილია სამი ძირითადი ფუნქცია, რომელიც სახელმწიფოს გააჩნია, ესენია: ეფექტიანობა, სამართლიანობა და სტაბილურობა.

იმის გამო რომ ეკონომიკური ცხოვრება გარკვეულ წილად შეიცავს კონკურენციისა და მონოპოლიის მაგალითებს სრულყოფილი კონკურენცია გულისხმობს ბევრ მყიდველს და ბევრს გამყიდველს, სადაც ვერცერთი მხარე ვერ ახდენს გადამწყვეტ გავლენას საქონლის ფასზე ხოლო, მონოპოლიური ფასის შემთხვევაში არის მაღალი ფასები და არსებობს შეუსაბამობა მოთხოვნა -მიწოდებაში, მაღალია მონოპოლიის მოგება და ა.შ.

ამასთან , სახელმწიფო თვითონ აფინანსებს ეროვნულ თავდაცვას, შინაგან წესრიგს, გზების მშენებლობას და ა.შ. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო ორგანოების ფორმირებასა და მის ეფექტიანად ფუნქციონირებას. სამართლიანობა- არის სახელმწიფოს მეორე ეკონომიკური ფუნქცია, რათა სახელმწიფომ შემოსავლები გადანაწილოს სამართლიანად.

ეფექტიანობასა და სამართლიანობასთან ერთად საჭიროა სახელმწიფომ უნდა დაიცვას ეკონომიკური სტაბილურობა საჭიროა ეკონომიკური ციკლის (რყევის) აღმავლობის და დაქვეითების გაკონტროლება. ცნობილია, რომ სახელმწიფოს მიერ საფინანსო და საგადასახადო უფლებების ბოროტად გამოყენება ნეგატიურ გავლენას ახდენს წარმოებაზე, დასაქმებისა და ინფლაციის დონეზე.

ეკონომიკის თეორიაში სახელმწიფოს სხვა ეკონომიკური ფუნქციებიც აქვს, მაგ: საბაზრო ეკონომიკისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნა, კონკურენციის დაცვა. შემოსავლების და სიმდიდრის განაწილება, ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირების აუცილებლობა, საგარეო ეკონომიკური კავშირების პოლიტიკის არსებობა.

კიდევ ერთი გამოწვევა, რომელშიც საქართველო, როგორც ქვეყანა დგას არის ინფრასტრუქტურის განვითარება. რომელზეც უნდა დაფუძნდეს ყველა ეკონომიკური და მიღწეული წარმატებები, მათ შორის ეკონომიკური ზრდა, ტურისტული სექტორის განვითარება, სოციალური სერვისების განვითარება, ახალ სამუშაო ადგილების შექმნა, ინვესტიციების მოზიდვა (მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა), მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარება. მოკლევადიან პერიოდში , იმისათვის, რომ მოხდეს დასაქმების სტიმულირება, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მნიშვნელობანი პროექტები. პირველ რიგში, უნდა მოხდეს საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანად მართვა, სახელმწიფო სახსრების მეტად ყაირათიანად გამოყენება და სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დღემდე არსებული პრაქტიკის სრულყოფა. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო შესყიდვების დროს უნდა აიკრძალოს /შეიზღუდოს, ერთ პირთან მოლაპარაკებების არსებული პრაქტიკა და ფართო გასაქანი მიეცეს კონკურენტუნარიანი ტენდერების ფართო გამოყენების პრაქტიკის დანერგვას.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, საჭიროა ამ მიმართულებით უფრო მეტი გაკეთება. მაგ: ქვეყანაში, უფრო სწორად ზოგიერთ რეგიონში, ვერ განხორციელდა სრული გაზიფიკაციის სახელმწიფო პროგრამა. მაგ: ტურისტულ რეგიონში, სამეგრელოში რამდენიმე წელიწადია ვერ მთავრდება გაზიფიკაციის პროგრამა. ეს ხდება იმ დროს, როცა რამდენიმე წელიწადია გაზი მიყვანილია თითქმის ბოლომდე და სოფლებში ვერ ხერხდება მოსახლეობამდე შეყვანა. იგივე შეიძლება ითქვას, სასმელ წყალზეც, სადაც რამდენიმე წელიწადია არ კეთდება გამრიცხველიანება და ადგილი აქვს მოხმარებული წყლის უყაირათოდ მოხმარებას, რაც იწვევს წყლის მიწოდების გრაფიკის შემოღებას. ასევე ბოლომდე ვერ განხორციელდა ინტერნეტიზაციის ფრიად რეკლამირებული პროგრამა. სახელმწიფომ უნდა დაიცვას ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების ვადები, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დაწესდეს საურავები.

ჩვენის აზრით, ასევე მისახედია ცალკეულ შემთხვევებში, ქონების ერთ ლარად გადაცემის პრაქტიკა და პირდაპირი მიყიდვის წესის გადახედვა. ეს უნდა მოხდეს განსაკუთრებულ შემთხვევაში, ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის მქონე ადამიანებისთვის.

ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, გამართული სისტემის არსებობა. ამ მიმართულებით უნდა მოხდეს პრობლემის გადაჭრა: 1. სახელმწიფომ

უნდა უზრუნველყოს სიღარიბის ზღვარ ქვემოთ მყოფი მოქალაქეების დახმარება. 2. უნდა გაიზარდოს უმუშევრობისთვის დაწესებული შემწეობის მოცულობა. ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ასევე უსახლკაროების, საბინაო პრობლემის გადაჭრა, როგორც ვიცი საქართველოს კონსტიტუციაში არაფერი არ წერია ,ბინის უფლების შესახებ. საჭიროა ამ უფლების კონსტიტუციაში შეტანა რათა ყველა ადამიანს ჰქონდეს საცხოვრებელი ბინის უფლება. 4. ასევე მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ფსიქიკური პრობლემების მქონე, ხანდაზმულთა სოციალური გარანტიების არსებობა. 5. ასევე უნდა იყოს დაცული, ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების სოციალური გარანტიები.

მიუხედავად იმისა , რომ ბოლო დროს პენსიები გაიზარდა და გახდა 220 ლარი გახდა და მოსალოდნელია კიდევ 30 ლარით გაზრდა მაინც ვთვლით, რომ ეს ცოტაა და უნდა მოხდეს მისი გაზრდა. საჭიროა გატარდეს საპენსიო რეფორმა და გაიზარდოს პენსიის რეალური მსყიდველობითუნარიანობა. რაც შეეხება დაგროვებით საპენსიო სისტემას, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს რეფორმა იყოს წარმატებული.

აუცილებელია შევეხოთ ყველაზე წარმატებულ, საყოველთაო ჯანდაცვის სისტემას. უნდა ითქვას , რომ მინისტრის N520 ბძანებულებამ დავდაყირა დააყენა ყველაფერი. სახელმწიფომ ,ყველაფერი უნდა გააკეთოს , რომ ეს რეფორმა გაგრძელდეს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს , რომ ამ პოლიტიკით არ დაზარალდნენ არც პაციენტები, არც მომსახურე კლინიკები და ასევე დაცული იყოს სახელმწიფოს ინტერესები.

ქვეყნისთვის შემდეგი გამოწვევა არის, როგორც გარე ისე შიდა ინვესტიციების მოცულობების კლება. კერძო სექტორის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეზღუდა საკმარისი ფინანსური რესურსები. ამ კუთხით მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. თუმცა ქვეყნის ეკონომიკისათვის, მნიშვნელოვანი ზოგიერთი პროექტის დაფინანსების საჭირო მოცულობა აღემატება კერძო სექტორის ძალებს. პროექტების განხორციელება მნიშვნელოვნად ხელი შეეწყოს კერძო და საჯარო სექტორის პარტნიორობით განხორციელებულ პირველ უპრეცედენტო პროექტის დასრულებას, როგორიცაა ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის აშენება, რომელიც დროის ამ ეტაპზე, სამწუხაროდ ჩაიშალა. ქვეყანამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს პროექტი დაიწყოს და დასრულდეს.

საინვესტიციო პოლიტიკის ფარგლებში მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რაც თავის მხრივ ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკის ზრდას განაპირობებს.

ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული პრობლემებია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების თვალსაზრისით. დაზუსტებული მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2018 წელს 1 265.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2017 წლის მონაცემებზე 35.5 პროცენტით ნაკლებია. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია: მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის დასრულება, რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში, მოგება-ზარალის მაჩვენებლების დაზუსტება, საწარმოთა მხრიდან, ასევე, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება (სასესხო დავალიანების დაფარვა). საქსტატმა, მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებისა და მის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, განახორციელა სხვა არარეზიდენტებისგან მიღებული სესხების რეკლასიფიკაცია.

ეკონომიკური ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. დაფინანსების ალტერნატიული წყაროების და შესაბამისად ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება. აღნიშნული ხელს შეუწყობს რესურსების მომართვას პროდუქტიულ დარგებში, სტიმულს მიცემს დანაზოგების აკუმულირებას და შესაბამისად ინვესტიციების დაფინანსების უფრო იაფ და პროგნოზირებად სახსრებს წარმოქმნის. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება ასევე წაახალისებს კომპანიების გამჭვირვალობისა და საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტებზე გადასვლას. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეიმუშაოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების გამართული და მკაფიო საკანონდებლო ბაზა, ხელი შეუწყოს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან თანამშრომლობას და დანაზოგების სტიმულირებას. ასევე მნიშვნელოვანია მდგრადი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარება. მაკროეკონომიკური სტაბილურობა, წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების საფუძველს. გონივრული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებაზე, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის მიმართ ნდობის ამაღლებას. აღნიშნული აისახება მოკლევადიან და გრძელვადიან ბიზნეს გადაწყვეტილებებში, საბოლოოდ კი, ეს უზრუნველყოფს დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სახელმწიფო ვალის მდგრადობა, ბიუჯეტის დეფიციტის დაბალ ნიშნულზე შენარჩუნება, ერთნიშნა ინფლაცია, თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსის არსებობა. ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის ფისკალური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იყოს, ადგილობრივი წარმოების განვითარებისაკენ, რისთვისაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დიფერენცირებული მოგების გადასახადის დაწესება (პრიორიტეტული) დარგების მიხედვით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სასურველი დარგების განვითარებას ქვეყანაში, რაც თავის მხრივ ექსპორტის სტიმულირებასაც მოახდენს(1).

რაც შეეხება ენერგეტიკის სფეროს , რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკაში. საქართველოს განახლებადი ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია, რომლის გონივრული გამოყენება წარმოადგენს სახელმწიფოს ამოცანას. ენერგეტიკული სექტორის, პოლიტიკის საფუძველი უნდა იყოს ენერგიის იმპორტის შემცირება და წარმოების ენერგოდამზოგველი ღონისძიებების სტიმულირება. ამავდროულად, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყნის მასშტაბით ინდუსტრიული, ტურისტული და სოფლის მეურნეობის ცენტრების ენერგიის უწყვეტი წყაროებით შეუფერხებელ მომარაგებას. ამისათვის უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების წახალისება და უნდა მოხდეს ენერგეტიკული პროექტების ხელშეწყობა. ამასთან, სახელმწიფომ მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნებიდან გამომდინარე მაქსიმალურად უნდა გაამახვილოს ყურადღება უსაფრთხო ენერგეტიკული პროექტების შერჩევაზე, რათა არ მოხდეს ეკოლოგიური კატაკლიზმები და დაცული იყოს როგორც ამჟამინდელი, ისე მომავალი თაობების უსაფრთხოება. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს ენერგიის ტარიფის დადგენის გამჭვირვალე და სამართლიანი პრაქტიკის დანერგვა.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ წამყვანი ევროპული სახელმწიფოების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ქვეყნის ენერგეტიკული და ზოგადად ეროვნული უსაფრთხოებიდან გამომდინარე გარკვეულ შემთხვევებში შეინარჩუნოს ენერგეტიკის სფეროში მესაკუთრის ფუნქცია და საჭიროების შემთხვევაში თავად გახდეს ბაზარზე ეკონომიკური მოთამაშე, ენერგეტიკული ობიექტების ინვესტირების და კომპანიების მართვის პროცესში მონაწილეობის გზით. ასევე მნიშვნელოვანია ქარის და მზის ენერგიების უფრო ინტენსიური გამოყენება. მიუხედავად იმისა ,რომ ამ მიმართულებით არის სერიოზული ძვრები, მაინც ცოტაა ქარის და მზის ენერგიაზე მომუშავე ენერგეტიკული ობიექტების რიცხვი.

რაც შეეხება მრეწველობის წინაშე არსებულ გამოწვევებს. საქართველოში წარმოებულ პროდუქციას აქვს დაბალი ღირებულება ბევრ შემთხვევაში არის არაკონკურენტულუნარიანი.. მრეწველობის დარგებიდან განვითარებულია მხოლოდ გადამამუშავებელი წარმოება, რომელიც მიმართულია ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაზე. მრეწველობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ინოვაციური პოტენციალის განვითარება, რაც მდგრადი და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მიღწევის საწინდარია. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, რომელმაც სხვადასხვა ინსტრუმენტებით შესაძლებელია სახელმწიფომ წაახალისოს და განავითაროს კერძო სექტორის მიერ ინოვაციების დანერგვა. ინოვაციების წასახალისებლად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გამოიყენოს საგადასახადო შეღავათები, კვლევების ჩატარების ხელშეწყობა, არსებული ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტური მართვა და მაღალტექნოლოგიური წარმოების განვითარება. ამასთან ერთად მრეწველობის ტრადიციულ დარგებში მნიშვნელოვანია მოხდეს სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ზრდა.

სახელმწიფოს და კერძო სექტორის მიერ ერთობლივი მუშაობის შედეგად, აკადემიური და ბიზნეს სექტორების ერთმანეთთან დაკავშირების ხელშეწყობით, სამუშაო ძალის პროფესიონალიზმის ამაღლებით, ენერგოდამზოგველი წარმოების ტექნოლოგიის დანერგვის სტიმულირებით და გასაღების ბაზრების მოძიებაში დახმარებით. ამასთან საჭიროა მძიმე მრეწველობის განვითარება. უნდა ამუშავდეს და უფრო მეტად დაიტვირთოს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რუსთავის ქიმიური კომბინატი და სხვა.

სოფლის მეურნეობა არის ის დარგი, რომელიც ყოველთვის იყო ქართული სახელმწიფოებრიობის უმთავრესი დარგი- პრიორიტეტი, ანუ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ საქართველო ყოველთვის იყო აგრარული ქვეყანა.

ბოლო წლებში საქართველოს მიერ მიღწეული ეკონომიკური ზრდის ტემპების მიუხედავად, იგი პრაქტიკულად არ ასახულა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, რომელიც კვლავ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განვითარებული დარგია და რომელშიც მწარმოებლურობის ზრდის ყველაზე დიდი აუთვისებელი პოტენციალი აქვს.

დღეისთვის, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. თუმცა, ამ დარგში შექმნილი პროდუქცია, დარგის პროდუქტიულობა და მომგებიანობის დონე დაბალია, რაც ხელს უშლის დარგის

კონკურენტუნარიანობის ზრდას, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე სოფლად სიღარიბის მასშტაბებსა და სიმწვავეში აისახება, შესაბამისად სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტულობა.

ქვეყნის განვითარებისათვის ასევე, მნიშვნელოვანი ნაწილია საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. ჩვენის აზრით, აუცილებელია ქვეყანამ ეფექტურად გამოიყენოს მისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა, შეინარჩუნოს და განამტკიცოს, როგორც მისი სატრანზიტო ფუნქცია, ასევე განავითაროს ქვეყნის რეგიონულ სავაჭრო ცენტრად გადაქცევის პერსპექტივა. ასევე მნიშვნელოვანია, რეგიონალური ეკონომიკური პროექტები, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, ასევე ენერგო რესურსების ტრანსპორტირების კუთხით, რაც აუცილებელია სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის განსამტკიცებლად.

რეგიონულ სავაჭრო ცენტრად გარდაქმნისათვის, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, თავისუფალი საბაზრო პრინციპებისა და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობით. ასევე მნიშვნელოვანია ადამიანური კაპიტალის განვითარების ხარისხი იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში და მოხდეს ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარების ხელშეწყობა, ექსპორტის სტიმულირება და ბიზნესის კეთებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება. რეგიონულ სავაჭრო ცენტრად გარდაქმნა, მოიაზრებს მთავარს- საქართველო გახდება მიმზიდველი ადგილი საქონლისა და მომსახურების მიწოდებისათვის, რაც ექსპორტის სტიმულირებას შეუწყობს ხელს, აგრეთვე მოქნილი ბიზნეს გარემო დააინტერესებს რეგიონის მასშტაბით მოქმედ კომპანიებს საქართველოში განახორციელონ თავისი ეკონომიკური აქტივობები. ამავდროულად, რეგიონის მასშტაბით კონკურენტუნარიანობის და მიმზიდველობის უზრუნველსაყოფად და აგრეთვე გლობალურ დონეზე საქართველოს ცნობადობისა და მიმზიდველობისათვის, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში (ბიზნესის კეთების სიმარტივე, ადამიანური განვითარების ინდექსი და სხვ.) საქართველოს წამყვანი პოზიციები. რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში სოფლის მეუნეობის მიმართულებით: 1. უნდა მოხვდეს სოფლის შიდა გზების მოწესრიგება, განსაკუთრებით ტურისტულ რეგიონებში. 2. ყველა რეგიონში ამჟამად ასეთი 12 რეგიონია, სახელმწოფოს უნდა ააშენოს გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები.

2012 -2013 წლებში გატარებული რეფორმის , შედეგად მოსახლეობას უფასოდ დაურიგდა დაახლოებით 1 მილიარდ ლარამდე სოფლის მეურნეობის გასამართავად საჭირო მანქანა - იარაღები, ასევე მინერალური სასუქი, სახელმწიფომ უფასოდ უზრუნველყო ხვნა-თესვითი სამუშაოები. ჩვენი აზრით, ამ ერთ მილიარდ ლარად თავისუფლად შეიძლებოდა რეგიონებში გადამამუშავებელი მინიმუმ 20 საწარმოს აშენება და ამუშავება. ამით გაჩნდებოდა მრავალი ათასი სამუშაო ადგილი და მნიშვნელოვნად შემცირდებოდა უმუშევართა არმია, გაიზრდებოდა მთლიანი შიდა პროდუქტი და მოიმატებდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი.

მეჩაიეობა , ბოლო წლებამდე იყო ერთ -ერთი წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობის. სამწუხაროდ ისე მოხდა, რომ მოწინავე პოზიციები დავთმეთ და უკვე ჩვენ ვახორციელებთ ჩაის იმპორტს აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან უნდა ითქვას , რომ იმპორტირებული ჩაი ბევრად იაფია და მომხმარებელი ამის გამო ირჩევს ამ ქვეყნების მიერ წარმოებულ ჩაის. უნდა მოხდეს დიდი ინვესტიციების ჩადება ჩაის მრეწველობაში, რათა ეს დარგი გახდეს კონკურენტუნარიანი და მომგებიანი, ეს უნდა მოხდეს, რაც შეიძლება სწრაფად, რადგან ჩაის პლანტაციები ყოველდღიურად ნადგურდება და სხვა დანიშნულებით ხდება მისი გამოიყენება.

აქვე უნდა ვახსენოთ ქართული ღვინო, როგორც ,ამბობენ რომ ზოგი ჭირი მარგებელიაო. დიახ, ასე მოხდა ქართული ღვინოს შემთხვევაში. რუსული ემბარგოს შედეგად, ღვინის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა და უკვე, იგი .ლამის მსოფლიო დონეს აკმაყოფილებს.

ქვეყნისთვის დიდი გამოწვევაა აზიური ფაროსანა და ქართული თხილი და ბოსტნეული. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით დიდი სამუშაოები არის გაწეული, ქვეყანამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ამ პრობლემის საბოლოოდ დასამარცხებლად. სახელმწიფო სურს, რომ მოხდეს ფაროსანაზე შეწამვლითი სამუშაოები, როგორც ჩვენთვის ცნობილია, იქ სადაც მოხდა შეწამვლა იქ მოსავალი მოვიდა, ხოლო სადაც არ მომხდარა შეწამვლითი სამუშაოები მოსავალი საერთოდ არ მოსულა. ამით, ჩვენ ნაწილობრივ დავამარცხებთ სიღარიბეს, გავზრდით მშპ-ს და მნიშვნელოვნად გავაუმჯობესებთ დასაქმების დონეს, ზაფხულშიც მაინც.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და ცოდნის ამაღლება. სასოფლო-სამეურნეო მიწისა და კაპიტალის ბაზრის განვითარება, სამელიორაციო და სხვა ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით, რომლის კონკურენტუნარიანი წარმოება შესაძლებელია საქართველოში არსებული ნიადაგის და კლიმატური

პირობების გათვალისწინებით, დარგის განვითარების ინსტიტუციონალური ჩარჩოს შემუშავება, შეღავათიანი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება და უცხოური ბაზრების გახსნისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

შემდეგი, გამოწვევის სფერო არის ტურიზმის და საკურორტო მეურნეობის სფერო. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ტურიზმის სექტორს. ამ სექტორში კვლავაც აუთვისებელი პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას,.

აუცილებლად უნდა განვითარდეს სამედიცინო ტურიზმი, რელიგიური ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი. უნდა მოხდეს ტურიზმის ობიექტებზე ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება, გზების მოწესრიგება, ბუნებრივი გაზით, წყლით უზრუნველყოფა. ყოვლად დაუშვებელია ისეთი სიტუაციების განმეორება, როგორც იყო მიმდინარე წელს, როცა უწყლობის გამო, ტურისტები იძულებულნი იყვნენ თავიანთ სახლებში გაბრუნებულიყვნენ. დაიკარგა მილიონობით ლარის შემოსავალი და სახელი გაუტყდა ქვეყანას და მის ტურისტულ პოტენციალს.

საბჭოთა კავშირის დროს ათიათასობით ტურისტი სტუმრობდა ხოლმე აფხაზეთის, აჭარის პლაჟებს, ასევე კურორტებს- ახტალას, წყალტუბოს ,მენჯს, ლებარდეს და ა.შ. საჭიროა ამ კურორტების რეაბილიტაცია და მწყობრში ჩაყენება. ამით ქვეყანა დიდ ეკონომიკურ შემოსავალს ნახავს, გაიზრდება მშპ და დასაქმების დონე. ასევე მნიშვნელოვანია ტურისტულ ობიექტებზე სასტუმროების და მოსასვენებელი ადგილების არსებობა. ასევე უნდა მოხდესუზრუნველყობა ექსტრემალური ტურიზმისათვის საჭირო ატრიბუტებით, ასევე სამედიცინო და რელიგიური ტურიზმის განვითარება.

მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ეფექტურად გამოიყენოს მისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა, შეინარჩუნოს და განამტკიცოს, როგორც მისი სატრანზიტო ფუნქცია, ასევე განავითაროს ქვეყნის რეგიონულ სავაჭრო ცენტრად გადაქცევის პერსპექტივა. მნიშვნელოვანია, ქვეყნის გეო-ეკონომიკური მდებარეობა, ასევე უზრუნველყოფილ იქნას უსაფრთხო და სტაბილური ბიზნეს გარემო, რათა საინვესტიციო პოლიტიკის ფარგლებში განხორციელდეს მნიშვნელოვანი რეგიონალური ეკონომიკური პროექტები, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, ასევე ენერგო რესურსების ტრანსპორტირების კუთხით, რაც აუცილებელია სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის განსამტკიცებლად.

რეგიონულ სავაჭრო ცენტრად გარდაქმნისათვის, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, თავისუფალი საბაზრო პრინციპებისა და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობით. ასევე მნიშვნელოვანია, ადამიანური კაპიტალის განვითარების ხარისხი იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში და მოხდეს ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარების ხელშეწყობა, ექსპორტის სტიმულირება და ბიზნესის კეთებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება. ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების არეალის გაფართოება და ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების თანმიმდევრული და ეფექტიან განხორციელებაზე (1).

შრომის ბაზარი და შრომითი უფლებების დაცვა არის კიდევ ერთი გამოწვევა , რომელიც დგას ჩვენი ქვეყანა, გამომდინარე იქიდან, რომ უმუშევრობა დღეისათვის ქართული საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც ყველა სოციალურ ჯგუფს მეტნაკლებად თანაბარი სიმწვავით ეხება. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირების სრულ და ხარისხიანი ანალიზს. გამოვლენილ დეფიციტურ სპეციალობებში, არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერების და საზღვარგარეთ სწავლების დაფინანსებას. უაღრესად, მნიშვნელოვანია პროფესიული მომზადების სისტემის გაძლიერება, ბიზნესის, აკადემიური და საჯარო სექტორის ერთმანეთთან დაკავშირება, რათა მიღწეული იქნას საჭირო პროფესიული კადრების ადგილობრივი შრომითი ბაზრით უზრუნველყოფა. შრომის ბაზრის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის აქტიური და პასიური პოლიტიკის პროგრამების სწორად შერჩევა, დაგეგმვა და განხორციელება. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის პროგრამებიდან საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით განსაკუთრებულად საყურადღებოა მომზადება-გადამზადების პროგრამების შეთავაზება სამუშაოს მაძიებელთათვის, სუბსიდირებული დასაქმება, საზოგადოებრივი სამუშაოები(1).

ასევე უნდა, აღინიშნოს ძალიან მნიშვენლოვანი საკითხი ეს არის შრომის უსაფრთხოება. ამ პერიოდში, ძალიან ბევრი ადამიანი დაიღუპა სამშენებლო სამუშაოებზე მუშაობისას, გადავარდნის შედეგად, შახტებში უსაფრთხოების დაცვის არ არსებობის გამო. ამიტომ საჭიროა ახალი შრომითი კოდექსის მიღება და სამშენებლო უსაფრთხოების

ნორმების გამკაცრება. ამ მიმართულებით, ძალიან საინტერესოა შრომის უსაფრთხოების პროფესიული პროგრამების ამუშავება, როგორც ვიცით რამდენიმე უნივერსიტეტი წარმატებით ახორციელებს ამ პროგრამებს.

შრომის ბაზრის რეგულირების კუთხით, ასევე აუცილებელია შრომითი მიგრაციის პროცესების რეგულირება, მიგრანტი მუშაკების უფლებების განსაზღვრა და დაცვა, აუცილებელია დაბრუნებულ მიგრანტთა დასაქმების ხელშეწყობა, რათა მოხდეს მათი სრული რეინტეგრაცია საზოგადოებაში. მიგრანტი მუშაკები დიდ გავლენას ახდენენ სამუშაო ძალის ფორმირებაზე, შრომის ბაზარზე მიმდინარე მოვლენებზე, მოთხოვა-მიწოდების ბალანსსა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების პროცესებზე.

დ ა ს კ ვ ნ ა

ასე რომ, ბოლო ხანებში გატარებული ცვლილებების მიუხედავად საქართველოს ეკონომიკა დგას სერიოზული გამოწვევების წინაშე, რომელიც განპირობებული იყო ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობების მიერ გატარებული გაუაზრებელი ზოგჯერ კი დანაშაულებრივი პოლიტის შედეგად. ვერ მოხერხდა თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის ჩამოყალიბება და ხელშეწყობა. ამისთვის ქვეყანამ ვერ შეძლო სამრთლებრივი ბაზის შექმნა, ასევე ვერ იქნა მიღწეული ეკონომიკური სტაბილურობა. მიუხედავად იმისა, რომ ტურისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ პროცესს თან არ მოჰყვა ტურისტებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა. მნიშვნელოვად გამოწვევად რჩება ქვეყნის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ასევე პრობლემებია სოციალური მიმართულებითაც, ვერ მოხერხდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა, გაჩერდა ანაკლიის ღრმაწლოვანი პორტის მშენებლობა.

ქვეყანამ ხელი ვერ შეუწყო მცირე და საშუალო ბიზნესის აღმავლობას, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებას, ქვეყანას დაუგროვდა დიდი მოცულობით სახელმწიფო ვალი. ეკონომიკის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა. ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ტრადიციული დარგების განვითარება. ჩვენი ქვეყანა ვერ გახდა რეგიონალური სავაჭრო ცენტრი. ასევე პრობლემებია შრომის ბაზრისა და შრომითი მიგრაციის საკითხებში.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. საქართველოს პროგრესული ფორუმი. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა. Progressive .ge
2. გრეგორი მენქიუ.ეკონომიკის პრინციპები. თბ.დიოგენე .2008 წ.
3. ბ. ნამჩავაძე. გასული წლის გამოწვევები. ფორბსი. 29 დეკემბერი 2018 წ
4. ეკონომიკური ზრდა და მისი გამოწვევები. www.sab.ge
5. საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია. 2013 წ.
6. ა. ზარქუა. „რუსეთზე დამოკიდებული ეკონომიკა“ www. New.on.ge
7. ე. მექვაბიშვილი. თანამედროვე ეკონომიკური თეორიები (ლექციების კურსი). თბ. 2016

ECONOMIC CHALLENGES IN GEORGIA

Jamlet Janjgava
Ph.D in Economics,
Professor of Georgian Technical University and
Georgian National University

ABSTRACT

Recent reforms in Georgia resulted in the increase of foreign direct investments; in addition, foreign debt, the number of foreign migrants and the amount of money transfers from foreign countries have also increased. The volume of insolvent bank loans has also drastically increased in this period.

Due to the mistakes of the country's political leadership the level of poverty, unemployment and inflation has significantly grown. Our country is facing a number of challenges. In such times, economic policy of the country should be based on the following principles:

1. Rapid and effective development of economy and creation of jobs should be ensured;
2. General benefits should be effectively and equally distributed;
3. The resources (especially the natural ones) should be used efficiently and wide masses of population should be involved in this process.
4. It is also important to implement the just anti-monopoly strategy and apply reasonable regulations. Economy should be governed by laws and not by decisions tailored to individuals.

Development of infrastructure in our country is a great challenge as it is the basis of the country's economy. The programs of gasification, potable water and internet supply should be accelerated and accomplished. Implementation of economic and environmental activities as well as the development of manufacturing, tourism and other sectors of economy are related to these programs.

It is important for the country to improve its social security system. Pensions, assistances, allowances should be increased and a successful general insurance program should continue.

The continued declining trend of investments, including foreign direct investments, remains one of the main challenges for the country.

The problem of securities and government debt is another major challenge. The debt in the amount of billions of Georgian Lari that needs to be repaid has accumulated. Energy, agriculture and manufacturing sectors are also challenging for the country. These areas need to be developed, provided that the country's energy security is protected and ecological status of the country is not harmed.

Development of tourism in the country has been a pressing issue in the country in recent years. The country is visited by millions of tourists; therefore, the relevant technical and material base needs to be developed. The number of hotels and other types of accommodation should be increased; medical, ecological, extreme and religious tourism should be developed; appropriate activities should be implemented for the full rehabilitation of the rich resorts, including the famous resorts.

Protection of the labour market and labour rights and introduction of new regulations in this regard is also of high importance.

We believe that the implementation of the above-mentioned activities will contribute to overcoming the challenge that our country is facing today

Keywords: economy, reform, efficiency, development.

THE NEW VISION OF MODERN MANAGEMENT THEORY

LASHA TABATADZE
PhD, Associate Professor,
Caucasus International University

ABSTRACT

The central thesis of this article is that, although some managers in different parts of the world could have achieved managerial success without having basic theoretical knowledge in management, it has to be emphasized that those managers who have mixed management theory in their day-to-day practice, have had better chances of managing their organizations more efficiently and effectively to achieve both individual and organizational objectives. Also, in the present article the results of research for analyzing of Modern Management are reviewed. The Evaluating of the Re-engineering and Bench marking Processes are presented.

Keywords: *Modern management, Re-engineering.*

INTRODUCTION

It is worth mentioning that nowadays the world globalization processes reach the peak and it has a great influence on international competition. Management as a field of study was considered early 20th century. Two points are most important in the management study. First is publication of classical economic doctrines by Adam Smith and the second is industrial revolution, advent of machine power and subsequent development of infrastructural facilities. Modern management is characterize by using MS/OR techniques that are used by decision makers in order to make better decisions. In agile management, decision makers need effective means for accessing these techniques, without necessarily being experts in mathematical programming, simulation and other methodologies. Managerial needs for agile management and manufacturing in complex process industries such as refineries for making sound and optimal production planning decisions constitute the main motivation for this work. Today there is developed a variety of mathematical modeling approaches for representing these systems and algorithms to solve these models with optimum results. Re-engineering as a part of the Modern Management is the fundamental rethinking and radical redesign of business processes to achieve dramatic improvements in critical, contemporary measures of performance, such as cost, quality, service and speed. Re-engineering involves total redesign of the job. The operation of reengineering begins with a clean slate and a job is planned from beginning till end, the objective of re-engineering is to improve efficiency, performance and overall efficiency.

STEPS IN RE-ENGINEERING PROCESS

In the re-engineering process, employees are an important element; they must understand the new way of carrying out the duty.

✓ Mission: The first step of re-engineering is managements rethinking of identifying the basic mission of the organization and deciding what business they are in and what they want to do. This facilitates the desired approach to carry out various processes to attain mission;

✓ Process: Top management plays an active role in leading the process, thus ensuring the overall cooperation from the personnel;

✓ Creation of Sense of Urgency: An atmosphere of urgency among the personnel regarding the need for re-engineering is necessary. This will ensure commitment of efforts to the case of re-engineering;

✓ Identification of Customer needs: Identification

of customer needs for reengineering

efforts to be successful is essential. To know the customer needs and wants and then creating an organizational structure and team work providing it;

✓ Organizational Support: When needs have been identify an organizational

support of various departments is essential so that the processes and systems are modified for higher efficiency and increased productivity. Sight of the mission and fulfillment of client needs is the focus.[4]

BENCHMARKING

Benchmarking is the process of differentiate work and service methods against the best practices and outcomes for the purpose of identifying changes that will result in higher quality production. Benchmarking incorporates the use of human resources techniques such as goal setting to set targets that are identified, pursued, and then used as a basis for future actions. The benchmarking process involves both inside and outside the organization for ways of improving the operation. Benchmarking offers following benefits to the organization:

Helps organization to compare themselves against the best practices available in the field; Identification of improvement strategies; Assist in learning from others; Helps organization create a need for change in work procedure and assignments.

EMPOWERMENT

Empowerment is exact closely tied to the learning of organizational behavior. Empowerment is the authority to make decisions within one's area of operations without having to get approval from anyone else. There are two major characteristics of empowerment.

❖ Personnel are encouraged to use their initiative;

❖ Employees are given not just the authority but resources as well, so that they are

able to make a decision and see that it is implemented. In the highly competitive and rapidly changing environment caused due to globalization and liberalization of market economy there has been growing concern for empowerment. Those organizations, which liberate themselves by empowering their people, can survive in the present environment. It must be noted that empowerment is most effective tool of managerial effectiveness to obtain the full potential of employees. In bureaucratic form of organizational structure, there is an established hierarchy of command and the higher authority controls the subordinates down the line. But in organizations where empowerment is practiced, performance of individual is achieved. Empowerment envisages participation, innovation access to information and accountability. Maximum productivity is achieved from the front line operators supported by management in creating value. Empowering organization can be designed through the following:

Management by trust, Quality of work life and by implementing other organizational

development strategies; Organizing flexible production systems rather them mass production; By introducing customized product with variations for customer needs; By reducing waste and achieving global competitiveness in price; By enhanced efforts in research and generation activities.[1]

SYSTEMS APPROACH TO MODERN MANAGEMENT

A program is therefore composed of several sub program and sub-sub programs. Every system or subsystem has its own objective and various processes. Personnel employed to manage the system have to play their roles and work under systems that are open. Katz and Kahn include importation of energy, throughput, output, phenomenon. Organization import resources, energy and information from environment, transform them into product and services and export it to the environment where society uses the same. Organizations do not export all that they produce but retain certain portion for its survival and growth. Organizations carry out modification and improvement based on performance feedback. Organization must also develop the ability to absorb the shocks and influences from the environment by developing inbuilt flexibility and responses. When an organization is formed, there is a technical sub-system, which is nothing but an entire formal organization. Company is structured based on technology, product and market that one is required to serve. Policies, rules and regulations are framed, span of management is created and authority and responsibilities are delegated based on need. Appropriate engineering, information technology and other considerations are laid down. The organization imports necessary resources from the environment, transform them and export the finished product/services to the environment. In the process, decision

making, communication and control measures are implemented. Administrative system ensures balance in the organization, so that no department becomes powerful while carrying out the job. Due care is taken about the status, norms, attitudes and behavioral pattern of employees.[3]

Social Sub-System provides social security and social satisfaction to its members. Enrolment of human resources is carried out to match the requirement of job. Individuals have varying degree of interests, capabilities altitudes, beliefs, likes, dislikes. Based on these they join group of like-minded employees to meet their social aspiration even by cutting across hierarchical barriers. It has often been noticed that employees join various social organizations, groups, sports club to enhance their image in the work environment. The employees thus seek a power base to meet the social needs.

Every job is important in the organization. People have to be, not only dependent on others, but also inter-dependent so that the individual, group and ultimately the organizational objectives are met in given time. Specialization has become an important aspect in organization. Individuals display power behavior based on the ability, skill, importance of their job, the critical appointment they hold and lastly the proximity to decision making authority. Some people have more influence areas than others while those who do not care for organizational norms engage themselves in politicking and play an opportunistic games. Power sub – system take its firm root based on personality traits, dominant nature, relationship with superiors, ability to influence others, the success story and the like. Therefore the power – holders enjoy extra privileges, status and turn the situation in their own interest.

TOTAL QUALITY MANAGEMENT

The idea of Total Quality Management (TQM) essentially revolves around the effective use of the obtainable human resources. Hence emphasis on training and continuous personal improvement is essential. TQM means that an organization's culture is defined by and supports the constant quest for customer satisfaction. Pioneering work in TQM was done in Japan through the efforts of Edward Deming. He stressed the need for all the individuals involved to work in a cohesive team, keeping in mind the fulfillment of the given objectives in time. Training in statistical process control techniques is necessary for all, so that quality control of the product being manufactured is maintained in accordance with the standards laid down and corrective measures are taken while the product is being manufactured. In other words TQM is not just a technique that can be turned on when quality improvement is required. TQM is rather a philosophy that requires active participation on the part of both owner and employees. TQM is an ongoing process that is to be approached from the standpoint of continuous improvement by incremental stages. The ability to ensure the quality of a product or a service is, therefore, dependent on the quality of the working relationship between the human beings at the work place. It involves the dynamics of the behavioral processes.

Deming proposed 14 principles of TQM:

✓ Create consistency of objectives and plans;
✓ Adopt a new philosophy of quality;
✓ Cease dependence on mass inspections;
✓ End the practice of choosing supplies based solely on price;
✓ Improve the system constantly and continuously;
✓ Institute training on-the-job;
✓ Strengthen leadership;
✓ Drive out fear;
✓ Breakdown barriers between departments and units;
✓ Stop requesting improved productivity;
✓ Eliminate work standards that prescribe numerical quotas and quality standards;
✓ Remove barriers to pride in workmanship;
✓ Institute rigorous education and self-improvement programmes;
✓ Put every-day in the company to work to accomplish the transition to total quality;

One of the most important factor in TQM is leadership. What is expected of a leader is first to know his subordinates, their social background, their financial status, the number of dependents, and the level of their dependency on the employee.[3]

This will enable a leader to judge what job to assign to each individual and how much to expect from him. Secondly the leader must be professionally competent, so that subordinates can look up to him as a person who has solutions to the problems they face. He should display an ability to adjust to changing situations and to different people. A leader should be able to work effectively in adverse circumstances and not show signs of creaking up. He should display professional honesty and be known for integrity. This is essential to obtain the willing obedience of subordinates and to accomplish his mission. Hence a leader should adopt a code of conduct for him and for the organization. They

have been concerned about the nature of leadership, so as to identify the difference between leaders and non-leaders, and between successful and luckless leaders.

CONCLUSION

The main mission of the Modern Management is, to help the organization and all its employees prosper. While classic management theories may only work in specific situations, modern management theories could be applied to most situations as long as particular aspects have been adapted to better suit the situation, which is allowed in modern management. It should be noted that the behavioral approach has had a number of lasting effects on everyday business operations. Lots of what the early Organizational behavior advocates proposed and the conclusion from the Hawthorne studies have provided the foundation for today's theory of motivation, leadership, group behavior and all sorts of other behavioral approaches. A good way to think about modern management theories is that they are simply more advanced continuations of traditional management theories. The Modern Management is based upon the behavioral approach. Nowadays nearly every company even has a human resources department, designed for addressing the needs of the employees. The enduring effects of behavioral approach can be seen in many company today. From the way managers organize jobs, to the way that they work with employee teams and also in the way they communicate with those teams, we see in all of this elements of the behavioral approach.

REFERENCES:

1. Samuel C. Certo – *„Modern Management"*, Ninth Edition 2017;
2. S. Trevis Certo, Samuel C. Certo, *„Modern Management: Concepts and Skills"*, 14th Edition, 2015;
3. Eliyahu M. Goldratt, Jeff Cox, *„The Goal: A Process of Ongoing Improvement"*, North River Press, 2012;
4. Jack Stack, *„The Great Game of Business: The Only Sensible Way to Run a Company"*, Crown Business, 2013;
5. Michael Watkins, *„The First 90 Days: Critical Success Strategies"*, Harvard Business Review Press, 2013;

თანამედროვე მენეჯმენტის თეორიის ახალი ხედვა

ლაშა ტაბატაძე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია

ნაშრომში გადმოცემულია თანამედროვე მენეჯმენტის თეორიის ახლებური ხედვა და აღნიშნულია, რომ დღეისმდგომარეობით უდიდეს წარმატებას მხოლოდ ის მენეჯერები აღწევენ, რომლებიც კომპანიის მართვის პოლიტიკას, სწორედ თანამედროვე მენეჯმენტის თეორიის ფუნდამენტალური პრონციპების გათვალისწინებით აგებენ. განხილულია თანამედროვე მენეჯმენტის თეორიის კვლევის უახლესი შედეგები და განხორციელებულია მათი ანალიზი. წარმოდგენილია რეინჟინერინგისა და ბენჩმარკინგის პროცესების მნიშვნელოვანი შეფასებები.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე მენეჯმენტი, რე-ინჟინერინგი.

საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტები კორონავირუსის შემდგომ ინფორმაციულ ეპოქაში

რევაზ ლორთქიფანიძე
საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
ჰარვარდის უნივერსიტეტის უმაღლესი
შეფასებით კურსში „აშშ მთავრობა“

ნინო მაღრაძე
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

ანოტაცია

მსოფლიო ეკონომიკის კორონავირუსისშემდგომი ინფორმაციული ნოვაციების მოთხოვნებიდან გამომდინარე, სულ უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩინდა, რომ, უახლოეს მომავალში, პრიორიტეტული მეცნიერებატევადი დარგებიდან, განსაკუთრებულად შედეგიანი იქნება პირდაპირი ინვესტიციები დივერსიფიცირებულ ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ენერგეტიკაში, სამშენებლო ინდუსტრიაში, კომპიუტერულ რობოტომანქანებსა და ქიმიურ კომპლექსში, სამედიცინო ტექნიკაში.

ქუთაისის ინდუსტრიულ ცენტრში ჭკვიანი მანქანების წარმოების ორგანიზება კონვეირულად გამოიწვევს რუსთავის მძლავრ ისტორიულ ინდუსტრიებზე მზარდი მოთხოვნის გაჩენასაც. გურჯაანი ფლაგმანი იქნება მევენახეობა-მეღვინეობაში, ბათუმი - თევზის პროდუქტებისა და ციტრუსოვანთა ხილფაფების წარმოებში, ზუგდიდი - თხილში, ოზურგეთი - მეჩაიეობაში, გორი - ვაშლისა და მისი გადამუშავების მრავალფეროვანი პროდუქტების წარმოებაში, თბილისი და სხვა მჭიდროდდასახლებული აგლომერაციები კი - დივერსიფიცირებულ ინდუსტრიულ კომპლექსებში.

საკვანძო სიტყვები. *ეკონომიკური პრიორიტეტები, ინფორმაციული ეპოქა, მსოფლიო სატრანსპორტო მაგისტრალები, „მტაცებლური“ ფასები.*

შესავალი

მსოფლიო ეკონომიკის კორონავირუსისშემდგომი ინფორმაციული ნოვაციების მოთხოვნებიდან გამომდინარე, სულ უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩინდა, რომ, უახლოეს მომავალში, პრიორიტეტული მეცნიერებატევადი დარგებიდან, განსაკუთრებულად შედეგიანი იქნება პირდაპირი ინვესტიციები დივერსიფიცირებულ ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ენერგეტიკაში, სამშენებლო ინდუსტრიაში, კომპიუტერულ რობოტომანქანებსა და ქიმიურ კომპლექსში, სამედიცინო ტექნიკაში.

საქართველოს ეკონომიკის ცალკეული დარგისა

და, ზოგადად, ქართული ბიზნესისათვის სასიცოცხლოდ აქტუალურია, რომ, უახლოეს პერიოდში, მთავარი აქცენტები ქვეყნისთვის არგუმენტირებულად განსაზღვრულ პრიორიტეტებზე გაკეთდეს და, უპირველესად, საუკეთესო კლასის განათლების სისტემა და სოფლის მეურნეობა გვჭირდება, მხოლოდ შემდეგ შეიძლება ამოქმედდეს სათანადო მრეწველობა.

ჩვენს სოფელსაც სჭირდება სათანადო მეცნიერება, რომ სამედიცინო და ტურისტულ ობიექტებზე კვება საიმედო და კონკურენტუნარიანი იყოს. სამწუხაროდ, მეცნიერება, ხშირ შემთხვევაში, დოტაციურია და მოგებას არ იძლევა, მაგრამ სახელმწიფო სწორედ აქ უნდა იყოს ყველაზე მეტად მიზანმიმართული და მზრუნველი, ბაზართან ადეკვატური ეკონომიკური მექანიზმებით. შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკაც, პრიორიტეტების განჭვრეტასა და მათში ოპერატიულად ჩართვაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

მოთხოვნადი მეცნიერული ინფორმაციის მწვავე დეფიციტის ეპოქაში, მნიშვნელოვანწილად გარკვეულ, მაგრამ მწირ ინფორმაციაზე უარესი, ჭარბი ინფორმაცია აღმოჩნდა, ვინაიდან, ის დროის ძალიან დიდ ფუჭ დანაკარგებს იწვევს, რაც ყოვლად დაუშვებელია ინოვაციური ტექნოლოგიების დარგებში. ინფორმაციის გაზომვის ენტროპიულ-მათემატიკური მეთოდი ადასტურებს, რომ ჩვენ შესაძლოდ თანაბარძალოვნად ყოვლისმომცველი ინფორმაცია გვჭირდება. ენტროპიული მეთოდით ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფილებაც შეიძლება გავზომოთ და ამ მეთოდზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ერთი შეხედვით „რთული“ - ხარჯტევადი და დროში გაწელილი მეცნიერებატევადი დარგების (მ.შ. სამშენებლო ინდუსტრია და მანქანათმშენებლობა) იგნორირება არათუ სახიფათოა, დამღუპველიც არის. მარტივი დარგები ხშირად სწრაფ შემოსავალს გვაძლევს, მაგრამ ისინი სადესერტე ნუგბარს შეიძლება შევადაროთ და მხოლოდ შაქრიანი საკვების მიღება, მოგეხსენებათ, ყოვლად დაუშვებელია.

ინოვაციური ინფორმაციული, ფიზიკური და ბიო-ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებამ, მათ შორის „მოკლე ჩართვის“ ფაქტორმა ეკონომიკური კონკურენციის შეფასებაში დაადასტურა ჩვენი ადრინდელი კვლევების შედეგები, რომ ბაზარი არ უნდა იყოს მიდრეკილი ეგრეთ წოდებული „ჭიანჭველების გადაჭარბებული რაოდენობის აგრესიული გადაადგილებისკენ“, რაც, სხვადასხვა ეკონომიკური მექანიზმის კომბინირებული ძალისხმევით, საჭიროებს ზომიერ შეზღუდვას, ინფლაციის შეკავებასა და მტაცებლური დემპინგური ფასებით ოპერირებადი კრიმინალური მონოპოლიების მუდმივ მონიტორინგს.

პანდემიის გაკვეთილებმა და მრავალფაქტორულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ დასავლეთევროპულ ქვეყნებში, კორონავირუსის გამწვავებების კრიტიკული დონის მთავარ მიზეზებად გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

1) ვირუსისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი ტენიანი და ზომიერად თბილი კლიმატი სამხრეთ დასავლეთევროპულ ქვეყნებსა და მათ მიმდებარე რეგიონებში;

2) ტურისტული ნაკადების მაღალი ინტენსიობა;

3) მაღალტემპარამენტიანი სტუმართმოყვარე ბუნება და ზოგჯერ გადაჭარბებულად ემოციური ფსიქოტიპი;

4) უნიკალური სიძველის არქიტექტურული შედევრების სიმრავლე, რომლის მოვლა დიდ ძალისხმევას საჭიროებს (მ.შ. აუცილებელი ხდება საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა);

5) მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო მაგისტრალების გადაკვეთა;

6) ხარისხიანი საქონლისა და მომსახურების შედარებით დაბალი ფასები, რამაც მიგრანტების განსაკუთრებული მოზღვავება გამოიწვია.

კრიზისისშემდგომ საქართველოში, მიმდებარე რეგიონების ჩართულობით, მიზანშეწონილია, რომ ინდუსტრიული მომსახურების იმპორტშემცვლელი „სასათბურე“ ზონები მოვიაზროთ და მოვაწყოთ როგორც დედაქალაქში, ასევე ქუთაისში, ბათუმში, გორში, რუსთავში, ზესტაფონში, ჭიათურაში, სამტრედიაში, გურჯაანში, ზუგდიდსა და ოზურგეთში.

ქუთაისის ინდუსტრიულ ცენტრში ჭკვიანი მანქანების წარმოების ორგანიზება კონვეირულად გამოიწვევს რუსთავის მძლავრ ისტორიულ ინდუსტრიებზე მზარდი მოთხოვნის გაჩენასაც. გურჯაანი ფლაგმანი იქნება მევენახეობა-მეღვინეობაში, ბათუმი - თევზის პროდუქტებისა და ციტრუსოვანთა ხილფაფების წარმოებში, ზუგდიდი - თხილში, ოზურგეთი - მეჩაიეობაში, გორი - ვაშლისა და მისი გადამუშავების მრავალფეროვანი პროდუქტების წარმოებაში, თბილის-რუსთავისა და ზესტაფონ-ჭიათურა-სამტრედიის აგლომერაციები კი - მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში.

დასკვნა

თვალსაჩინო ფაქტია, რომ „კორონაეკონომიკის“ ექსტრემალურმა გარემოებებმა გამოავლინა, რომ, უახლოეს მომავალში, პრიორიტეტული მნიშვნელობა მეცნიერებასა და მეცნიერებატევად დარგებს უნდა მიენიჭოს.

საქართველოს ეკონომიკა და მათ შორის ჯანდაცვა შესაძლოდ საუკეთესოდ გაუმკლავდა კორონაპანდემიის აგრესიას, მაგრამ, მიუხედავად შედარებით წარმატებული შედეგებისა, ეკონომი-

კურმა სტაგნაციამ, უმწვავესად შეგვახსენა, რომ საქართველოს ეკონომიკის ცალკეული დარგისა და, ზოგადად, ქართული ბიზნესისათვის სასიცოცხლოდ აქტუალურია, რომ, უახლოეს პერიოდში, მთავარი აქცენტები ქვეყნისთვის არგუმენტირებულად განსაზღვრულ მიმართულებებზე უნდა გაკეთდეს.

გამომდინარე, კარგა ხანია ვასაბუთებთ და, უპირველესად, საუკეთესო კლასის სახელმწიფო დაფინანსების განათლების სისტემა და სოფლის მეურნეობა გვჭირდება - მხოლოდ შემდეგ ამოქმედდება სათანადო მრეწველობა. თავის მხრივ, მხოლოდ ბიზნესთან და მოსახლეობასთან მოთათბირებული და ეტაპობრივად და საყოველთაო ინსტიტუციონალური ჩართულობით გათვლილი ეკონომიკური სტრატეგია შეიძლება იყოს გლობალური ეკონომიკის სტაბილური განვითარების გარანტიც. გარე და შიგა ფაქტორების ინერციის მიუხედავად, ეკონომიკური პოლიტიკის მომავალი ნაბიჯები მაქსიმალურად დამაჯერებელი და შედეგიანი უნდა იყოს.

გასათვალისწინებელია გარემოება, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ უწყებებს არ ძალუძთ და არც მოეთხოვებათ მძლავრი ფინანსური ბერკეტები აამოქმედონ, მაგრამ მათ მიერ შემოთავაზებული მოქმედების პრინციპები, საგადასახადო ატრიბუტიკა თუ კონკურენტული გარემოს ფორმირების რეკომენდაციები რეალური და მაქსიმალურად ქმედითი უნდა იყოს.

გლობალური პანდემიის პირობებში, განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთა საჭიროება ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკაშიც, რომელიც გულისხმობს ბიზნესის გონივრულ კოორდინაციას სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკასთან, ინფლაციის საწინააღმდეგო მრავალსცენარული დაგეგმვის მექანიზმების გამოყენებას, კონკურენტულობისა და „მტაცებლური“ ფასების მუდმივი მონიტორინგსა და სათანადო კონცენტრაციას.

გამოყენებული წყაროები:

1. https://www.tsu.ge/
2. https://gtu.ge/
3. https://www.moh.gov.ge/
4. https://www.geostat.ge/ka
5. https://www.researchgate.net/profile/Revaz_Lordkipanidze

PRIORITIES OF THE GEORGIAN ECONOMY IN THE POST-CORONAVIRUS INFORMATION AGE

Revaz Lordkipanidze
Academic of the Georgian Academy of Economic Sciences,
with the highest grade in the Harvard University course “US Government”

Nino Maghradze
Doctoral Student of Georgian Technical University

ABSTRACT

Given the requirements of the information innovations of the post-coronavirus global economy, it is becoming increasingly clear that, among the priority high-tech industries, in the near future direct investments in diversified information technologies and energy, the construction industry, computer robotics and medical equipment will be most effective.

The organization of the production of smart cars in the Kutaisi industrial center will cause a growing demand for powerful historical metallurgical industries in Rustavi. Gurjaani will be the flagship in viticulture and winemaking, Batumi - in the production of fish products and citrus fruits, Zugdidi - in the production of walnuts, Ozurgeti - in tea production, Gori - in the production of various apple products and their processing, Tbilisi and other densely populated agglomerations - in diversified industries.

Keywords: Economic Priorities, Information Age, World Transport Roads, „Predatory“ Prices.

მკვდრადშობილი საჯარო სამსახურის სისტემის მაკოორდინირებელი ინსტიტუტი

ლაშა მგელაძე
ეკონომიკის დოქტორი
ტელ: (+995) 577229889
ელ.ფოსტა: lmgeladze@gmail.com

ანოტაცია

სტატიაშია განხილულია საჯარო სამსახურის სისტემის მაკოორდინირებელი უწყების, პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს - საჯარო სამსახურის საბჭოს ინსტიტუციური მოდელი და ფუნქციები. შეფასებულია მისი ეფექტიანობა - მისი გავლენა საჯარო სამსახურის სიტემის ეფექტიანად ფუნქციონირების თვალსაზრისით. წარმოდგენილია დასკვნები და მოსაზრებები ინსტიტუტის ფუნქციონირების ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: *საჯარო სამსახური, ინსტიტუციური მოდელი, რეფორმა*

შესავალი

ყველა თანხმდება, რომ ქვეყნის წინსვლისთვის, მისი მდგრადად, სწრაფად და ეფექტიანად განვითარებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საჯარო სამსახურის მოწყობის სისტემას. ერთი შეხედვით ყველასთვის ნათელია, რომ რაც უფრო მცირეხარჯიანი, მოქნილი, წამოჭრილ პრობლემებზე სწრაფად რეაგირებადი, ქვეყნის მართვის ჯაჭვში ეფექტიანად და ნაყოფიერად ჩართული საჯარო სამსახურის სისტემა და მმართველობა ეყოლება ქვეყანას მით უფრო სწრაფად და ეფექტიანად განვითარდება იგი. ზოგი, საჯარო სამსახურის რაც შეიძლება მეტი უფლებამოსილებებით აღჭურვის მომხრეა ზოგი კი პირიქით, ფიქრობს, რომ, რაც შეიძლება მცირე და გარდაუვლად აუცილებელი ფუნქციებით უნდა იყოს აღჭურვილი საჯარო სამსახურის სიტემა.

საჯარო სამსახურის სისტემის მოწყობის საკითხს ჩვენ მონოგრაფია მივუძღვენით 2018 წელს [5] და აქ სისტემის მოწყობის საკითხებზე აღარ შევჩერდებით. უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ საჯარო სამსახურის სისტემაში ერთი უწყების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება უაღრესად ნეგატიური ან პოზიტიური როლი ითამაშოს მთლიანად სისტემის ან ქვეყნის განვითარების მიმართულებით. ერთი უწყების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც შეიძლება ნაკლებ მნიშვნელოვანი ჩანდეს საჯარო სამსახურის სისტემის ან ქვეყნის ფუნქციონირებასთან მიმართებაში, ზოგჯერ დიდი გავლენა შეიძლება მოახდინოს ქვეყნის (საჯარო სამსახურის სისტემის) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

არის შედარებით ნაკლებ მასშტაბური სიტუაციებიც, როცა არსებობს ესა თუ ის სტრუქტურული ერთეული უბრალოდ არსებობისთვის. შესაბამისად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ უწყება, რომელიც არსებობს არსებობისთვის და არაფერს აფუჭებს (მითუმეტეს, თუ მისი ფუნქციონირებისთვის არ იხარჯება საბიუჯეტო სახსრები) არ არის ყურადღების დათმობისა და მისი რეფორმისთვის ენერგიის ხარჯვის ღირსი (არ არის პრიორიტეტული ამ საკითხის მოგვარება). უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი აზრით, ეფექტიან სისტემაში მსგავსი ტიპის ორგანიზაციები (რომელიც არსებობს არსებობისთვის და დიდი დატვირთვა არ გააჩნია ან „მკვდრადშობილია“) დიდი ხნით ვერ ფუნქციონირებს. სისტემაში სადაც მსგავსი ტიპის ორგანიზაციები არსებობს პირდაპირ მიანიშნებს, რომ სტრუქტურა არაეფექტიანია და საჭიროებს მასშტაბურ რეფორმას.

საჯარო სამსახურის საბჭოს ინსტიტუციური მოდელი

ამჯერად ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთი შეხედვით უმნიშვნელო მაგრამ მეტად სახასიათო (ტენდენციის აღმწერ/მიმანიშნებელ) საკითხზე/ორგანიზაციაზე - საჯარო სამსახურის სისტემის მაკოორდინირებელ, ფუნქციებით მნიშვნელოვან, ინსტიტუტზე ***საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს - საჯარო სამსახურის საბჭოს*** ინსტიტუციურ მოდელსა და ფუნქციებზე.

რატომ საჯარო სამსახურის საბჭო!? გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ ეს ინსტიტუტია, რომელსაც საჯარო სამსახურის ფუნქციონირების პულსზე უნდა ედოს ხელი და შეიმუშავებდეს სისტემის სრულყოფის რეკომენდაციებს. აძლევდეს დავალებებსა და მითითებებს საჯარო სამსახურის ბიუროს. განიხილავდეს და ხვეწდეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ წარმოდგენილ საჯარო სამსახურის სისტემის სრულყოფის სტრატეგიასა თუ რომელიმე კონკრეტული მიმართულების გაუმჯობესების გეგმას.

მაშ ასე - საჯარო სამსახურის საბჭო შექმნილია საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად [2, მუხლი 19]. საბჭოს ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი და იგი 11 წევრისაგან შედგება: 2 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი თავისი შემადგენლობიდან, 2 წევრს – საქართველოს მთავრობა თავისი შემადგენლობიდან, 2 წევრს – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთაგან, თითო წევრს ირჩევენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები თავიანთი შემადგენლობებიდან, ხოლო 2 წევრს ირჩევს თვითმმართველობის ასოციაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებისგან.

საჯარო სამსახურის საბჭოს შექმნის მიზანია: საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა. საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი იმავდროულად არის საჯარო სამსახურის საბჭოს წევრი/მდივანი.

საჯარო სამსახურის საბჭოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

- განიხილოს წინადადებები საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფისათვის;
- მოისმინოს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში და ამ ანგარიშში ასახულ საკითხებთან დაკავშირებით შეიმუშაოს რეკომენდაციები;
- ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში კენჭი უყაროს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხს;
- განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

საბჭოს დებულება დამტკიცებულია 2014 წლის 20 თებერვალს საქართველოს მთავრობის #179 დადგენილებით. დადგენილებაში უფრო დეტალურად არის ჩაშლილი საბჭოს ფუნქციები. კერძოდ:

„1. საკუთარი კომპეტენციიდან გამომდინარე, საბჭო საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენად ამზადებს რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა) საჯარო სამსახურის სისტემის ფუნქციონირების ერთიანი პრინციპებისა და მიდგომების შემუშავებისა და დანერგვის შესახებ;

ბ) საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის სრულყოფის შესახებ;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურების განვითარებისა და საქმიანობის სრულყოფის შესახებ;

დ) საჯარო მოსამსახურეთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი გამართული ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობის შესახებ;

ე) საჯარო სამსახურის სფეროს რეფორმების ერთიანი სტრატეგიისა და პრინციპების შემუშავებისა და დანერგვის შესახებ;

ვ) საჯარო სამსახურის სისტემის რეორგანიზაციასთან, ადამიანური რესურსების მართვასა და განვითარებასთან დაკავშირებული პროექტების, პროგრამებისა და ხელშეკრულების შეთანხმებისა და შესრულების შესახებ.

2. აგრეთვე საბჭოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) საჯარო სამსახურის სფეროს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება;

ბ) საჯარო სამსახურის სფეროში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

გ) საჯარო სამსახურის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-მეთოდური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.“ [3, მუხლი 2]

წარმოდგენილი ინფორმაციიდან ნათლად იკვეთება თუ რამხელა დატვირთვისა და მნიშვნელობის მატარებელი უნდა იყოს საჯარო სამსახურის საბჭო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი აკისრია საჯარო სამსახურის რეფორმირებისა და სრულყოფის თვალსაზრისით.

მაშ ასე, რა ხდება რეალურად, რა შეიძლება ით-

ქვას ამ ერთი შეხედვით მნიშვნელოვანი ფუნქციებით აღჭურვილ და საჭირო ინსტიტუტზე:

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზა მთელ რიგ შემთხვევებში არეულია და გაჯერებულია შეუთავსებელი ნორმებით - საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოთხოვნები და საბჭოს დებულების გარკვეული პუნქტები არ არის თანხვედრაში[1]. მაგალითად:

• საბჭოს დებულებაში წერია, რომ საბჭო შექმნილია „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 128 პრიმა მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოქმედ რედაქციაში კი, მსგავსი მუხლი საერთოდ არ არსებობს. 128 პრიმა მუხლი არსებობდა კანონის ძველ, დღეს უკვე გაუქმებულ რედაქციაში. შესაბამისად, მოქმედ დებულებაში ძველ კანონზეა მითითება. მოქმედი კანონით კი საჯარო სამსახურის საბჭოს შემქნის ვალდებულება მე-19 მუხლითაა განსაზღვრული.

• დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, საბჭოს წევრთა რაოდენობა განსაზღვრულია 12 ერთეულით მაშინ, როცა კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, საბჭოს წევრთა რაოდენობა 11 ერთეულით არის განსაზღვრული

• არ არის თავსებადი ასევე დებულებისა და კანონში განსაზღვრული წევრთა შემადგენლობა და ა.შ.

რაც შეეხება, სტრუქტურის მოწყობის შინაარსობრივ ნაწილს. ჩვენი აზრით:

• დასაზუსტებელია, რა საჭიროა/რა საჭირო იყო მუდმივმოქმედი საბჭოს შექმნა საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით?!

ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები პერიოდულად იკრიბებიან იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ საჯარო სამსახურის სრულყოფის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას. ჩვენი აზრით, საერთოდ აზრს მოკლებულია მსგავსი ინსტიტუტის კანონმდებლობით შექმნა. ნებისმიერ დროს შეიძლება არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, შეიქმნას შესაბამისი სპეციალისტების/თანამდებობის პირებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს არსებული თუ წარმოქმნილი გამოწვევების მოგვარებაზე. ეს უფრო მოქნილი და ეფექტიანი იქნება ვიდრე გარკვეული წესის შესაბამისად განსაზღვრული მუდმივმოქმედი საბჭო (მითუმეტეს სახელობითად განსაზღვრული და არა თანამდებობრივად).

მითუმეტეს, რომ პრაქტიკამ უკვე აჩვენა ამ ინსტიტუტის არაეფექტურობა. საბჭო ძალიან იშვიათად იკრიბება (თუ საერთოდ იკრიბება, ჩვენი ინფორმაციით თავისი არსებობის მანძილზე, შექმნიდან - 2004 წლიდან დღემდე სულ ორჯერ შეიკრიბა) და სრულად არაეფექტიანია მათი საქმიანობა;

• ასევე, დასაზუსტებელია, რა მიზანს ემსახურება საბჭოს წევრების პიროვნული განსაზღვრა. ანუ ვარჩევთ ადამიანებს საბჭოს წევრებად, რომლებიც შეიძლება ახლო მომავალში სხვა, საბჭოს წევრობისთვის შეუთავსებელ თანამდებობაზე გადავიდნენ. შესაბამისად, გვიწევს საბჭოს შემადგენლობის ხელახალი დამტკიცება, ან გვავიწყდება და არ ვცვლით საბჭოს შემადგენლობას - საბჭოს შემადგენლობა მისი შექმნის/დამტკიცების დღიდან არ განახლებულა, 2004 წლის აგვისტოდან;

• საბჭო რომ არაეფექტური ინსტიტუტია, ამაზე მეტყველებს ჩვენს მიერ ზემოთ ნაჩვენები შეუთავსებლობები საჯარო სამსახურის კანონსა და საბჭოს დებულებას შორის. საჯარო სამსახურის სისტემაში განხორციელდა რეფორმა. შეიცვალა სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა (2015 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა, ფაქტობრივად, საჯარო სამსახურის სისტემის მარეგულირებელი ახალი საკანონმდებლო პაკეტი) ხოლო საჯარო სამსახურის საბჭოს დებულებაში ცვლილებების განხორციელება არავის გახსენებია. ჩვენი აზრით, ინსტიტუტი იმდენად არაეფექტური და არანაყოფიერია, რომ არც კი იკრიბებოდა პერიოდულად და შესაბამისად, უბრალოდ მიავიწყდათ დაწესებულების დებულებაში ცვლილებების შეტანა.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ, საკითხის გარშემო მსჯელობას ჩვენ თავი ავარიდეთ 2018 წელს ჩვენი წიგნის წერისას და მივუთითეთ, რომ ეს საკითხის სცდება საკვლევ თემას (რადგან სხვა უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე გვქონდა საუბარი ვიდრე ეს „მკვდრადშობილი" ინსტიტუტია) [5, გვ. 96]. ამ საკითხზე ყურადღება არ გავამახვილეთ, რადგან ჩავთვალეთ, რომ კანონმდებლობაში წარმოქმნილი შეუთავსებლობები ტექნიკური ხასიათის იყო (მიუხედავად იმისა რომ ახალი კანონმდებლობის მიღებიდან -2015 წლიდან უკვე ორი წელი იყო გასული). ახლად რეფორმირებულ სისტემაში გამორჩათ ნორმატიული ბაზის სრულყოფა ამ მიმართულებით. ვიფიქრეთ, რომ მუშაობის პროცესში ავტომატურად წააწყდებოდნენ ამ პრობლემას და გამოასწორებდნენ. ჩვენ კი მხოლოდ შინაარსობრივ ნაწილს შევეხებოდით როცა ამ სტრუქტურის ავკარგიანობის საკითხს განვიხილავდით. აღმოჩნდა, რომ 2014 წლის შემდგომ, მას შემდეგ რაც დამტკიცდა საჯარო სამსახურის საბჭოს დებულება ამ საკითხს არ შეხებია არავინ და არ მომხდარა საკითხის გადახედვა. უფრო მეტიც საკანონმდებლო

1 გამოყენებულია საჯარო სამსახურის საბჭოს დებულება რომელიც იძებნება საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/2254356

ბაზის ცვლილების შემდეგაც (როგორც აღვნიშნეთ საკანონმდებლო ბაზა 2015 წელს შეიცვალა) კი არ დამტკიცებულა საჯარო სამსახურის საბჭოს შემადგენლობა. ანუ საჯარო სამსახურის საბჭოს შემადგენლობა დღემდე დამტკიცებული არ არის (2014 წლიდან დღემდე) ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს თუ რაოდენ უმოქმედო და უმნიშვნელოა ეს სტრუქტურა საჯარო სამსახურის ჯაჭვში. ინსტიტუტი არსებობს არსებობისთვის, მხოლოდ ფურცელზე და ფაქტობრივად მისი შემადგენლობაც კი არ არის განსაზღვრული.

ამასთან, ხაზი გვინდა გავუსვათ შემდეგ გარემოებას, საჯარო სამსახურის საბჭო შეიქმნა 2004 წლის 26 ივნისს[2] ხოლო საბჭოს შემადგენლობა დამტკიცდა იმავე წლის 16 აგვისტოს პრეზიდენტის ბრძანებულებით [4]. საბჭო საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წარმოადგენდა და ანალოგიური ფუნქციებით იყო აღჭურვილი როგორც საქართველოს მთავრობის 2014 წლის #179 დადგენილებითაა განსაზღვრული (სადაც საბჭო, საკონსტიტუციო ცვლილებებიდან გამომდინარე, უკვე პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს წარმოადგენს). როგორც უკვე აღვნიშნეთ 2004-2014 წლებში საბჭო მხოლოდ 2-ჯერ შეიკრიბა, უფრო მეტიც, საბჭოს შემადგენლობის შესახებ პრეზიდენტის განკარგულება მისი შექმნის შემდგომ არ განახლებულა (2004-2014წწ.). შესაბამისად, (გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს წევრები არ იყო/არის თანამდებობრივად განსაზღვრული და ისინი სახელობითად ინიშნებოდნენ) წევრები სხვა სამსახურში გადასვლისას ან საჯარო სამსახურიდან წასვლის შემდეგაც რჩებოდნენ საბჭოს წევრად და უწევდათ საჯარო სამსახურის თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის ყოველწლიურად შევსება.

ოპონენტებმა, შეიძლება თქვან: ის, რომ საჯარო სამსახურის საბჭო შექმნის დღიდან დღემდე უმოქმედო სტრუქტურაა არ ნიშნავს რომ ეს ინსტიტუტი არ გვჭირდება (მითუმეტეს, რომ საბჭოს წევრობა არაანაზღაურებადია).

ოპონენტების საპირწონედ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სტრუქტურის გარეშე აგერ უკვე 16 წელია მოქმედებს/ფუნქციონირებს საჯარო სამსახურის სიტემა. ეს კი თავისთავად მიუთითებს, რომ საბჭო ზედმეტი და არაეფექტიანი ინსტიტუტია (პრაქტიკამ აჩვენა, რომ მისი არსებობა საღ აზრს მოკლებულია). უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვნად ამოქმედების შემთხვევაში არსობრივად არაფერი შეიცვლება საჯარო სამსახურის გაუმჯოებესების კუთხით. პირიქით სისტემა უფრო მოუქნელი გახდება. ეს კიდევ უფრო გაზრდის ბიუროკრატიული სტრუქტურისთვის დამახასიათებელი პროცედურების სიმრავლის კომპონენტს, რაც პირდაპირპროპორციულად, ნეგატიურად აისახება გადაწყვეტილების მიღებისა და სისტემის დახვეწის სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესზე. ასევე, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ეს ფაქტი სისტემის ნეგატიური ტენდენციის მაჩვენებელია,. საჯარო სამსახურის სისტემაში წლების მანძილზე არსებობს სისტემის კოორდინაციისა და დახვეწის ფუნქციებით აღჭურვილი ინსტიტუტი, რომელიც „მკვდრადშობილია"/არ ფუნქციონირებს (უფრო მეტიც სისტემის რეფორმა ამ ინსტიტუტის გვერდის ავლით განხორციელდა/მიმდინარეობს) და არანაირი რეაგირება არ ხდება ინსტიტუტის რეფორმასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებით. ეს ნიშნავს, რომ სისტემა „დაავადებულია" მასში შეიძლება არსებობდეს უმოქმედო ან ზედმეტი ფუნქციებით აღჭურვილი ან არაეფექტიანი სტრუქტურული ერთეული ისე, რომ ეს საკითხი არავის აინტერესებდეს და პრობლემად არ აღიქმებოდეს. შესაბამისად, ჩვენი აზრით, აღნიშნული ფაქტი პირდაპირ მიანიშნებს სისტემის სრულად რეფორმის საჭიროებაზე - ჯანსაღ სისტემაში ავტომატურ რეჟიმში (მუშაობის პროცესში) დადგებოდა აღნიშნული ინსტიტუტის საჭიროების/რეფორმის საკითხი. ჯანსაღი სისტემა ვერ „აიტანდა" მსგავს სტრუქტურას (ისე, როგორც ჯანსაღი სხეული ვერ იტანს და ავტომატურად ებრძვის დაავადების გამომწვევ წანაზარდსა თუ ბაქტერიას).

დასკვნა

დასკვნის სახით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის გასაგებია საბჭოს შექმნის თეორიული მიზანი. საბჭო დაკომპლექტებულია ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებით. შესაბამისად, ითვლება, რომ ასე უფრო კვალიფიციურად და ეფექტურად მოხერხდება საჯარო სამსახურის სისტემის, ხელისუფლების ყველა შტოზე ზრუნვა და დახვეწა. რეალურად კი, ჩვენი აზრით, თავიდანვე ცხადი იყო (საბჭოს შექმნის მიზნიდანაც ცხადი ხდება), რომ აღნიშნული ინსტიტუტი არაეფექტიანი იქნებოდა. იგი ვერ უპასუხებს/პასუხობს არსებულ გამოწვევებს, არ არის მოქნილი და ადეკვატური.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ საჯარო სამსახურის საბჭო ზედმეტი ბიუროკრატიული ინსტიტუტია. იგი „მკვდრადშობილია", უფრო ხისტს და არაეფექტიანს ხდის საჯარო სამსახურის მონიტორინგისა და მისი დახვეწისათვის წინადადებების/რეკომენდაციების შემუშავების პროცესს. შესაბამისად მიზანშეწონილია აღნიშნული ინსტიტუტი გაუქმდეს.

2 2004 წლის 26 ივნისს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმადაც საქარველოს პრეზიდენტთან შეიქმნა საჯარო სამსახურის საბჭო (მუხლი 128, პ.2).

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ - 1997 წლის 30 აგვისტოს მიღებული
2. საქართველოს კანონი სჯარო სამსახურის შესახებ - 2015 წლის 27 აგვისტოს მიღებული
3. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვალს #179 დადგენილება - საჯარო სამსახურის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ
4. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 16 აგვისტოს #710 განკარგულება პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს საჯარო სამსახურის საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ
5. ლაშა მგელაძე - საჯარო სამსახურის გამოწვევები და მისი გადაჭრის გზები, წიგნი, თბილისი, 2018 წელი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", 256 გვ.
6. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი www.matsne.gov.ge

UNPRODUCTIVE PUBLIC SERVICE SYSTEM COORDINATING INSTITUTE

Lasha Mgeladze
PHD, economics

ABSTRACT

The article discusses the institutional model and functions of the Civil Service Council. This institution is the advisory body of the Prime Minister and coordinates the functioning of the public service system. The article assesses the effectiveness of this Council - its impact on the effective functioning of the public service system. Conclusions and suggestions regarding the effectiveness of the institution are presented.

Keywords: Civil Service, Institutional Model, Reform

ტყის, როგორც გარემოს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობის ელემენტის მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობის პრობლემა თანამედროვე საქართველოში

თემურ მონიავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო
და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სატყეო საქმის
სპეციალობის დოქტორანტი

ანოტაცია

ნაშრომში, ნაჩვენებია, რომ კაცობრიობას დიდი დრო დასჭირდა იმის გასაგებად, რომ ტყის მცენარეული საფარის მტაცებლური ექსპლუატაცია მის ინტერესებში არ შედიოდა, რადგან გაუჭირდა იმის აღიარება, რომ ტყის დაუნდობელი ექსპლუატაციით იგი მომავალ თაობას დაესესხა „ეკოლოგიურ კაპიტალს". საზოგადოების ამგვარი იდენფერენტულობა კი ავტორმა ახსნა არაერთი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორით, თუმცა, მათ შორის გამოყო უმთავრესი, კერძოდ ის, რომ როგორც წესი, ძალიან ჭირდა და დღემდე ასეა, გარემოსათვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანის ოდენობის ზუსტი შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა ასევე, მისი ანაზღაურების ეფექტური სამართლებრივი ფორმის შერჩევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზიანის მიყენებას აქვს ადგილი ტყის ექსპლუატაციის კანონით ნებადართულ შემთხვევებში.

საკვანძო სიტყვები: *ეკოლოგია და ზიანის საფრთხეები, ზიანის შეფასების სამართლებრივი ფორმები.*

შესავალი

ტყის მცენარეული მრავალფეროვნების გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის არსებობა. თუმცა, მცენარეული საფარის დაცვაზე ზრუნვა, სხვადასხვა ეპოქის თუ მთელი რიგი სხვა გარემოებების გათვალისწინებით არასოდეს ყოფილა მისი ექსპლუატაციის მასშტაბების ექვივალენტური.

თანამედროვე პირობებში მსოფლიო თანამეგობრობამ გარკვეულწილად თავი დააღწია ამ მდგომარეობას და ცალკეულ ქვეყნებში გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები მდგომარეობის გამოსასწორებლად. მეტიც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ძალისხმევით შეიქმნა არაერთი ორგანიზაცია და მიღებულ იქნა მთელი რიგი სამართლებრივი აქტები გარემოს და შესაბამისად ტყის დაცვის მიმართულებით. თუმცა, ისინი დიდ არეალს უტოვებენ ეროვნულ სახელმწიფოებს, რომ საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღონ მათთვის სასურველი კანონები.

აღნიშნული გარემოებით ისარგებლა არაერთმა ქვეყანამ, რომელთაც მიაჩნიათ, რომ გვერდზე უნდა გადადონ გარემოსდაცვითი მცდელობები და უპირატესობა მიანიჭონ ეკონომიკურ განვითარებას. მათ შორის გარკვეულწილად მოიაზრება საქართველოც, რადგან ტყის, როგორც გარემოს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობის მრავალფრეროვნების შესანარჩუნებლად განხორციელებული ღონისძიებები, ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს.

შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილია იმ პრობლემათა ანალიზი, რაც ხელს უშლის ტყის მცენარეული მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობას თანამედროვე საქართველოში.

საქართველოს ტყეები მიეკუთვნება რთულ ბუ-

ნებრივ ბიოლოგიურ ობიექტთა რიცხვს, რომელთა ჯამური ფართობი მსოფლიო მასშტაბით შეადგენს დედამიწაზე ხმელეთის ხვედრითი წილის 28%-ს, ანუ დაახლოებით 4 მილიარდ ჰექტარს და მასზე განლაგებულია დაახლოებით 336 მილიარდი კუბური მეტრი ხე-ტყის ნედლეულის მარაგი.

საქართველოში არსებული ტყეები თავის მხრივ გაერთიანებულია საქართველოს ერთიან ტყის ფონდში, მასში შემავალი ტყეების მესაკუთრე კი შეიძლება იყოს სახელმწიფო, საპატრიარქო, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი (იხ. საქართველოს ტყის კოდექსის 9.1 მუხლი).

თუმცა, ის გარემოება, რომ კანონით დაშვებულია ტყეზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრების არსებობა სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მათი უფლებები ამ მიმართებით საკუთრებაზე შეუზღუდავია, რადგან საქართველოს ტყის კოდექსის 10.1 მუხლის ა) ქვეპუნქტის თანახმად მესაკუთრეებს ევალებათ, რომ მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლონ მათ საკუთრებაში არსებული ტყით. ასევე, მათვე ევალებათ, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღკვეთონ მათ საკუთრებაში არსებული ტყის ან მისი ნაწილის უკანონო მფლობელობა ან გამოყენება, ხოლო ზიანის მიყენების შემთხვევაში მოითხოვონ მისი ანაზღაურება (იხ. საქართველოს ტყის კოდექსის 10.1 მუხლის ბ) ქვეპუნქტი).

ზემოთქმული ადასტურებს, რომ სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში ტყის განსაკუთრებული დანიშნულებიდან გამომდინარე (იხ. საქართველოს ტყის კოდექსის პრეამბულა) საქართველომ თავის თავზე აიღო საკუთრების ფორმის მიუხედავად, საქართველოს ტყის ფონდის და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთოების მოწესრიგება (იხ. საქართველოს ტყის კოდექსის 1-ლი მუხლი).

ქართული სახელმწიფოს მიზანი მოცემულ შემთხვევაში ,,მდგრადი განვითარების სატყეო პრინციპების შესახებ'' გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის დეკლარაციისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების რეალიზაციის სურვილითაა ნაკარნახები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ტყის რესურსების მეცნიერულად დასაბუთებული შესაძლებლობების საფუძველზე მათი მიზნობრივი, კომპლექსური და რაციონალური გამოყენებით საქართველოსა და მისი მოსახლეობის ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და კილტურული მოთხოვნების დაკმაყოფილება (იხ. საქართველოს ტყის კოდექსის მე-4 მუხლი და ამავე კოდექსის მე-3 მუხლის ე) ქვეპუნქტი).

აღნიშნული ცხადყოფს, რომ ქვეყანა ერთგვარად აგრძელებს საქართველოში ტყის ექსპლუატაციის (ანუ მისი რესურსების მიზნობრივად გამოყენების) თაობაზე უხსოვარი დროიდან არსებულ ტრადიციას, რადგან მეცნიერულად დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს, რომ გარდა პირადი საჭიროებისა ჩვენი წინაპრები ტყის მცენარეულ საფარს, რომელიც საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის (1918-1921 წლები) მოპოვებამდე ძირითადად კერძო პირთა საკუთრებას წარმოადგენდა, იყენებდნენ სამრეწველო მიზნებისთვის.

ამავდროულად, განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს ძლიერების პერიოდზე, ქართული სახელწიფო ცდილობდა კონტროლქვეშ მოექცია ტყის მცენარეული სიკეთის მოხმარება და არ დაეშვა მისი უყაირათოდ ექსპლუატაცია, რასაც თუნდაც დღემდე შემორჩენილი ის ლეგენდაც ადასტურებს, რომლითაც თამარ მეფეს (XII საუკუნე) უარით გაუსტუმრებია წითელი ხის მთხოვნელი უცხოელი, რის გამოც ამ ხეს დღემდე ჰქვია ,,უთხოვარი''[1]. მცენარეული საფარის (და შესაბამისად ტყის), როგორც მაღალი სოციალური დანიშნულების მქონე სიკეთის, დაცვის აუცილებლობაზე ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს სინამდვილეში სხვა არაერთი ხელისუფალიც.[2] ისევე, როგორც ტყის მცენარეული საფარის დაცვის საქმეში დიდია რელიგიის როლი. ამის თვალსაჩინო მაგალითს კი წარმოადგენს ის, რომ ქრისტიანობამდე საქართველოში თაყვანს სცემდნენ არა მხოლოდ ცალკეულ ღმერთებს, არამედ გამორჩეული მერქნის მქონე ხეებსაც, მაგ. მუხას, ცაცხვს, უთხოვარს და აშ., შედეგად კი გაჩნდა წმინდა ხეები და მათ ირგვლივ არსებული ხელუხლებელი ტყეები, რომელთაც არავინ ჭრიდა, მეტიც, ქარის მიერ წაქცეულსაც კი არავინ ეკარებოდა.

ქრისტიანობის შემოღების შემდეგ მართალია აიკრძალა წმინდა ხეებისადმი, როგორც კერპებისადმი თაყვანისცემა, მაგრამ მოსახლეობა მათთდამი მოწიწებას მეხსირებაში ინახავდა და თანდათანობით წმინდა ტყეები იქცა ე.წ. ,,ხატის ტყეებად,'' რომლებიც ეკლესია-მონასტრების საკუთრებას წარმოადგენდა და მათში ხის მოჭრასაც კი, ვინაიდან ტაბუ ჰქონდა დადებული ისინი იქცნენ თავისებურ პირველ მინინაკრძალებად[3].

ამდენად, თუნდაც ,,ხატის ტყის'' არსებობა ადა-

1 გოცირიძე ლ, ,,დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბების მსოფლიო-ისტორიული პროცესი და საქართველოს რეალობა'' (ბორჯომ-ხარაგაულის პარკის მაგალითზე). ჟურნალი ,,სატყეო მოამბე''. დეკემბერი, 2015 წელი, #10, გვ. 29.

2 მონიავა პ(თ). შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში. თბილისი. 2013 წელი. გვ. 32.

3 გოცირიძე ლ., ზემოთ მითითებული ნაშრომი, გვ. 28.

სტურებს იმ ფაქტს, რომ ადამიანმა ისწავლა ტყის მცენარეული საფარისგან მიღებული სიკეთეებით სარგებლობა, და, ვინაიდან იცოდა, რომ მის გარეშე უბრალოდ ვერ იარსებებდა, ზრუნავდა კიდეც მის აღდგენა-შენარჩუნებაზე, რადგან, მოცემულ შემთხვევაში „ხატის ტყის" ხელშეუხებლობა განიხილებოდა ტაბუდ[4]. რაც გულისხმობდა იმას, რომ ამ სახის ტყის დასაცავად გამოიყენებოდა არა ჩვეულებრივი სამართლის ნორმა არამედ ადამიანის შეგნებაში ღრმად ფესვგადგმული რწმენა იმასთან დაკავშირებით, რომ ეკლესიისათვის გამოყოფილი ტყე საღვთო და ხელშეუხებელია.

თუმცა, ისიც უდავოა, რომ კაცობრიობის ეკონომიკურმა განვითარებამ და თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფმა ზრდამ გააძლიერა ანტროპოგენური ზემოქმედება გარემოზე, ანუ სხვა სიკეთის მისაღებად ადამიანი ივიწყებს იმ სიკეთეს რაც მისთვის ტყის მცენარეულ საფარს მოაქვს და აღნიშნულის შედეგია ის, რომ განხორციელებულმა ინტენსიურმა და ხშირ შემთხვევაში არარაციონალურმა საქმიანობამ გაანადგურა ტყის მცენარეული საფარი დიდ ფართობებზე, ხოლო ბევრი სახეობა საერთოდაც გაქრა.

ანალოგიური ვითარება შეიქმნა საქართველოშიც, კერძოდ კოსმიურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკურად დაბალანსებული მდგრადი გარემოს ფორმირებისა და შენარჩუნების საქმეში ტყეების ფასდაუდებელი მნიშვნელობის მიუხედავად, არათუ შორეულ წარსულში, არამედ XXI საუკუნის პირველ ათწლეულშიც კი საქართველოში ტყეებზე ზრუნვა ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს, რადგან მერქნის საშუალო წლიური შემატება 1 ჰა ფართობზე (ანუ ტყის პროდუქტიულობა) 2 კბმ-საც ვერ აღწევს, რითაც საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

აღნიშნულის მიზეზი მრავალია, მაგრამ განსაკუთრებით უნდა ითქვას იმის თაობაზე, რომ არაეფექტური გამოდგა 2004 წლიდან დარგში გატარებული ე.წ. „რეფორმები", რომლებმაც ნაცვლად აღორძინებისა და განვითარებისა, ტყის განადგურებას შეუწყო ხელი, რადგან ადგილებზე გაუქმდა წარმატებით ფუნქციონირებადი სატყეო მეურნეობები. დიდი შეცდომა იყო, ასევე დარგიდან პროფესიონალების (მეტყევე-სპეციალისტების) განდევნა, სამთო მეტყევეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისა და „საქტყეპროექტის" გაუქმება.

ისევე, როგორც არაეფექტური გამოდგა ტყის რესურსების (ტყეკაფების) არაპროფესიონალ ლიცენზიანტებზე, თანაც გრძელვადიანი გადაცემის პრაქტიკის შემოღება, რადგან მან ხელი შეუწყო მინიმალური დანახარჯებით რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი მერქნის ამოქაჩვას ტყეებიდან, ხოლო ამ მავნე პრაქტიკის გადაფარვის მიზნით პარლამენტის მიერ მიღებულმა არაერთმა მართლსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო დაამძიმა დარგში არსებული მდგომარეობა, ვინაიდან მაგალითისთვის ლიცენზიანტს ნება დაერთო მოეჭრა ხე-ტყე სადაც უნდოდა და როგორც სურდა იმდენი ოდენობით ოღონდაც კი გადაეხადა რესურსის ღირებულება.

მოგვიანებით, მწვანეთა პარტიის ძალისხმევით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მართალია ანტიკონსტიტუციურად ცნო ეს გადაწყვეტილებები, მაგრამ განადგურებულ ტყის მასივების ხელახლა აღდგენას დიდძალი შრომა და არაერთი წელი სჭირდება[5].

ყოველივე ამით კიდევ ერთხელ დაზარალდა საზოგადოება, რომელიც ტყის და ზოგადად მცენარეული საფარის ექსპლუატაციისადმი მტაცებლური დამოკიდებულების გამო განიცდის, როგორც ხილულ, ანუ ლეგალურ ისე ფარულ დანახარჯს/ზარალს, რადგან ჯერ ერთი ფუჭია ადამიანის ყოველგვარი კეთილდღეობა, თუ მას ჯანსაღ გარემოში ცხოვრების საშუალება არა აქვს[6] და მეორეც ეკონომიკურ საქმიანობაში (მაგ. სილიკო მანგანუმის წარმოება და ამ პროდუქციით ვაჭრობა, დარიშხანის მოპოვება და აშ), ვინაიდან საზოგადოების ცალკეული წევრები მონაწილეობდნენ და არა მთელი საზოგადოება, ვერ ღებულობს სათანადო სარგებელს.

აღნიშნული კი განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა მას შემდეგ რაც საზოგადოებამ დაამსხვრია მცირერიცხოვან ექსპლოატატორთა ერთპიროვნულ ბატონობაზე დაფუძნებული კერძო საკუთრების მარწუხები და საზოგადოებრივი საკუთრების ახალ მოდელს ჩაუყარა საფუძველი.

თუმცა, კაცობრიობას მაინც დიდი დრო დასჭირდა ჯერ იმის გასააზრებლად, რომ არსებული

4 ტერმინი „ტაბუ" არქაული ენიდან მომდინარეობს და დასაბამს იღებს ჯეიმს კუკის ხელმძღვანელობით წყნარი ოკეანის ჩრდილოეთით ჩატარებული ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალებიდან, საიდანაც ირკვევა, რომ პოლინეზიის კუნძულ ტონგაზე არსებობს გამოთქმა „Ta pu," რაც გულისხმობს „არაჩვეულებრივს", „საღვთოს," „მკაცრად გამოყოფილს და ხელშეუხებელს." (მაგ. იხ. Schroder H. „Tabuforschund als Aufgame interkultultureller Germanisti, Iahrbuch Deutsch als Fremdsprache, Bd.21 (1995), 15.)

5 გვაზავა თ., „საქართველოს სატყეო მეურნეობის დარგის აღორძინებისა და განვითარების კომპლექსური ღონისძიებები,"საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „სატყეო მოამბე", დეკემბერი, 2015 წელი, #10. გვ. 7-8.

6 ბითაძე მ. „ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალზე". დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი. თბილისი. 2008 წელი. გვ. 10.

ვითარება მის ინტერესებში არ შედიოდა და შემდეგ საკუთარი თავის იმაში დასარწმუნებლადაც, რომ მეტი ძალისხმევა მიემართა შესაბამისი ეკოსისტემური სერვისების, ბიომრავალფეროვნების ღირებულების და ტყის მცენარეული საფარის ექსპლუატაციით საზოგადოებისათვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანის ეკონომიკურ-სამართლებრივი შეფასების ფორმების და მის საკომპენსაციოდ ეფექტური მექანიზმების შესაქმნელად.

ანუ, კაცობრიობას გაუჭირდა იმის აღიარება, რომ ტყის დაუნდობელი ექსპლუატაციით იგი მომავალ თაობას დაესესხა „ეკოლოგიურ კაპიტალს“[7]. საზოგადოების ამგვარი იდენფერენტულობა, თავის მხრივ აიხსნება არაერთი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორით, თუმცა, მათ შორის უმთავრესია ისაა, რომ როგორც წესი, ძალიან ჭირდა და დღემდე ასეა, გარემოსთვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანის ოდენობის ზუსტი შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა ასევე, მისი ანაზღაურების ეფექტური სამართლებრივი ფორმის შერჩევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზიანის მიყენებას აქვს ადგილი ტყის ექსპლუატაციის კანონით ნებადართულ შემთხვევებში.

7 Кудриашова Л. Н., Наше Общее Будущее. 1987, 204.

დასკვნა

ტყის, როგორც გარემოს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობის ელემენტის მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად განხორციელებული ღონისძიებების არაეფერქტურობას ძირითადად განაპირობებს: ტყის მცენარეული საფარის არნახული ოდენობით ჭრა ურბანული პროექტების განსახორციელებლად; ტყის სფეროში დასაქმებულ პროფესიონალთა გაუმართლებელი სიტემატიური ცვლა, რასაც ადგილი ჰქინდა არცთუ შორეულ წარსულში; მათთვის სამოქმედო არეალის დაუსაბუთებელი გაზრდა; თანამედროვე მენეჯმენტის მიღწევების არასათანადოდ გამოყენება; ტყის დაცვის სფეროში საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობაზე უარის თქმა; მსოფლიოს ყველა კუთხეში, მათ შორის საქართველოშიც, ტყის მცენარეული საფარის განადგურება მასშტაბური ხანძრების გამო და განადგურებულის არასათანადოდ აღდგენა. ასევე ის, რომ როგორც თეორიაში ისე სასამართლო პრაქტიკითაც ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი თუ რა სახის სამართლებრივი ფორმა (მატერიალური თუ ნატურალური) უნდა იყოს პრიორიტეტული ტყის მცენარეული მრავალფეროვნების შენარჩუნებლად. თუმცა, ფორმალურად მოქმედი კანონმდებლობა აღიარებს ტყის რესტიტუციას, ანუ დაზიანების მიყენებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია.

2. „მდგრადი განვითარების სატყეო პრინციპების შესახებ“ გაეროს 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის დეკლარაცია.

3. გოცირიძე ლ., „დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბების მსოფლიო-ისტორიული პროცესი და საქართველოს რეალობა” (ბორჯომ-ხარაგაულის პარკის მაგალითზე). ჟურნ. „სატყეო მოამბე“. დეკემბერი, 2015 წელი, #10, გვ. 29.

4. Schroder H., „Tabuforschund als Aufgame interkultultureller Germanisti, Iahrbuch Deutsch als Fremdsprache, Bd.21 (1995).

5. გვაზავა თ., „საქართველოს სატყეო მეურნეობის დარგის აღორძინებისა და განვითარების კომპლექსური ღონისძიებები,“საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „სატყეო მოამბე“, დეკემბერი, 2015 წელი, #10. გვ. 7-8.

6. ბითაძე მ., „ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალზე“. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი. თბილისი. 2008 წელი.

7. Кудриашова Л. Н., Наше Общее Будущее. 1987, 200.

THE PROBLEM OF THE EFFECTIVENESS OF MEASURES IMPLEMENTED IN THE PRESENT-DAY GEORGIA TO PRESERVE THE FOREST DIVERSITY AS AN ELEMENT OF GLOBAL ECOLOGICAL IMPORTANCE FOR THE ENVIRONMENT

Temur Moniava
Doctoral Student of Georgian Technical University,
Faculty of Transportation and Mechanical Engineering

ABSTRACT

In the work shows that it took humanity a considerable time to realize that the predatory exploitation of forest vegetation is beyond the scope of its interests, since it found it hard to admit the fact that throughmerciless exploitation ofthe forest resources it borrowed the 'environmental capital' from the future generation.

The author explains the society's indifference by a number of subjective and objective factors, highlighting the most important one among them, namely that defining the criteria for accurate estimation of the ecological damage caused to the environment, as well as selecting an effective legal form of compensation therefor, has always been a hard task, especially if the matter concerns the damage incurred in the cases of forest exploitation permitted by law.

Keywords: Ecology and threats of damage, legal forms of damage assessment.

„ახალი მსოფლიო წესრიგის“ ისტორიული ნარატივები

ეკატერინე ლომია
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: ekaterine.lomia@ciu.edu.ge

ანოტაცია

ცნება - „ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომელმაც პოლიტიკის მეცნიერებაში განსაკუთრებული აქტუალობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან შეიძინა, არცთუ ისე ახალია. როგორც მსოფლიო ისტორიული პროცესები ცხადყოფს, აღნიშნული პარადიგმა მნიშვნელოვანი გლობალური მოვლენების პარალელურად ვითარდება და მსოფლიო პოლიტიკის დიდ სურათს ქმნის. ზემოაღნიშნულის თვალსაჩინო ილუსტრაციაა 1648 წლის ვესტფალიის ზავი, 1776 წლის ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია, 1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია, 1917 წლის რუსეთის რევოლუცია, 1919 წელს „ერთა ლიგის“ დაარსება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნა, „ცივი ომი“ და სხვა.

სტატიის მიზანია განიხილოს „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ისტორიულ ჭრილში. ნაშრომში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია XX საუკუნეში დამყარებულ წესრიგზე, რომელმაც მსოფლიო გავლენის სფეროებად გაყო და მნიშვნელოვნად განსაზღვრა XXI საუკუნეში გლობალიზაციის კვალდაკვალ ჩამოყალიბებული „ახალი მსოფლიო წესრიგიც“.

საკვანძო სიტყვები: *„ახალი მსოფლიო წესრიგი“, გლობალური პოლიტიკა, კონფლიქტები, ომი, მშვიდობა.*

შესავალი

მსოფლიოში მშვიდობის დამყარება და ომის დამანგრეველი ფენომენის თავიდან აცილება მუდამ იყო და რჩება კაცობრიობის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად, რომლის მოლოდინში სამყარომ ათასწლეულები გალია. მშვიდობიანი მსოფლიოს აუცილებლობა ალბათ დასაბამითვე იდგა, მაგრამ XX საუკუნე გასულ საუკუნეებზე გაცილებით უფრო მკაცრი და საშინელი აღმოჩნდა, რომელსაც წითელ ზოლად სდევდა ყველაზე მასშტაბური, სისხლისმღვრელი და დამანგრეველი ომები კაცობრიობის ისტორიაში. პოლიტიკური, კულტურული და ტექნოლოგიური რევოლუციების კვალდაკვალ, მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში ინტენსიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა მასშტაბის საომარი ოპერაციები და კონფლიქტები. სწორედ XX საუკუნის პროდუქტებია ატომური იარაღის შექმნა, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა სახის მასობრივი განადგურების საშუალებები. აღნიშნულმა მოვლენებმა ორჯერ უფრო მეტად აქტუალური გახადა მშვიდობაზე საუბარი და სამეცნიერო წრეებში მოამწიფა შეხედულება, რომ საყოველთაო კეთილდღეობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიღწევა ჯერ კიდევ შორეული ხედვის მირაჟია და კაცობრიობის წინაშე ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ცივილიზაციათა გადარჩენის საკითხი, რომელიც მეორე მხრივ, სწორედ პოლიტიკის ამოუხსნელი ბუნებითაც არის განპირობებული.

1990 წლის 11 სექტემბერს, აშშ-ის (ამერიკის შეერთებული შტატები) კონგრესზე, „ახალი მსოფლიო წესრიგისადმი“ მიმართულ გამოსვლაში, ჯორჯ

ბუშმა (უფროსი), რომლის თვალწინ ის-ის იყო ბერლინის კედელი დაინგრა და საბჭოთა კავშირმა დაშლა დაიწყო, საზოგადოებას საკუთარი მიზნები გააცნო „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ პოსტ-საბჭოურ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შესახებ: „დღემდე, მსოფლიო, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით, შეიცვალა-გაიყო ეკლიანი მავთულებითა და ბეტონის კედლებით, კონფლიქტებითა და „ცივი ომით“. ახლა, ჩვენ უკვე შეგვიძლია დავინახოთ მომავალი ახალი მსოფლიო, რომელშიც არსებობს „ახალი მსოფლიო წესრიგის“ სავსებით რეალური პერსპექტივა. უინსტონ ჩერჩილმა სიტყვებში *„მსოფლიო წესრიგი“*, იგულისხმა *„სამართლიანობის პრინციპები და პატიოსანი თამაში... სუსტის დაცვა ძლიერისგან...“*, მსოფლიო, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისუფალია „ცივი ომის“ ჩიხისგან და მზად არის მშვიდად განახორციელოს დამფუძნებელთა ისტორიული ხედვები. მსოფლიო, სადაც თავისუფლებასა და ადამიანთა უფლებების პატივისცემას ყოველი ერი იგრძნობს“.[7]

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა, „ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმის ხელახლა ამოქმედებას ითვალისწინებდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ტერორის საფრთხისგან თავისუფალ სამყაროს, სამართლიანობისა და მშვიდობისკენ სწრაფვას, აღმოსავლეთ–დასავლეთისა და ჩრდილოეთ–სამხრეთის ჰარმონიულ თანაარსებობას მოასწავებდა. ამრიგად, ეს ბუნდოვანი ფრაზები სინამდვილეში დიდ სახელმწიფოთა მეტ თანამშრომლობას, გაეროს (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) გაზრდილ როლსა და საერთაშორისო სამართლის მეტ მნიშვნელობას გულისხმობდა.

1. „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ისტორიულ ჭრილში

ვინაიდან, მსოფლიო პოლიტიკაში „ახალი მსოფლიო წესრიგის“ პარადიგმის ძირითადი პრინციპები და ამოცანები მსოფლიო ჰეგემონობისკენ სწრაფვაა, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ იგი ჯერ კიდევ უძველესი ცივილიზაციებიდან იღებს სათავეს. მაგალითად, ანტიკურ ეგვიპტეში „ახალი მსოფლიო წესრიგი“ გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებს მოიცავდა.[9] ცალკეული მცდელობები კი, რომლებიც მიმართული იყო მსოფლიო ან რეგიონური დომინირების მიღწევისკენ, ალექსანდრე მაკედონელის, ჩინგიზ ხანის, ნაპოლეონისა და ჰიტლერის ეპოქებს უკავშირდება.

1648 წლის ვესტფალიის ზავი, რომელმაც ევროპის კონტინენტზე ოცდაათწლიანი ომი და საომარი მოქმედებები დაასრულა, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ერთ-ერთ საწყის ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ. ვესტფალიის ზავის შედეგად გაქარწყლდა რომის კათოლიკური ეკლესიის გავლენა მაშინდელი ევროპის სამხედრო და პოლიტიკურ სისტემაზე, აიძულა ქვეყნები არ ჩარეულიყვნენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში და პატივი ეცათ მხარეთა ტერიტორიული უფლებებისა თუ დამოუკიდებლობისთვის. მეორე მხრივ, ვესტფალიის ზავმა განამტკიცა რელიგიური შემწყნარებლობის პრინციპი *(cuius religio, eius religio* - ვინც მართავს, რწმენასაც განაგებს) და საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელი სახელმწიფოებისგან შემდგარი ევროპის „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შექმნას. ცხადია, მას შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე არაერთი ომი გაჩაღდა, როგორც ევროპის საზღვრებს შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ვესტფალიის ომისშემდგომი საომარი მოქმედებები უფრო იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხასიათს ატარებს და არ განიხილება უშუალოდ რელიგიური დაპირისპირების ჭრილში.[16]

უფრო მოგვიანებით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, „ახალი მსოფლიო წესრიგი“ მყარდება ამერიკის კონტინენტზე. კაცობრიობის ისტორიაში დგება გარდამტეხი ეტაპი, როდესაც მონობის უღელს დაქვემდებარებული ადამიანები ერთხმად ილაშქრებენ დამოუკიდებლობისა და თანასწორობისთვის, იბრძვიან რა, დაიცვან ღვთის მიერ ბოძებული სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების ხელშეუვალი უფლებები და „დაშალონ ის პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც მათ სხვა ხალხებს უქვემდებარებს“. შედეგად, 1776 წლის 4 ივლისს ჩრდილოეთ ამერიკის ცამეტი კოლონია დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობას აცხადებს.[2] დეკლარაციის ტექსტის ავტორი თომას ჯეფერსონი წერდა: „ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანები შექმნილნი არიან როგორც თანასწორი არსებანი, მათ ღვთის მიერ მინიჭებული აქვთ გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორიცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრაფვა“.[3]

1789-1794 წლების საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია გარდამტეხი ეტაპია კაცობრიობის ისტორიაში. მან საფუძველი ჩაუყარა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარებას არა მარტო ევროპის კონტინენტზე, არამედ დიდწილად განსაზღვრა მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე უბრალო ადამიანების უფლებები და თავისუფლებები. საფრანგეთის რევოლუციამ დაამხო აბსოლუტური მონარქია და ნიადაგი მოუმზადა კაპიტალიზმის დამყარებას. რეცოლუციის შედეგად, ქვეყანაში დასრულდა მონარქთა შეუზღუდავი მმართველობის

ძველი რეჟიმი და „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა გამოცხადდა“. აღნიშნულ მოვლენებს წინ უძღოდა დიდი იდეოლოგიური რევოლუცია, ფრანგი განმანათლებლების თაოსნობით (დენი დიდრო, ფრანსუა მარი არუე ვოლტერი, ჟან-ჟაკ რუსო, შარლ ლუი დე მონტესკიე და სხვა), რომელთა ნაშრომებმა და პოლიტიკურმა შეხედულებებმა დიდი წვლილი შეიტანა საფრანგეთის რევოლუციაში.[13]

ისტორიის პროცესების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მხოლოდ 13 ასწლეულში ჯვაროსნული ლაშქრობებისა და ბიზანტიის იმპერიის გაძლიერების შედეგად მოხერხდა დასავლეთში საფინანსო-ეკონომიკური რესურსების აკუმულირება, რამაც იმავდროულად ანგლო-საქსონური ცივილიზაციის ლიდერობა განსაზღვრა. მოგვიანებით, XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი გავლენიანი სუბიექტი-„ანგლო-ამერიკული ისტებლიშმენტი“.[2] რიჩარდ ჰოლის მიხედვით, სწორედ ანგლო-ამერიკული ისტებლიშმენტი, ტრანსნაციონალური ოლიგარქიის მხარდაჭერით, ხელს უწყობდა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ პარადიგმის განვითარებას.[10]

2. XX საუკუნის მსოფლიო წესრიგი: ამერიკის შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი და „ცივი ომის“ პერიოდის მსოფლიო გადანაწილება

XX საუკუნის დამდეგს, რუსეთის რევოლუციების ქარცეცხლიანმა ეპოქამ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გაერთიანების, სსრკ-ის (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი) შექმნას ჩაუყარა საფუძველი, რომელმაც ბოლო მოუღო ცარისტული მმართველობის მრავალსაუკუნოვან ეპოქას რუსეთის იმპერიაში. პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაიშალა არ მარტო რუსეთის, არამედ ოსმალეთის, ავტრია-უნგრეთისა და გერმანიის იმპერიები. როგორც სამუელ ჰანტინგტონი აღნიშნავდა: „დასავლეთმა დაიპყრო სამყარო არა საკუთარი იდეებით, ფასეულობებითა და რელიგიური უპირატესობებით, არამედ ორგანიზებული ძალადობით. დასავლეთის მცხოვრებნი ხშირად ივიწყებენ ამ ფაქტს, არადასავლელები ამას არ დაივიწყებენ არასდროს“.[14,გვ.269]

ვუდრო უილსონის მიერ „ერთა ლიგის“ შექმნა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ერთგვარ პოლიტიკურ-სამართლებრივ კონსტრუქციად მიიჩნევა და ფაქტობრივად, XX საუკუნის მსოფლიო წესრიგის ქვაკუთხედადაც მოიაზრება. უილსონის დებულების მიხედვით, აშშ-ის მსოფლიოში იმ ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვაზე უნდა ეზრუნა, რომელზეც დაფუძნებულია თვით აშშ-ის 1774 წლის კონსტიტუცია. მისი შეხედულების თანახმად, ამერიკის მთავარი დანიშნულება ამ კუთხით, დემოკრატიული პრინციპებისა და ლიბერალური ღირებულებების დაცვა იყო. შესაბამისად, უილსონი მკაცრად ეწინააღმდეგებოდა ამერიკული იზოლაციონიზმის პოლიტიკას. მან ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნა 14 პუნქტისგან შემდგარი „ერთა ლიგის“ გაერთიანება, რომლის უმთავრესი მიზანი მსოფლიო პოლიტიკურ აქტორებს შორის ძალთა გადანაწილება, კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საყოველთაო მშვიდობის დამყარება იყო.[12]

უილსონი ასევე მკაცრად ეწინააღმდეგებოდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ზედმეტი დასჯის იდეას და მიიჩნევდა, რომ შურისძიების სურვილით შეპყობილი ქვეყანა გაცილებით უფრო სახიფათო იქნებოდა მსოფლიოსთვის გრძელვადიან პერსპექტივაში. თუმცა, მიუხედავად ამისა, ვერსალის ზავმა მაინც მკაცრად დასაჯა გერმანია, დაათმობინა უდიდესი ტერიტორიები, ხოლო რურის ინდუსტრიული ოლქი დემილიტარიზებულად გამოცხადდა.

მოგვიანებით, „ერთა ლიგის“ უძლურებამ მსოფლიოში ყველაზე მასშტაბურ და სისხმლისმღვრელ კონფლიქტამდე მიგვიყვანა, რომელმაც სამოცი მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და კიდევ ერთხელ ეჭვქვეშ დააყენა კაცობრიობის გადარჩენის საკითხი. ასევე, მომწიფდა შეხედულება, რომ გაერთიანებამ ვერ შეძლო კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მიუხედავად ამისა, XX საუკუნის პირველ ნახევარში, „ერთა ლიგა“ მაინც დაედო საფუძვლად ისეთი გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას როგორიცაა გაერო.

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების ლიდერებმა ე.წ. „დიდი სამეული“ შექმნეს, აშშ-ის, სსრკ-ისა და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებით. სწორედ ფრანკლინ დელანო რუზველტს, იოსებ სტალინსა და უინსტონ ჩერჩილს უნდა გადაეწყვიტათ მსოფლიოს სამომავლო ბედი და ის, თუ როგორი იქნებოდა მეორე მსოფლიო ომისშემდგომი „ახალი მსოფლიო წესრიგი“. უინსტონ ჩერჩილი მიზნად ისახავდა ისეთი მსოფლიო ხელისუფლების ჩამოყალიბებას, რომელიც გლობალურ პრობლემებს მოაგვარებდა. მისი ღრმა რწმენით, კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოს პოლიტიკური ცვლილებებისა და ძალთა ბალანსის გამომხატველი ახალი ეპოქის დასაწყისი. სწორედ, აღნიშნული პათოსით იყო განპირობებული 1943 წლის თეირანისა და 1945 წლის იალტის კონფერენციები „დიდ სამეულს“ შორის.[4]

ამრიგად, მსოფლიო ხელისუფლების ჩამოყალიბებამ პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნისკენ

უბიძგა, რომელიც მათივე რწმენით, გლობალურ პრობლემებს მოაგვარებდა, კაცობრიობას ომის დამანგრეველ ფენომენს აარიდებდა და მარადიული მშვიდობის დამყარებას შეუწყობდა ხელს. გაეროს შემქმნელებს სჯეროდათ, რომ იგი უფრო ქმედითი იქნებოდა ვიდრე „ერთა ლიგა“ და მისი ქოლგის ქვეშ ყველა, ტერიტორიულად დიდი თუ პატარა სუვერენული სახელმწიფოს ინტერესი ერთნაირად იქნებოდა დაცული.

გაერო მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, 1945 წელს, სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე შეიქმნა. დასაწყისშივე იგულისხმებოდა, რომ გაეროს „ერთა ლიგის“ მიერ დაშვებული შეცდომები უნდა „გამოესწორებინა“. იგი რეალიზმისა და იდეალიზმის ერთგვარი ნაზავია, მისი ქარტია კი ორგანიზაციაში გაწევრიანების მსურველ ყველა სახელმწიფოს ავალდებულებს პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს, უარი თქვას ძალის გამოყენებაზე, საერთაშორისო კონფლიქტები მოაგვაროს მხოლოდ მშვიდობიანი გზით და პატივი სცეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

მიუხედავად იმისა, რომ გაერომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და დიდ წარმატებას მიაღწია მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე მიმდინარე კონფლიქტების მართვა-დარეგულირების კუთხით (როგორიცაა 1959 წელს ინდოეთსა და პაკისტანს შორის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება, 1962 წელს დანიასა და ინდონეზიას შორის დაპირისპირების განმუხტვა და სხვა), მეოცე საუკუნის მიწურულს, ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა გაეროს ქმედითუნარიანობის საკითხი. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია ორგანიზაციის სრული უმოქმედობა საბჭოეთის ინტერვენციების წინააღმდეგ, ჯერ კიდევ 1950-1960-იან წლებში, როდესაც გაერომ ვერ შეძლო საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული კონფლიქტების დარეგულირება უნგრეთში (1956), ჩეხოსლოვაკიასა (1968) და ავღანეთში (1979). ეს დიდწილად განპირობებული იყო გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის სტრუქტურით, რომელთა შორის აშშ-ის, დიდ ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჩინეთიც გვერდით რუსეთიც არის წარმოდგენილი (1991 წლამდე საბჭოთა კავშირი). უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა პრივილეგია- „ვეტოს“ უფლება, ლეგიტიმურ უფლებამოსილებას ანიჭებს რუსეთს დაბლოკოს ან არ გაატაროს მისი საგარეო კურსისთვის შეუთავსებადი ან მიუღებელი გადაწყვეტილება.[11,გვ. 213-215]

ფართო გაგებით, „ცივი ომიც“, როდესაც ყოფილ მოკავშირეებს შორის მწვავე იდეოლოგიური და პოლიტიკური დაპირისპირება ორმოცდაათწლიან კონფრონტაციაში გადაიზარდა და მსოფლიო ე.წ. „ზესახელმწიფოებად“ და მათზე დაქვემდებარებულ სატელიტებად დაყო, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ გარანტი იყო. დაპირისპირებამ კაპიტალისტურ და სოციალისტურ ბანაკებს შორის რამდენჯერმე დააყენა ბირთვული ომის საფრთხე და არაერთი კრიზისული სიტუაცია შექმნა .ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში.[1]

„ცივი ომის“ პერიოდში, აშშ-ის საგარეო პოლიტიკურმა კურსმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. მისი იზოლაციონისტური პოლიტიკა უფრო აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსით შეიცვალა და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულების გარანტორი გახდა, როგორც დასავლეთის, ანუ კაპიტალისტური სამყაროს ერთპიროვნული ლიდერი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმის გავრცელების შესაჩერებლად, აშშ-მა ისეთი ფართომასშტაბიანი ღონისძიებები განახორციელა, როგორიცაა ნატოს (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) სამხედრო ბლოკის შექმნა, მარშალის გეგმა, საბერძნეთისა და თურქეთისთვის სამხედრო მხარდაჭერა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნატო-ში გაწევრიანება და ა.შ.

ამრიგად, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ რთული და ხანგრძლივი პროცესი ფონად გაჰყვება აშშ-ის ისტორიულ და პოლიტიკურ-კულტურულ ევოლუციას, დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან XX საუკუნის მიწურულამდე, როდესაც იგი ერთადერთ ზესახელმწიფოდ გამოცხადდა და მნიშვნელოვნად განსაზღვრა არა მარტო XX საუკუნის, არამედ XXI საუკუნის ძალთა ბალანსი მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწორედ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ კონტექსტში განიხილება აშშ-ის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან, განსაკუთრებით კი XX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან, როდესაც მახლობელი აღმოსავლეთი აშშ-სთვის „სასიცოცხლო მნიშვნელობის ზონად“ განისაზღვრა. აღნიშნულმა კონცეფციამ არაბული სამყაროს, ირანის, ისრაელისა და თურქეთის გარდა ცენტრალური აზიის დასავლეთი ნაწილი და ტრანსკავკასიური რეგიონი მოიცვა. აშშ-ის პერსპექტივიდან, კავკასიის რეგიონი განიხილებოდა როგორც „სტრატეგიული ენერგეტიკული ელიფსი“, რომლის საზღვრებში მსოფლიო რესურსების 70 %-ია თავმოყრილი.[8]

„ახალი მსოფლიო წესრიგის“ შექმნისა და მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბების ერთგვარ ფორმულირებას წარმოადგენს ცნობილი პოლონელ-ამერიკელი პოლიტოლოგისა და მეცნიერის ზბიგნევ ბჟეზინსკის ცნობილი ნაშრომი „დიდი საჭადრაკო დაფა: ამერიკული პოლიტიკა და მისი გეოსტრატე-

გიული იმპერატივები". ბჟეზინსკი ამტკიცებს, რომ აშშ-ის გეოპოლიტიკური სიძლიერე და მისი ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო რესურსები აძლევს მას საშუალებას დიდ საჭადრაკო დაფაზე მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშე გახდეს. იგი მიიჩნევს, რომ აპრიორულად მნიშვნელოვანია სწორედ ამერიკული უნივერსალური სტრატეგიის გავრცელება ევრაზიის კონტინენტზე.[8]

მკვლევართა მეორე ნაწილის მოსაზრებით, „ახალი მსოფლიო წესრიგის" სტრუქტურა, მიზანი და ამოცანები დასაწყისშივე უნდა განისაზღვროს ისე, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღებოდეს არა რომელიმე ერთი სახელმწიფოს ნებით ან სახელით, არამედ მსოფლიო თანამეგობრობაში შემავალი თითოეული ქვეყნის ინტერესების დაცვითა და გათვალისწინებით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთო კონსენსუსის შედეგად. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა საჭიროა იმ ღირებული ფასეულობების შენარჩუნება, რომელიც ისტორიის უწყვეტი და ხანგრძლივი პროცესის მსვლელობაშია დაგროვილი.

რობერტსონი გვთავაზობს „ახალი მსოფლიო წესრიგის" რამდენიმე ნიმუშს. მის მიერ ფორმულირებული ანტიგლობალური ტიპოლოგიის თანახმად, მსოფლიო განიხილება, როგორც ჩაკეტილი ცივილიზაციების მოზაიკა, რომელშიც "ფუნდამენტალურად ორიენტირებულ" ძალებს აქვს მკვეთრი მიდრეკილება აღადგინოს „ძველისძველი სოციალური წარმონაქმნები".[15];[2] ამასთანავე, დანარჩენი ცივილიზაციები უნდა იყოს დახურული და არ ქმნიდეს „უკეთესი წყობილების" საფრთხეს.

მეორე სცენარი განიხილავს დედამიწაზე ღმერთის მეუფების იდეას, რომელსაც ქადაგებს არა მარტო რომის კათოლიკური ეკლესია, არამედ სხვადასხვა ეკონომიკური თუ ეკოლოგიური მოძრაობა. აღნიშნული მოდელის მიხედვით, აუცილებელია საერთოპლანეტარული კონსენსუსის მიღწევა ისეთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევებთან მიმართებით, როგორიცაა საერთაშორისო უსაფრთხოება და საერთაშორისო სამართალი.

რობერტსონის მიერ შემუშავებული მესამე სცენარის თანახმად, სამყარო, ეს არის სუვერენული და ურთიერთგახსნილი სახელმწიფოების ერთობლიობა, რომელთა შორის ინტენსიურად მიმდინარეობს როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და კულტურული გაცვლები. მოცემულ პრიზმაში, მკვლევარი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა პოლიტიკურად თანაბარი უფლებების მქონე სახელმწიფოებს წარმოადგენს, ეს იგივეა რაც „ცივილიზაციათა იერარქია", რომელიც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და უსაფრთხოების გარანტიას უზრუნველყოფს.

მეოთხე სცენარი გულისხმობს კაცობრიობის გაერთიანებას მსოფლიო მთავრობის ეგიდით. რობერტსონის მიხედვით, აღნიშნული სცენარი შეიძლება წარმოვიდგინოთ ევროკავშირის ჭრილში, როდესაც დღევანდელ პოლიტიკურ ელიტებში სერიოზულად განიხილება ევროკავშირის თანამეგობრობის ეკონომიკური ინტეგრაციიდან უფრო პოლიტიზირებული ფორმისკენ ტრანსფორმირების საკითხი.[15];[2]

ამრიგად, მსოფლიო მმართველობის იდეა ემსახურება სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, რომელიც მიზნად ისახავს დედამიწაზე მშვიდობის დამყარებასა და კონფლიქტების თავიდან აცილებას „მსოფლიო ხელისუფლების" მეშვეობით. XX საუკუნეში განვითარებულმა პროცესებმა, კერძოდ კი, ორი მსოფლიო ომის გამოცდილებამ, რომელსაც თან სდევდა უპრეცედენტო სამხედრო, ეკონომიკური და ტექნოლოგიური ზრდა, საერთაშორისო თანამეგობრობა მიიყვანა იმ აზრამდე, რომ საჭირო იყო მსოფლიო მმართველობის ჩამოყალიბება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „მსოფლიო მოქალაქეობის" ცნების დანერგვა და მსოფლიო ხალხების კულტურული, რელიგიური და ენობრივი გაერთიანება, რომელიც თავის მხრივ, მოსპობდა განსხვავებულობისა და მუდმივი მეტოქეობის სურვილს ქვეყნებსა და ცივილიზაციებს შორის და დედამიწაზე ნანატრ მშვიდობას დაამკვიდრებდა. როგორც უკვე აღინიშნა, გლობალური მართვის პირველ მცდელობად შეიძლება სწორედ „ერთა ლიგა" ჩაითვალოს.

მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი სკეპტიკურად აფასებს „მსოფლიო მმართველობის" როგორც „ახალი მსოფლიო წესრიგის" დამყარების იდეას და ამტკიცებს, რომ იგი შესაძლოა მსოფლიო ტირანიად იქცეს. მაშასადამე, მეცნიერთა ეს ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს „მსოფლიო მოქალაქეობის" ცნების დანერგვის რეალურ შესაძლებლობას. მათ არგუმენტად მოჰყავთ ხალხებს შორის კულტურული, რელიგიური და ენობრივი განსხვავება, განსხვავებული ტრადიციები, ადათ-წესები და ისტორიული მეხსიერება, რომელიც ერი-სახელმწიფოების იდენტობის უმნიშვნელოვანესი ფასეულობებია. მაშასადამე, მათი „ერთ ხალხად" გაერთიანება, აპრიორულად მიუღებელია, უსამართლობასთან ერთად. მესამე და ასევე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია გეოგრაფიული და ინსტიტუციური სიშორე ხელისუფლებასა და ხალხებს შორის, რომელიც ძნელად წარმოსადგენს ხდის მსოფლიო მმართველობის სისტემის წარმატებული და გამართული მექანიზმის თეორიიდან პრაქტიკაში განხორციელებას.[11,გვ. 213]

ამდენად, „ახალი მსოფლიო წესრიგის" რთული და ხანგრძლივი პროცესი ფონად გაჰყვება აშშ-ის ისტორიულ და პოლიტიკურ-კულტურულ ევო-

ლუციას, დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან XX საუკუნის მიწურულამდე, როდესაც იგი ერთადერთ ზესახელმწიფოდ გამოცხადდა და მნიშვნელოვნად განსაზღვრა არა მარტო XX საუკუნის, არამედ XXI საუკუნის ძალთა ბალანსი. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა ე.წ. „ანგლო-ამერიკული ისტებლიშმენტი“ და მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე. ასე მაგალითად, ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ქ. კუიგლი ხაზგასმით აღნიშნავდა „ანგლო-ამერიკული ისტებლიშმენტის“ ქსელურ ხასიათს საერთაშორისო მნიშვნელობით და ყურადღებას ამახვილებდა მის განსაკუთრებულ როლზე მსოფლიო ისტორიაში, როგორც „Pax-Britannica“, ასევე „Pax-Americana”, პერიოდში. ავტორის მიხედვით, აღნიშნული სუბიექტი, ტრანსნაციონალური ორგანიზაციების მხარდაჭერით, ხელს უწყობდა და თან სდევდა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ პარადიგმის განვითარების ხანგრძლივ პროცესს.[10]

ამერიკელმა ჟურნალისტმა ჩიპ ბერლეტმა აღნიშნა: „როდესაც პრეზიდენტ ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ აშშ-ის ახალი საგარეო პოლიტიკა ხელს შეუწყობდა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შექმნას, ამ ფორმულირებამ ელექტროშოკივით დაუარა მოსახლეობას, რადგან ფრაზა მათ აღიქვეს, როგორც საზარელ ერთიან მსოფლიო მმართველობად „კოლექტივიზაცია“. ზოგიერთმა ქრისტიანმა პრეზიდენტის განცხადება მიიღო, როგორც გაფრთხილება ბოლო ჟამს მსოფლიო ლიდერთა მხრიდან ღალატის შესახებ. ანტიკომუნისტებმა კი დაინახეს აშშ-ის სუვერენიტეტის განადგურებისა და გაეროს მეშვეობით ტირანული კოლექტივიზმის თავს მოხვევის რეალური შესაძლებლობა“.[6]

გასული საუკუნის 80-იან წლების დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა, როდესაც საბჭოთა კავშირის კრიზისს მოგვიანებით მისი დაშლა მოჰყვა შედეგად, კიდევ ერთხელ შეცვალა მსოფლიო წესრიგის ვექტორები. თუ, „ცივი ომის“ დაპირისპირების მთელი ორმოცდახუთი წლის მანძილზე დასავლეთი უპირობო ლიდერად მიიჩნეოდა, ხოლო საბჭოთა კავშირი მისი ბირთვული პოტენციალის წყალობით, აშშ-ის საპირწონე ძალას ქმნიდა აღმოსავლეთში, 1980-იანი წლების ბოლოდან ნათელი ხდება ვაშინგტონის უალტერნატივო ლიდერობა და საბჭოთა კავშირის სრული მარცხი.

პოლიტიკური სურათი მკვეთრად იცვლება XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საფარქვეშ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ჯერ ავღანეთში (2001 წ.), ხოლო მოგვიანებით კი ერაყში შეიჭრა (2003 წ.). მეორე მხრივ, ენერგომატარებლებზე ფასების მკვეთრმა ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა რუსეთის ევროპაზე გავლენა. აღნიშნულ პერიოდს დაემთხვა ვლადიმირ პუტინის კრემლში აღზევება, რომელმაც რადიკალურად შეცვალა მსოფლიო წესრიგის პარადიგმები.

„ახალი“ თუ „ძველი“ მსოფლიო წესრიგის ნორმებს შორის, ცალკე განხილვის საგნად რჩება რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოსა და უკრაინაში; გაეროს წევრ სახელმწიფოებს შორის ჯერ კიდევ არ არსებობს კონსენსუსი ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობა, ეროვნული სუვერენიტეტი და ადამიანის უფლებები, მსოფლიოს წინაშე კი ისევ სადავო საკითხია „ისეთი სამართლიანი ახალი მსოფლიო წესრიგის“ ფორმირება, რომლის ნორმებიც ერთნაირად იქნება სავალდებულო ყველა სახელმწიფოსთვის განურჩევლად მათი სიდიდისა, სიმდიდრისა თუ სიძლიერისა“.[5,გვ. 24-25]

დასკვნა

ზემოაღნიშნული პროცესების თანმიმდევრული ანალიზი ცხადყოფს, რომ „ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომელიც არაერთ ასწლეულს მოიცავს, საზოგადოების განვითარებასთან ერთად ყალიბდება და კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გლობალური მასშტაბის ტრანსფორმაციას განიცდის. ასევე ეჭვგარეშეა, რომ ექსპანსიონიზმის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმისკენ მიდრეკილი სახელმწიფოებისთვის „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ერთპიროვნული მმართველობისა და მსოფლიო ბატონობის შენარჩუნებასთან ასოცირდება, რომლის არაერთი მაგალითი შემოინახა ისტორიის ფურცლებმა.

შუა საუკუნეებისგან განსხვავებით, როდესაც მსოფლიო დომინანტად ცენტრალური აზია გვევლინება, XX საუკუნემ დაგვანახა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დამაგრეველი ძალის-ნაცისტური გერმანიის აღზევების მცდელობის გამანადგურებელი შედეგები, რომელმაც სამოც მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და კიდევ ერთხელ დააფიქრა პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკური და სამეცნიერო ელიტა ცივილიზაციის გადარჩენის საკითხზე.

„ცივი ომის“ პერიოდში ზესახელმწიფოებს-ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის მწვავე გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური დაპირისპირების ერთგვარი პროდუქტებია ნატოსა და ვარშავის პაქტის შექმნა, ბერლინის კრიზისი (1948-1949), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა (1949), კრიზისი კორეაში, ვიეტნამში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვა, როდესაც ზესახელმწიფოები, მსოფლიოს

სხვადასხვა კონტინენტზე, მათი რეგიონული დომინანტობის შენარჩუნების მიზნით, ფართომასშტაბიან ომებს აწარმოებდნენ.

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კონფრონტაციის დასრულებას არაერთი გარდამტეხი ცვლილება მოჰყვა შედეგად, რომელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სსრკ-ის ნგრევა და მასში შემავალი 15 სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოპოვება, მზარდი ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების ფონზე, რომელიც „ცივი ომის" შემდგომი „ახალი მსოფლიო წესრიგის" თანმდევი პროცესი ხდება.

ისტორიკოსთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ XXI საუკუნის მსოფლიო წესრიგი ფაქტობრივად, „ცივი ომის" ერთგვარი გაგრძელებაა, ვინაიდან ყოფილ ზესახელმწიფოებს შორის დღესაც არაერთგზის იკვეთება ინტერესთა დაპირისპირება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე მწვავე სამხედრო კონფლიქტების ჭრილში (სირია, ლიბია, იემენი სხვა). ამასთანავე, რეგიონული დომინანტობისთვის იბრძვიან ჩინეთი, თურქეთი, ირანი და ნავთობით მდიდარი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, რომელიც თავის მხრივ, კიდევ უფრო რთულსა და კომპლექსურ ხასიათს სძენს ისედაც ცვალებად საერთაშორისო სისტემას.

რუსეთის ფედერაციის მიერ ჯერ საქართველოს სუვერენული ტერიტორიების ოკუპაციამ, ხოლო მოგვიანებით კი-ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიამ კიდევ ერთი კონფლიქტი წარმოშვა პოსტსაბჭოთა სივრცეში და ისევ დააფიქრა მსოფლიო თანამეგობრობა იმაზე, თუ როგორია რეალურად XXI საუკუნის მსოფლიო წესრიგი, როდესაც დიდი ძალები, ისევ აქტიურად ახდენენ ძალის დემონსტრირებას მათი „იმპერიალისტური" ამბიციების დაკმაყოფილებისა და „ახალი მსოფლიო წესრიგის" დამყარების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] აბაშიძე ზ., (2009). *ცივი ომი, წარსული თუ დღევანდელობა.* თბ.;

[2] გორგილაძე, ი., (2016). *ახალი მსოფლიო წესრიგი ამერიკულ გეოპოლიტიკაში.* სოციალური მეცნიერების საკითხები. "უნივერსალი", თბ.;

[3] დამოუკიდებლობის დეკლარაციის პრეამბულა. *კონგრესი, 1776 წლის 4 ივლისი.* ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო;

[4] პაპასქირი თ., (2010). *დიდი სამეულის კონფერენციები.* "მერიდიანი". თბ.;

[5] ღუდუშაური ნ., (2009). *ახალი მსოფლიო წესრიგი და კავკასია.* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ.;

[6] Berlet C., (1998). *Dances with devils, How apocalyptic and millennianist Themes influence wightwing scapegoating and conspiracism.* political research associates, Somerville, MA 02143;

[7] Bush G. H., (1990). *Address Before a Joint Session of Congress,* Septeber 11. USA;

[8] Brzezinski Z., (1997). *The grand chessboard.* New York: Basic Books;

[9] Dobbin F., Simmons, B., and Garrett, G. (2007). *The global diffusion of public policies: Social construction, coercion, competition, or learning?* Annu. Rev. Sociol., 33, 449-472;

[10] Hall P. A., (1993). *Policy paradigms, social learning, and the state: the case of economic policymaking in Britain.* Comparative politics, 275-296;

[11] Heywood A., (2013). *Politics.* The Palgrave Macmillan;

[12] Kissinger H., (2014). *Diplomacy.* In Geopolitics (pp. 114-115). Routledge;

[13] Kropotkin P. A., (1909). *The Great French Revolution,* 1789-1793 (Vol. 1). W. Heinemann;

[14] Marsh D., and Sharman, J.C. (2009). *Policy diffusion and policy transfer.* Policy studies, 30(3), pp.269-288;

[15] Robertson R., (1992) *Globality, global culture and images of Word Order.* Social change and modernity, Barkeley;

[16] Wikinson P., (2010). *International relations.* Sterling Publishing Company.

HISTORICAL NARRATIVES OF THE "NEW WORLD ORDER"

Ekaterine Lomia,
Ph.D candidate in Political Science
Caucasus International University

ABSTRACT

The conception of the "new world order", that has gained special attention in political science since the collapse of the Soviet Union, is not a new paradigm. As world-historical processes show, it has developed in parallel with important global events and created a big picture of world politics. Clear illustrations of the mentioned are the Treaty of Vestphalia signed in 1648, the Declaration of Independence of the United States of America signed in 1776, the French Revolution in 1789, the Russian Revolution in 1917, creation of the League of Nations in 1919, United Nations and the North Atlantic Treaty Organization etc.

The aim of the article is to discuss the "new world order" from historical perspectives. The work focuses on the world order of the XX century, which divided the world into the opposing sides and has significantly defined the "new world order" of the XXI century as well.

Keywords: *"New world order", Global Politics, Conflicts, War, Peace.*

საქართველოში საწარმოების განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშემშლელი მიზეზები და მათი გადაჭრის გზები

ეკატერინე გიგოლაშვილი,
სტუ-ს მე-2 კურსის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: kote_gera@mail.ru

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში, გაანალიზებულია საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშემშლელი მიზეზ-ფაქტორები; ამ უკანასკნელთა გამოვლენისათვის, ახალი და ძველი მეთოდოლოგიით, სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე დახასიათებულია კერძო სექტორი, წლიური ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება და დასაქმება საწარმოთა ზომის მიხედვით, ასევე, რეგისტრირებული და აქტიური მეწარმე სუბიექტები, რეგიონების, საქმიანობის სახეებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით. შემოთავაზებულია საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის წინადადებები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *მცირე და საშუალო საწარმო; მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის გზები; სოციალური ფონი; ეკონომიკური ჩამორჩენა; აქტიური მეწარმე-სუბიექტები, წლიური ბრუნვა; დასაქმება; პროდუქციის გამოშვება; მთლიანი შიდა პროდუქტი.*

თანამედროვე საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონის, მძიმე სოციალური ფონის, კატასტროფული შემოსავლებრივი უთანაბრობის ანუ მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონისა და ევროკავშირში გაწევრიანებაზე ორიენტირებული საქართველოს დიდი ეკონომიკური ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშემშლელი მიზეზ-ფაქტორები და მათი აღმოფხვრის გზების ჯეროვანი მეცნიერული შეუსწავლელობაა.

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში ახალი მეთოდოლოგიით განსაზღვრული მცირე და საშუალო საწარმოების არსებული მდგომარეობისა და დინამიკის ღრმა და სისტემური ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი იქნას განვითარების შემაფერხებელი მიზეზ-ფაქტორები და შემუშავდეს მათი აღმოფხვრის გზები და მიმართულებები.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავარკვიოთ - როგორ გამოიყურება ძველი მეთოდოლოგიით სხვადასხვა ზომის საწარმოთა წილი საწარმოთა მთლიან რაოდენობაში, პროდუქციის საერთო გამოშვებაში და დასაქმებში. ასევე მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, დინამიკაში რა გავლენა მოახდინა ახალმა მეთოდოლოგიამ თითოეულის წილის ცვალებადობაზე. ცნობილია, რომ 2017 წლის აპრილიდან ამოქმედდა „საქსტატის“ მიერ საწარმოთა კლასიფიკაცია ახალი მეთოდოლოგიით. ეს მეთოდოლოგია ევროსტანარტებთან არის შესაბამისობაში, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების წილი მთლიანად საწარმოთა რაოდენობაში, პროდუქციის საერთო გამოშვებაში და დასაქმებში. ასე მაგალითად, სტატისტიკის ძველი მეთოდოლოგიით საწარმოთა 95% იყო მცირე და საშუალო, 5% (ანუ 5780) კი მსხვილი. მცირე და საშუალო საწარმოების წილი ბიზნეს-სექტორის ბრუნვაში შეადგენდა

18%-ს, ხოლო მსხვილი საწარმოებისა-82%-ს. მცირე და საშუალო სექტორში შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 43 პროცენტი იყო დასაქმებული.

ახალი მეთოდოლოგიით 2018 წლის მონაცემებით, საწარმოთა 99,7% არის მცირე და საშუალო, ხოლო 0,3% (ანუ 526 საწარმო) მსხვილი. მცირე და საშუალო საწარმოების წილმა ბიზნეს-სექტორის ბრუნვაში შეადგინა დაახლოებით 59.1%, ხოლო მსხვილი ბიზნესის წილმა-40.9%. დასაქმებულთა 64% მოდის მცირე და საშუალო ბიზნესზე და 36% მსხვილ საწარმოებზე. მცირე ბიზნესის დომინირება ეკონომიკაში უნდა აიხსნას იმით, რომ არ საჭიროებს დიდ კაპიტალსა და სხვა ეკონომიკურ რესურსებს [1]. ანალოგიური მაჩვენებლები ევროკავშირში შემდეგნაირად გამოიყურება: მსბ-ი მთლიანი ბიზნესის 99,8 პროცენტს შეადგენს, მათზე მოდის დასაქმებულთა 67 პროცენტი და გამოშვების დაახლოებით 58 პროცენტი [4].

ზემოთ მოხმობილი სტატისტიკური მონაცემები მეტყველებენ იმაზე, რომ, ჯერ ერთი, საქართველომ ამ ეტაპზე, ეკონომიკის ოპტიმალური წონასწორობისაკენ სწრაფვისას, გადაწყვიტა უმთავრესი ამოცანა-უზრუნველყო მცირე საწარმოების რაოდენობის ზრდა კრიტიკულ დონეზე ზევით. ვინაიდან, მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებით, კრიტიკული დონის გადამეტება ხდება მაშინ, როდესაც ოფიციალურად დარეგისტრირებული მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს ოფიციალურად რეგისტრირებული მშპ-ის 40%-ს[5]. ეს, ჯერ ერთი, ნიშნავს იმას, რომ მცირე ბიზნესი გადადის სახელმწიფო ეკონომიკის რანგში, ანუ მეწარმეები გაცილებით ძლიერები ხდებიან. და მეორე, საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პარამეტრები დაუახლოვდა ევროკავშირისას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის მიერ არჩეული სტრატეგიული კურსის განხორციელებისთვის. მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, წლიური ბრუნვის ჯამური მაჩვენებელი საწარმოთა ზომის მიხედვით კლასიფიკაციის ერთ-ერთი კრიტერიუმია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა როგორ გამოიყურება ახალი მეთოდოლოგიით საწარმოთა ზომის მიხედვით ბრუნვა დინამიკაში.

მოხმობილი №1 ცხრილიდან გამომდინარე, 2007-2018 წლებში ახალი მეთოდოლოგიით საწარმოთა საშუალო წლიური ბრუნვის ჯამური მაჩვენებელი გაიზარდა 487%-ით (17.544.4-დან 85.500.0 მლრდ. ლარამდე). ამასთან გაზრდილია, როგორც მსხვილი (471%-ით. 7,423.7-დან 34,969.0 მლრდ. ლარამდე) საშუალო (403%-ით. 5,259.3-დან 21,223.0 მლრდ. ლარამდე), ისე მცირე ზომის საწარმოების (602%-ით.4,861.4-დან 29,308.0 მლრდ. ლარამდე) წლიური ბრუნვაც. ხაზგასასმელია ისიც,

ცხრილი №1

საწარმოთა ზომის მიხედვით ბრუნვა მლრდ ლარი 2007-2018 წლებში ახალი მეთოდოლოგიით

წელი	სულ	მსხვილი	%	საშუალო	მცირე	მცირე და საშუალო	%
2007	17,544.4	7,423.7	42%	5,259.3	4,861.4	10,120.7	58%
2008	19,650.7	9,550.9	49%	5,365.2	4,734.7	10,099.9	51%
2009	20,302.2	8,869.0	44%	5,563.1	5,870.1	11,433.2	56%
2010	24,400.7	11,703.2	48%	5,969.5	6,728.0	12,697.5	52%
2011	36,726.2	15,752.3	43%	8,172.7	12,801.0	20,973.7	57%
2012	42,048.0	18,577.9	44%	9,971.0	13,499.2	23,4770.2	56%
2013	44,327.9	18,596.2	42%	19,362.8	15,368.9	25,731.7	58%
2014	50,064.7	21,278.3	43%	11,477.8	17,308.6	28,786.4	57%
2015	56,984.8	24,671.6	43%	13,294.6	19,018.7	32,313.3	57%
2016	64,081.8	28,256.3	44%	14,039.1	21,786.4	35,825.5	56%
2017	71,740.1	32,201.1	45%	16,568.3	22,970.7	39,539.0	55.1%
2018	85,500.0	34,969.0	40.9.%	21,223.0	29,308.0	50,531.0	59.1
ზრდა	487%	471%		403%	602%	497%	

წყარო: ბიზნესის რეგისტრი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www. geostat.ge

ცხრილი № 2

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით (1 თებერვალი 2019)

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	რეგისტრირებული სუბიექტი	აქტიური სუბიექტი
სულ	**726 449**	**180 618**
კომერციული იურიდიული პირები	254 445	76 212
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)	2 759	231
კომანდიტური საზოგადოება	188	21
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	243 659	74 856
სააქციო საზოგადოება	2 578	876
კოოპერატივი	5 261	228
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები	26 785	3 716
ინდივიდუალური მეწარმე	433 689	96 866
სხვა	8 460	1 417
საჯარო სამართლის სუბიექტები	3 070	2 407

წყარო: ბიზნესის რეგისტრი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www. geostat.ge

რომ მცირე და საშუალო საწარმოების ჯამური ბრუნვის წილმა ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით პირველად გადაამეტა საანალიზო პერიოდში 2007 წლის ზრდის მაჩვენებელს (58%-ს) და შეადგინა 59.1%. ეს მაშინ, როცა ძველი მეთოდოლოგიით აღნიშნული მაჩვენებელი 18%-ს არ აღემატებოდა.

ამრიგად, ახალმა განსაზღვრებამ და მეთოდოლოგიამ სახელმწიფოს შესაძლებლობა მისცა შექმნა უფრო რეალისტური წარმოდგენა მსხვილი საწარმოების წილის შესახებ საქართველოს ეკონომიკაში. თუ რეალობას ახალი განსაზღვრების ფონზე შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ ქვეყანაში მხოლოდ 526 მსხვილი საწარმოა, ეს მაშინ, როცა წინათ მათი რაოდენობა 5,780 იყო. ძველი განმარტებით და მეთოდოლოგიით, 2017 წელს მსხვილ საწარმოებზე მოდიოდა მთლიანი ბრუნვის 82% და შექმნილი ღირებულების 78%. ახალი განსაზღვრებითა და მეთოდოლოგიით კი მათი წილი ბრუნვაში არის 44%, ხოლო შექმნილ ღირებულებაში - 42%.

თანამედროვე საქართველოს ბიზნეს-სექტორის ანალიზისა და დინამიკის ობიექტური შეფასებისთავის ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაცია რეგისტრირებულ და აქტიურ ბიზნეს სუბიეტების რაოდენობის შესახებ, ასევე, ის თუ თითოეულში რა წილით არის წარმოდგენილი საქართველოს კანონით განსაზღვრული თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა **(იხ. ცხრილი № 2)**

№ 2 ცხრილიდან გამომდინარე, 2019 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია 726 449 ბიზნეს-სუბიექტი, თუმცა, მათგან 180 618-ია აქტიური, ანუ რეალურად მხოლოდ 25% ფუნქციონირებს. ასეთი უარყოფითი სტატისტიკა უნდა აიხსნას იმით, რომ საქართველოში ამჟამად ბიზნესის წამოწყება ბევრად იოლია, ვიდრე პროფესიის მიხედვით სამუშაო ძალის გაქირავება და დასაქმება. ეს განაპირობა იმან, რომ ბოლო დროს ბიზნესის რეგისტრირება ერთობ გამარტივდა და მოხდა მისი ელექტრონულ რეჟიმში გადაყვანა. ამან შესამჩნევად გაზარდა ბიზნესის წამომწყებთა რაოდენობრივი მაჩვენებელი, მაგრამ ამავდროულად ხელი შეუწყო ბიზნესში ბევრი შემთხვევით ადამიანის მოსვლას, რომელსაც მოგების მიღების სურვილი კი აქვს, მაგრამ ბიზნესის მომგებიანი გაძღოლის ელემეტარული ცოდნა არ გააჩნია. ამის გამოა, რომ ახალი ფირმების თითქმის 70% იხურება ერთი წლის განმავლობაში. ამ ფონზე მოსახლეობაში ბიზნეს ცოდნის გავრცელება ერთობ აქტუალურია. უარყოფითი სტატისტიკის შემდეგი მიზეზია ის, რომ მეწარმეები ზოგჯერ მიმართავენ ეშმაკურ ხერხს, რეგისტრაციაში ატარებენ რამდენიმე კომპანიას, რათა არ გადაიხადონ დღგ. უარყოფითი სტატისტიკის კიდევ ერთი მიზეზია ის, რომ საქართველოში გაკოტრების საქმეთა მართვის

პროცედურა ერთობ გართულებულია. გაკოტრების პროცედურას 225 დღე სჭირდება. ჩვეულებრივ, საწარმოს ლიკვიდაცია საგადასახდო სამსახურის გარეშე არ ხდება, რომელიც ობიექტზე შედის 225-ე დღეს. არავინ იცის საგადასახადო „თავისი ვიზიტისას“ რა ნაკლს, რა ხარვეზს აღმოაჩენს. ამიტომ შეშინებული კომპანიები საერთოდ თავს ანებებენ გაკოტრების პროცედურას და რჩებიან რეგისტრირებულ საწარმოდ, რაზეც მათ არანაირი სანქცია არ ეკისრებათ. შედეგად ვღებულობთ იმას, რომ რეგისტრირებული მთლიანი საწარმოებიდან მხოლოდ 25%-ია აქტიური. ხაზგასასმელია, რომ ბიზნესის დახურვისა და გაკოტრების საქმეთა ინდიკატორით საქართველო მსოფლიო ბანკის რეიტინგში 190 ქვეყნიდან 64-ე ადგილზეა[2].

ამგვარად, დღეს საქართველოში ბიზნესის გახსნა ძალიან მარტივია და ეს შესაძლებელია რამდენიმე საათის განმვალობაში, მაგრამ ბიზნესის დახურვა რთულ პროცედურებთანაა დაკავშირებული, რომელიც დამატებით დროსა და ხარჯებს მოითხოვს. შესაბამისად, ეს არის ბარიერები იმ ადამიანებისთვის, ვისაც ერთი ბიზნესიდან მეორე ბიზნესში გადასვლა სურს. რთული პროცედურებია გაკოტრების გამოცხადების შემთხვევაშიც, რაც ასევე კომპანიების გაკოტრების საქმეთა მართვის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.

საანალიზო ცხრილით საქართველოში მეწარმეობის ორგანიზაციულ ფორმებს შორის ყველაზე მოთხოვნადი და პოპულარულია ინდივიდუალური მეწარმე (იმ), რომლის წილი საერთო რაოდენობაში 53.6%-აღწევს. თანაც ეს ციფრი დინამიკაში ყოველწლიურად ზრდადია და არა კლებადი. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ (იმ)-ის ფორმით საქმის დაწყება: მარტივია, არ არის საჭირო წესდება და სხვა იურიდიული დოკუმენტების შედგენა; სრულიად დამოუკიდებელია საქმიანობის განხორციელების პროცესში; მთელი მოგება მფლობელს ეკუთვნის. პოპულარობით შემდეგია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). საშუალო ზომის საწარმოთა უმეტესობა რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლიბის საზოგადოება (დაახლოებით 41.4%). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უპირატესობებია: მესაკუთრეების პასუხისმგებლობა შეზღუდულია მათი შენატანებით. მათი სხვა ქონება ხელშეუხებელია; კლიენტებისთვის და პარტნიორებისთვის უფრო სანდოა, ვიდრე „ინდმეწარმე”; უფრო ადვილად შეუძლია საბანკო კრედიტის აღება, ვიდრე „ინდმეწარმეს”; ფირმის ფუნქციონირების ხარჯები ნაკლებია, ვიდრე „სააქციო საზოგადოების” შემთხვევაში. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 95% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. 0.48%-იანი წილით მესამე ადგილზეა სააქციო საზოგადოება (სს). შემდეგ, 0. 13%-იანი წილით მოდის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს). ხაზგასასმელია, რომ (იმ) არის ფიზიკური, ხოლო (შპს) იურიდიული პირი. (იმ) წარმოადგენენ მცირე საწარმოებს, ხოლო (სს) წარმოადგენენ მსხვილ საწარმოებს. კომერციული იურიდიული პირების წილი შეადგენს 42%-ს, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული სუბიექტების - 2.0%-ს.

არსებობს სტატისტიკა, რომლის თანახმადაც ყველაზე მსხვილ 50 კომპანიას შორის მხოლოდ 8 მწარმოებელია, 10 ყველაზე მსხვილ კომპანიას შორის მხოლოდ ერთია მწარმოებელი, 3 ტოტალიზატორი, დანარჩენი იმპორტიორი **[3].** მოკლედ, მსხვილი საწარმოთაგან უმრავლესობა იმპორტზე მომუშავე საწარმოები და კაზინოებია. მათგან უმნიშვნელოა გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოები. ამიტომ მათი რეინვესტირებული მოგების გადასახადისაგან განთავისუფლება ნიშნავს იმპორტის ზრდის ხელშეწყობას, ანუ მომხმარებლური ეკონომიკის წახალისებას. ჩვენი აზრით, ესტონური მოდელისადმი საჭირო იყო სელექციური მიდგომა, ანუ რეინვესტირებული მოგების გადასახადისაგან უნდა განთავისუფებულიყო არა ყველა მსხვილი, არამედ მხოლოდ ექსპორტზე მომუშავე და ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსხვილი საწარმოების 80% შპს-ა, რაც ხელს უშლის კაპიტალის ბაზრის განვითარებას, სადაც ბანკების გარდა ჩაერთვება ბიზნესიც და მოსახლეობაც.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებული განვითარების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მსხვილი წარმოება არ უპირისპირდება მცირეს. განვითარებულ ქვეყნებში პრევალირებს მსხვილი და მცირე საწარმოების კოოპერირების პრინციპი, ამასთან მსხვილი გაერთიანებები კი არ წნეხავენ მცირეს, არამედ ერთმანეთს ავსებენ, განსაკუთრებით ცალკეული საწარმოების სპეციალიზაციის სფეროში და ინოვაციურ საქმიანობაში. მაგალითად, აშშ-ი 10 ტექნოლოგიური იდეიდან 9 იბადება მცირე საწარმოში. თუ მსხვილი ბიზნესი მასშტაბის ეფექტით ხელს უწყობს საერთო ეფექტიანობის ამაღლებას, მცირე ბიზნესი, კლიენტებთან უშუალო კონტაქტიდან გამომდინარე, მეურნეობას ანიჭებს მოქნილობას, მობილურობასა და უნარს სწრაფად განახორციელოს სტრუქტურული და ტექნიკური გარდაქმნები, რათა მოერგოს მუდმივად ცვალებად საბაზრო გარემოს.

ცხრილი № 3

საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები

	2016	2017	2018 1	2018 2	2018 3	2018 4	2019 1
ბრუნვა, მილიარდი ლარი	64.1	71.7	18.0	19.9	21.8	25.8	22.9
გამოშვებული პროდუქცია, მილიარდი ლარი	34.2	38.2	8.7	10.0	10.7	11.5	9.5
დამატებული ღირებულება, მილიარდი ლარი	16.8	19.0					
შუალედური მოხმარება, მილიარდი ლარი	17.4	17.4	...	...	...	...	...
ფიქსირებული აქტივები, მილიარდი ლარი	28.2	34.9	...	...	...	...	...
დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი	666.8	708.2	637.0	656.5	665.5	684.5	663.8
დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი	938.3	1 019.7	1 106.4	1 150.4	1 186.7	1 318.7	1 151.9

წყარო: ბიზნესის რეგისტრი საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www. geostat.ge

საწარმოთა ზომის მიხედვით ბრუნვასთან და ორგანიზაციულ ფორმებთან ერთად მნიშვნელოვანია როგორ გამოიყურება გამოშვებული პროდუქცის, დასაქმებულთა რაოდენობის და დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების დინამიკა 2016-2019წლებში **(იხ. ცხრილი № 3)**

№ 3 ცხრილის მიხედვით, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2017 წელს შეადგენდა 64.1 მილიარდ ლარს, ხოლო 2018 წელს გაიზარდა 85.5 მილიარდ ლარამდე; გამოშვებული პროდუქცია 2017 წელს ტოლი იყო 38.2 მილიარდი ლარის, 2018 წელს გაიზარდა 40.9 მილიარდ ლარამდე, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 2017 წელს შეადგენდა 666.8 ათას კაცს, 2018 წელს კი გაუტოლდა 684.5 ათას კაცს.

ხაზგასასმელია, რომ საანალიზო მაჩვენებლები ზრდის ტენდენციით ხასიათდებიან 2019 წლის პირველ კვარტალშიც. კერძოდ, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2019 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 27.5 პროცენტით გაიზარდა და 22.9 მილიარდი ლარი შეადგინა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2019 წლის I კვარტალში მისი მოცულობა 9.5 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 9.0 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. 2019 წლის I კვარტალში მთლიანი ბრუნვის 54.5 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 17.4 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 28.1 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება. მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 41.3 პროცენტი, საშუალოზე - 24.8 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 33.9 პროცენტი. 2019 წლის I კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 663.8 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 4.2 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 42.3 პროცენტი ქალია, ხოლო 57.7 პროცენტი - კაცი. საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 183.5 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8.3 პროცენტით მეტი). 2019 წლის I კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 151.9 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 45.5 ლარით),

ცხრილი № 4

ბიზნესის რეგისტრი რეგიონების მიხედვით (1 თებერვალი 2019)

რეგიონები	**რეგისტრირებული სუბიექტი**	**აქტიური სუბიექტი**
სულ	**726 449**	**180 618**
ქ. თბილისი	318 439	76 738
აფხაზეთის ა.რ.	163	12
აჭარის ა.რ.	63 755	18 179
გურია	17 516	4 718
იმერეთი	98 831	24 425
კახეთი	44 616	11 080
მცხეთა-მთიანეთი	13 488	3 234
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6 102	1 312
სამეგრელო-ზემო სვანეთი	56 113	13 153
სამცხე-ჯავახეთი	21 759	5 473
ქვემო ქართლი	53 821	13 557
შიდა ქართლი	31 846	8 737

წყარო: ბიზნესის რეგისტრი რეგიონების მიხედვით მიხედვით; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www. geostat.ge

მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 934.2 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 93.1 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია: მსხვილი ბიზნესი – 1 205.6 ლარი, საშუალო ბიზნესი – 1 291.2 ლარი, მცირე ბიზნესი – 1 017.0ლარი [1].

თანამედროვე საქართველოში ბიზნესის განვითარებას აფერხებს მისი ასიმეტრიული განვითარება რეგიონულ ჭრილში **(იხ. ცხრილი № 4)**

როგორც ცხრილიდან ჩანს, რეგისტრირებული საწარმოთა უდიდესი ნაწილი რეგისტრირებულია ქ. თბილისში, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო-სვანეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. რაც შეეხება ახლად რეგისტრირებულ საწარმოებს, აქაც ანალოგიური ტენდენციები ფიქსირდება ისევე როგორც მთლიანი რეგისტრაციის მაჩვენებლების შემთხვევაში. წარმოადგენილი ციფრები ნათელყოფენ იმ მნიშვნელოვან უთანაბრობებს, რაც დამახასიათებელია რეგისტრირებულ საწარმოთა რეგიონული გადანაწილების კუთხით საქართველოში: თბილისში რეგისტრიებულია საწარმოების დაახლოებით 46%. ამ მაჩვენებლით თბილისი უპირობო ლიდერია ქვეყნის მასშტაბით და იგი მანიშნებელია იმ დომინინტური როლისა, რაც დედაქალაქს გააჩნია ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში. 2019 წელს აქტიური საწარმოების რიცხვი 180 618-ს უდრიდა რომელთა 96% მსს-ზე მოდიოდა. რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით: ქ. თბილისი – 77.4 პროცენტი, აჭარის ა.რ. – 6.0 პროცენტი, ქვემო ქართლი – 5.1 პროცენტი, იმერეთი – 3.6 პროცენტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.6 პროცენტი. რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით: ქ. თბილისი – 65.1 პროცენტი, აჭარის ა.რ. – 8.4 პროცენტი, ქვემო ქართლი – 9.2 პროცენტი, იმერეთი – 5.0 პროცენტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.8 პროცენტი. რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება: ქ. თბილისი – 64.6 პროცენტი, აჭარის ა.რ. – 9.9 პროცენტი, იმერეთი – 6.8 პროცენტი, ქვემო ქართლი – 5.5 პროცენტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.0 პროცენტი. ზემოთ მოხმობილი ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ არათანაბარი რეგიონალური განვითარება საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელი პრობლემაა. ანალოგიური ტენდენციები გვხვდება მცირე ბიზნესის სექტორშიც, რაც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მსხვილ მასშტაბებს იძენს და მატულობს სხვაობები ლიდერ და ჩამორჩენილ რეგიონებს შორის. შესაბამისად,

ცხრილი №5

ბიზნესი საქმიანობის სახეების მიხედვით (1 თებერვალი 2019 წ)

საქმიანობის სახე	რეგისტრირებული სუბიექტი	აქტიური სუბიექტი
სულ	**726 449**	**180 618**
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	6 884	1 537
თევზჭერა, მეთევზეობა	386	102
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1 569	739
დამამუშავებელი მრეწველობა	31 569	12 526
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	482	137
მშენებლობა	18 175	7 472
ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	138 172	61 571
სასტუმროები და რესტორნები	14 446	6 521
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	20 002	9 859
საფინანსო საქმიანობა	4 313	2 035
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	28 168	14 318
სახელმწიფო მმართველობა	1 829	407
განათლება	6 805	4 290
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	5 680	2 987
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	19 844	5 499
საქმიანობა უცნობია	428 125	50 618

წყარო: ბიზნესის რეგისტრი საქმიანობის სახეების მიხედვით; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www. geostat.ge

შეინიშნება სულ უფრო მზარდი სხვაობები პოტენციურ „ზრდის პოლუსებს"(თბილისი, აჭარა, ა.შ.) და "სტაგნაციურ ეკონომიკურ სივრცეებს" (რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო-სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი) შორის. ჩვენი აზრით ამას ხელი შეუწყო ნაცმოძრაობის მიერ განხორციელებულმა არასწორმა ლიბერალურმა და აგრარულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომლის მიხედევით მცირე ბიზნესი და სოფლის მეუნეობა თავისით, სახელმწიფოს დახმარების გარეშე უნდა განვითარებულიყო. ფაქტობრივად მივიღეთ ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურა, სადაც საქართველოს ეკონომიკის 2/3 არის კონცენტრირებული რამდენიმე ქალაქში.

ჩვენი აზრით, რეგინულ ჭრილში ბიზნესის ასიმეტრიულობის დაძლევისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაიმსხვრეს სტერეოტიპი, რომლის მიხედვით სოფლის ქვეშ მოიაზრება მხოლოდ სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. სოფელში, რეგიონში ხელი უნდა შეეწყოს არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის, არამედ ყველა იმ საწარმოო, თუ არასაწარმოო დარგის ეკონომიკის განვითარებას, რომლის პოტენციალიც არსებობს, რათა ადგილზე დასაქმდეს სამუშაო ძალა და შეიზღუდოს შიდა და გარე მიგრაცია თავისი უარყოფითი ეფექტებით. სწორედ ამიტომ რეგიონებში, სადაც ბიზნესის წარმოებისათვის არახელსაყრელი, ანუ არაკომფორტული ბიზნეს-გარემოა სახელმწიფოს მხრიდან უპირატესი ხელშეწყობის ღონისძიებებია საჭირო, რათა ადგილობრივ მოსახლეობას ბიზნესის წარმოების აპეტიტი გაეხსნას, განხორციელდეს მეწარმეობის სიმეტრიული განვითარება და გარკვეულად შერბილდეს ეკონომიკური განვითარების დონეთა უთანაბრობა.

თანამედრივე საქართველოში ბიზნესის განვი-

ცხრილი №6

დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით 2013-2018 წლებში

წელი	სულ	მსხვილი საწარმოები		საშუალო საწარმოები		მცირე საწარმოები	
		აბს. მნიშვნ.	% %	აბს. მნიშვნ.	% %	აბს. მნიშვნ.	% %
2013	550,885	178,422	32,4%	125,295	22,8%	246,538	44,8%
2014	592,147	186,510	31,5%	126,432	21,3%	278,205	47,2%
2015	626,739	198,586	31,7%	137,171	21,9%	290,982	46,4%
2016	666,790	217,800	32,7%	142,447	21,4 %	306,543	45,9%
2017	660,059	235,742	35,7%	147,624	22,4%	276,693	41,9%
2018	684,000	247,866;	36,2%	147,835	21,6%	288,816	42,2%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge

თარებას აფერხებს მისი ასიმეტრიული განვითარება დარგობრივ ჭრილში **(იხ. ცხრილი №5**).

მოხმობილი ცხრილიდან გამომდინარე, საქართველოში მცირე და საშუალო კომპანიების მოქმედების ძირითადი სეგმენტებია პრიორიტეტულობის მიხედვით: ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი - 35%; ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა - 8% და დამამუშავებელი მრეწველობა -7%. შემდეგ მოდის: სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; სასტუმროები და რესტორნები; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება; განათლება; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა და ა.შ

მიმდინარე წლის 1-ელ კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 26.6 პროცენტი, 12.6 პროცენტი და 10.6 პროცენტიანი წილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობის (9.0 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.3 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (5.6 პროცენტი). [წყარო: „საქსტატი“]

თანამედროვე საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დინამიკის ანალიზისა და შეზღუდულობის მიზეზების გამოვლენაში, ასევე, მნიშვნელოვანია დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით 2013-2018 წლებში. **(იხ. ცხრილი №6).**

№6 ცხრილიდან ირკვევა, რომ მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში იზრდებოდა 2013 წლიდან 2014 წლამდე, სამაგიეროდ ამ პერიოდში მცირდებოდა დასაქმებულთა წილი მცირე და საშუალო საწარმოებში. 2014 წელს დაფიქსირდა მცირე საწარმოში დასაქმებულთა წილი 47,2 %, რაც მაქსიმალურია 2013-2018 წლების მაჩვენებლების მიხედვით. 2015 წლიდან კი იწყება მცირე საწარმოებში დასაქმებულთა წილის შემცირების ტენდენცია და გრძელდება 2017 წლამდე. 2018 წელს კი ფიქსირდება მცირე საწარმოში დასაქმებულთა წილის ზრდა 0,3%-ით, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ სახელმწიფო პროგრამებმა მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით შედეგი მაინც გამოიღო, მაგრამ ცოტა მოგვიანებით. ცხრილიდან ჩანს ისიც, რომ 2018 წლის მდგომარეობით გაზრდილია საწარმოებში მთლიანად დასაქმებულთა აბსოლუტური ოდენობა 660,059-დან 684,000-მდე. მათ შორის, მსხვილ და მცირე ზომის საწარმოებში დასაქმებულთა ოდენობა, შესაბამისად გაზრდილია 12 124 და 12 123 ადამიანით, ხოლო საშუალო ზომის საწარმოებში შემცირებულია 211 ადამიანით. 2016 წლის მდგომარეობით, საწარმოებში დასაქმებულთა ჯამური ოდენობა 666,790 ადამიანს შეადგენდა, რომელთა 45,9% (306,543) მცირე ზომის საწარმოებში იყო დასაქმებული. 2017 წლის მდგომარეობით, შემცირებულია საწარმოებში მთლიანად დასაქმებულთა აბსოლუტური ოდენობა, მათ შორის, მცირე ზომის საწარმოებში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი. მსხვილ და საშუალო ზომის საწარმოებში დასაქმებულთა ოდენობა, შესაბამისად - 17 942 და 5 177 ადამიანით არის გაზრდილი. ჯამური დასაქმების

შემცირება მცირე საწარმოებში დასაქმებულთა ოდენობის 30 ათასით შემცირებითა არის განპირობებული, რაც შესაბამისად აისახა დასაქმებულთა ოდენობაში, მცირე საწარმოში დასაქმებულთა წილობრივ მონაცემზე და 4 პროცენტული პუნქტით, 41.9%-მდე შემცირდა. საშუალო და მსხვილ საწარმოებში დასაქმების ზრდის პარალელურად, მცირე საწარმოებში დასაქმებულთა ოდენობის შემცირების განმაპირობებელი ფაქტორების ცალსახად იდენტიფიცირება შეუძლებელია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე საწარმოში პროდუქციის გამოშვების ზრდასა და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას შორის ყოველთვის მკაცრი კორელაცია არ არსებობს, რამეთუ შრომის კაპიტალაღჭურვილობის ზრდის კვალობაზე გამოშვებული პროდუქციის ზრდა შესაძლებელია დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების ხარჯზეც [7].

თანამედროვე საქართველოს ბიზნესში ყველაზე პრობლემურია: სასამართლო დავების ვადებთან და სპეციალიზებასთან დაკავშირებული საკითხები; ბიუროკრატია, განსაკუთრებით ადმინისტრაციული ორგანოების საშუალო რგოლში; სახელმწიფოს ბიზნესთან კომუნიკაცია აუცილებელია უფრო დროული და ეფექტიანი გახდეს; რეგიონებში ბიზნესს აქვს ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის პრობლემა; არის შეფერხება საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას, როცა ანგაჟირებული ჯგუფები ცდილობდნენ პროექტების შეფერხებას; რეგულაციები უნდა იყოს უფრო სისტემატური, რომ გაუაზრებელმა ინიციატივებმა ბიზნესს არ შეუქმნას რეგულაციებთან ადაპტირების პრობლემა [8].

საქართველოს ბიზნესისთვის ხელშემშლელია, აგრეთვე, არასაკმარისი პროფესიული განათლება, რადგანაც არასათანადო დონის პროფესიონალი მუშაკი ვერ ქმნის საერთაშორისო მოთხოვნების ხარისხიან პროდუქციას და შესაბამისად მიწოდებასა და ბაზარს. პრობლემატურია ჯეროვანი სამეწარმეო განათლების უქონლობაც, რომლის გარეშე ვერ იქმნება სიცოცხლისუნარიანი, მომგებიანი ბიზნეს-გეგმა და ვერ ხორციელდება მისი ეფექტიანი რეალიზაცია. სუსტია ფინანსებზე ხელმისაწვდომობაც. კომბანკები აგროკრედიტებს დოლარში გასცემენ, რაც ლარის არასტაბილურობის შემთხვევაში ზრდის სესხის მომსახურების ხარჯებსა და რისკებს. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ოფიციალური დაურეგისტრირებლობა გამორიცხავს მიწის გირაოში ჩადებით სესხის აღების შესაძლებლობას. ამ მიმართებით, საწყის ეტაპზე საჭიროა მეტი საგრანტო პროგრამა. უკმაყოფილოა ბიზნესი ხშირი და გაწელილი საგადასახადო შემოწმებებითაც. ბუნდვანი სიტუაციაა საავტომობილო ბიზნესის რეგულირების კუთხით, რომელმაც არ იცის საით წავიდეს და სხვ. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ეროვნულ მეურნეობას ააღორძინებს ცალკე აღებული არა მრეწველობა, მშენებლობა, ფინანსური სექტორი, ტურიზმი ან, თუ გნებავთ, აგრარული სექტორი, არამედ ბიზნესის ინოვაციური ფორმა მეწარმეობა, რომელიც უფრო ფართო მოვლენაა და ეხება ეკონომიკის ყველა დარგსა და რეგიონს. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეობის წახალისების პოლიტიკის გატარება მთლიანად ეროვნულ მეურნეობაში და რეგიონებში, რადგანაც მსოფლიო ბანკის კვლევებით, ქვეყნის ეკონომიკა როგორადაც უნდა გაიზარდოს, დოვლათი არ ნაწილდება რეგიონებზე და ძირითადად დედაქალაქში აკუმულირდება, რაც აღრმავებს შემოსავლებრივ უთანაბრობას თანმდევი უარყოფითი ეფექტებით (შრომითი ემიგრაცია შინ და გარეთ, ამის გამო ოჯახების ნგრევა და სხვ.). ამასთან, სოციალური მშვიდობისა და საზოგადოების საყოველთაო და დიფერენ-ციული კეთილდღეობისათვის, ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებთან ერთად აუცილებელია ნაზრდი შემოსავალის სამართლიანი განაწილებაც [6].

თანამედროვე საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთოებებში კი პრობლემურია ის რომ: ყველა უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან (თურქეთი, რუსეთი, უკარაინა, აზერბაიჯანი, ევროკავშირის ქვეყნები, აშშ-ი თუ სხვ.) საქართველოს აქვს ქრონიკულად უარყოფითი სავაჭრო სალდო, რომლის დაძლევისთვის მიზანშეწონილია სამამულო პროდუქციის საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამით მასზე საშინაო და საგარეო მოთხოვნის ზრდა, ანუ მეტი: ექსპორტი, დივერსიფიკაცია, ოპტიმიზაცია, რეექსპორტი, გონივრული იმპორტი, ასვე, მეტი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფულადი გზავნილები და საერთაშორისო ტურისტი. სავაჭრო ბალანსის გაჯანსაღების ეს რეცეფტი უნდა კორექტირდეს ყოველი პარტნიორი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით. ყოველივე ამის შედეგად, ვფიქრობთ, ეტაპობრივად შემცირდება უარყოფითი სალდო და მივიღებთ დადებით სავაჭრო ბალანსს.

ევროკავშირზე ორიენტირებული საქართველოს ექსპორტში პრობლემატურია, აგრეთვე, პროდუქციის რაოდენობა, ერთგავროვნება, ხარისხი, უვნებლობისა და უსაფრთხოების სტანდარტები და სტაბილური მიწოდება მთელი წლის მანძილზე. შევნიშნავთ, რომ პროდუქციის ექსპორტირება ძირითადად მაშინ ხდება, როცა ეროვნული ბაზარი

გაჯერებულია მოცემული პროდუქციით და, შესაბამისად, მისი ფასი და მოგება დაბალია. ამ დროს პროდუქცია გააქვთ საზღვარგარეთ, სადაც მისი დეფიციტია და ფასიც მაღალია. ამ პერიოდში ლარის გაუფასურება წაახალისებს ექსპორტს.

აქვე ვითყვით იმასაც, რომ ქართული ექსპორტის ხელშემწყობი პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ექსპორტის დაბალი ინტენსივობის მქონე ფირმების ზომის ზრდაზე. საქართველოსათვის ექსპორტის ინტენსივობის შესახებ ოფიციალური მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. თუმცა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ნათელია, რომ ევროკავშირში ექსპორტიორი ფირმების 46%-ს მსხვილი საწარმოები წარმოადგენენ, ხოლო 39%-ს მცირე საწარმოები. ე.ი. მცირე საწარმოების საკმაოდ დიდმა რაოდენობამ მოახერხა ყველაზე მაღალი სტანდარტების და მოთხოვნების მქონე ბაზარზე გასვლა. მაგრამ მათი ზომის ზრდა მათი კონკურენტუნარიანობის და ბაზარზე სტაბილური დამკვიდრებისათვის ხელშემწყობი ფაქტორი იქნება.

ღია ეკონომიკის პირობებში მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლია იქცეს მსხვილი კორპორაციების დივერსიფიკაციის და სამომხმარებლო ბაზრის მოდერნიზაციის ინსტრუმენტად. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება ხელს შეუწყობს ისეთი პრობლემების მოგვარებას როგორიცაა კონკურენციის ზრდა, მოსახლეობის დასაქმება, შემოსავლებრი უთანაბრობის შერბილება, საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება. მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის დარგობრივი სპეციფიკა და ეკონომიკური მექანიზმები. ამიტომ როცა მივმართავთ განვითარებული ქვეყნების შედარებას ქართულ რეალობასთან, აუცილებელია ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული განსხვავებების, ასევე ეროვნული მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის გათვალისწინება. ჩატარებული კვლევების თანახმად, ევროკავშირის მასშტაბით გამოკვლეული საწარმოები საკუთარი ბიზნესისათვის ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის ფინანსებზე წვდომის არასაკმარისობას ასახელებენ. თუმცა, საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოები, გარდა ფინანსური რესურსების, შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობისა და ინგლისური ენის უცოდინრობისა, ასევე, განიცდის სირთულეებს საექსპორტო ოპერაციების განხორციელების ორგანიზების პროცესში ანუ დეფიციტურია ექსპორტ-მენეჯერების სპეციალისტები. მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციისათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ექსპორტის დაკრედიტების სააგენტოს შექმნა, რომელიც ექსპორტიორ კომპანიებს მოკლევადიან, იაფ საბრუნავ სახსრებზე წვდომით უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www. geostat.ge
2. ქვეყნის დახასიათება მცირე ბიზნესის აქტის მიხედვით: საქართველო მსს პოლიტიკის ინდექსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები **2016** ევროპის მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასება. გვ.9.
3. https://www.interpressnews.ge
4. eugeorgia.info/ka/article/501/
5. Горфинкель В.Я. «Малый бизнес»: учебное пособие – М.: КНОРУС, 2009, 336 с., стр. 219-220.
6. სამადაშვილი უ. დივერსიფიკაცია - საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი. თბ. 2016, გვ. 45.
7. სამადაშვილი უ. მცირე ბიზნესის განვითარების დინამიკა და შეზღუდულობის მიზეზები საქართველოში. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. საქართველო, თბილისი, 1-2 ნოემბერი 2019. შრომების კრებული (გვ.342-350)
8. www.imedinews.ge

REASONS HINDERING ENTERPRISE DEVELOPMENT AND INTERNATIONALIZATION AND THE WAYS FOR THEIR ELIMINATION IN GEORGIA

Ekaterine Gigolashvili
PhD student for the 2nd year
of Georgian Technical University

ABSTRACT

In the work we have analyzed reason-factors impeding the development and internationalization of small and medium enterprises in Georgia. Based on both statistics and new and old technologies, we have characterized private sector, product production and employment according to the size of enterprises. We have also discussed registered and active entrepreneur entities, regions, types of activities and organizational-legal forms.

We have made suggestions and recommendations for Small and Medium Enterprise development and internationalization.

Keywords: small and medium enterprises, the ways of small and medium enterprise development and internationalization; social background; Economic backwardness; active entrepreneurial entities; annual turnover; employment; product production; GDP.

კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტები საქართველოში

ირაკლი პეტრიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის
ფინანსების მიმართულების მეორე კურსის დოქტორანტი

ანოტაცია

სტატია ეხება საბანკო სფეროში გამკაცრებულ პოლიტიკას და ახლად დანერგილ მიდგომებს,ასევე ცვლილებებს რომლებიც ეროვნული ბანკის მიერ იქნა დანერგილი. აღნიშნული მიდგომები ერთგვარი პრევენციის სახეს ატარებს, და საბანკო პროდუქტების მომხმარებლებს, მეტად დაცულებს ხდის ჭარბი დაკრედიტებიდან გამომდინარე შექმნილი გამოწვევების დროს.სტატიის მთავარი მიზანი კაპიტალის ადეკვატურობის სტანდატების დებულების განხილვა და მისი მნიშვნელობის შეფასებაა, ასევე სტატიაში დეტალურად არის აღწერილი კაპიტალის ადეკვატურობის გამოთვლის გ ზები, და შეფასებულია აღნიშნული ინსტრუმენტის რეალური ქმედითუნარიანობა ბანკების გაკოტრების პრევენციისთვის.

საკვანძო სიტყვები: *რისკების შეფასება, ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი.*

შესავალი

კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ დებულების მიზანია ხელი შეუწყოს კომერციული ბანკების გაკოტრების რისკების შემცირებასა და მთლიანი საბანკო სისტემის ფინანსურ სტაბილურობას. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საბანკო სექტორში ეფექტიანი, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი გარემოს ფუნქციონირება, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას. სწორედ ამ შედეგის მისაღწევად ევროკავშირის დახმარებით, ეროვნული ბანკი 2017 წლიდან რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპებზე გადავიდა. და ზედამხედველობის ფარგლებში ახორციელებს საბანკო ზედამხედველობას,ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებული სტანდარტებისა და პრინციპების შესაბამისად.ამ პრინციპების შესრულების მიზნით ბაზელ III დებულებით დგინდება ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები, რომელთა შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისა და უცხოეთის ბანკების ფილიალებისათვის. სწორედ ამ მოთხოვნების განხილვას ეძღვნება წინამდებარე სტატია.

ძირითადი ტექსტი

როგორც ავღნიშნეთ 2017 წელს დამტკიცდა და უკვე ამოქმედდა ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული მესამე პილარი "კომერციული ბანკების ინფორმაციის გამჟღავნების წესი", რომლის მიხედვითაც ბანკები ვალდებული არიან, გამოაქვეყნონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია კაპიტალის, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების, მენეჯმენტის ანაზღაურებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. ასევე "კორპორაციული მართვის დებულება" და "ეთიკის პრინციპებისა და

პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი", რომელთა მიღებას რეგულატორი უახლოეს მომავალში გეგმავს (საქართველოს ეროვნული ბანკი). კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტებისა და ბანკების ფუნქციონირების გამჭვირვალობის ამაღლებისაკენ არის მიმართული.

2017 წლიდან დამტკიცდა ბაზელ III მეორე პილარი - ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპების შესახებ, რომელიც კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა. კომერციული ბანკების „კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება პილარ 2-ის ფარგლებში. კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი, "სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების თაობაზე. ასევე განისაზღვრა "კონტრციკლური ბუფერის განაკვეთი",პილარ 2-ის ფარგლებში კომერციულ ბანკებს უწესდებათ კაპიტალის დამატებითი ბუფერი რისკების შეფასების საერთო პროგრამის (General Risk Assessment Program - GRAPE) მიხედვით.

რაც შეეხება სტატიის მთავარ თემას ბაზელ III სტანდარტების ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით", რომლის თანახმადაც, პილარ 1-ის ფარგლებში, მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 4.5%;
- პირველი კაპიტალის კოეფიცინატი 6%
- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციანტი 8%

სწორედ ეს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები განისაზღვრა საზედამხედველოდ კომერციული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობისთვის.მასში არ უნდა იყოს ჩართული ისეთი ინსტრუმენტები, რომელთა შესახებ შეთანხმება,ხელშეკრულება ან დაპირება ვერ უზრუნველყოფს კომერციული ბანკის სტაბილურობისა და მდგრადობის პრინციპებს (საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, 1996). შემდეგ თავში დეტალურად გავივლით თუ რისგან შედგება საზედამხედველო კაპიტალი და განვიხილავთ მის გამოთვლის გზებს, ერთგვარად შევაფასებთ თუ როგორი პროფორციით ნაწილდება კონკრეტული თანხები საზედამხედველო კაპიტალის მუხლებში და არის თუ არა ეს განაწილება სწორი.

კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტების ჯამისაგან:

ა) პირველადი კაპიტალი, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

ა.ა) ძირითადი პირველადი კაპიტალი;

ა.ბ) დამატებითი პირველადი კაპიტალი;

ბ) მეორადი კაპიტალი (სალიკვიდაციო კაპიტალი).

პირველადი კაპიტალი შედგება ისეთი ინსტრუმენტებისაგან, რომელთაც შეუძლია ზარალის უპირობოდ მათი წარმოქმნისთანავე დაფარვა ისე,რომ კომერციულმა ბანკმა შეძლოს თავისი საქმიანობის შეფერხების გარეშე გაგრძელება. პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტები კომერციულ ბანკს უნდა აძლევდეს გადახდების განხორციელების შესაძლებლობას მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ (მათი გადაუხდელობა არ უნდა იწვევდეს კომერციული ბანკის დეფოლტს) და ზარალის დაფარვისათვის მათი სრულად გამოყენების შესაძლებლობას. მეორადი კაპიტალი არის სალიკვიდაციო კაპიტალი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბანკისზარალის დაფარვა დეპოზიტორებამდე და არა უზრუნველყოფილ კრედიტორებამდე კომერციული ბანკის ლიკვიდაციისას და/ან მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების დროს.

ძირითადი პირველადი კაპიტალი არის საზედამხედველო კაპიტალის უმთავრესი წყარო და უდრის ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტების ჯამს გამოკლებული ძირითადი პირველადი კაპიტალის საზედამხედველო კორექტირებები.

ძირითადი პირველადი კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტების ჯამისგან:

- ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც სრულად განაღდებულია და აკმაყოფილებს ამ

დებულებით მოცემულ კრიტერიუმებს;

- დამატებითი სახსრები, რომლებიც წარმოიქმნება ძირითადი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების ემისიით;
- აკუმულირებული სხვა სრული შემოსავალი და სხვა რეზერვები;
- გაუნაწილებელი მოგება (ზარალი).

დამატებითი პირველი კაპიტალი:

კომერციული ბანკის დამატებითი პირველადი კაპიტალი უდრის დამატებითი პირველადი კაპიტალის ელემენტების ჯამს გამოკლებული დამატებითი პირველადი კაპიტალის საზედამხედველო კორექტირებები.

იგი შედგება ინსტრუმენტებით , რომლებიც აკმაყოფილებს მოცემულ დამატებითი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს და არ არის ძირითადი პირველადი კაპიტალის ნაწილი და დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები.

მეორადი კაპიტალი არის საზედამხედველო კაპიტალის დამატებითი წყარო და უდრის მეორა-

დი კაპიტალის ელემენტების ჯამს გამოკლებული მეორადი კაპიტალის საზედამხედველო კორექტირებები.

აღნიშნული შედგება ინსტრუმენტებით, რომლებიც აკმაყოფილებს მოცემულ მეორადი

კაპიტალის კრიტერიუმებს და არ არის პირველადი კაპიტალის ნაწილი,ასევე მეორად კაპიტალში შემავალი ინსტრუმენტების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრებით,და საერთო რეზერვების, მიტიგაციის ეფექტის გათვალისწინებით საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების მაქსიმუ 1,25 ის ოდენობით (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის №100/04 ბრძანება „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე").

საზედამხედველო კორექტირებები:

კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშებისათვის საზედამხედველო კომპონენტებს უნდა გამოაკლდეს ამ მუხლით განსაზღვრული საზედამხედველო კაპიტალის კორექტირებები. (კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ "საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე", 2001).

საზედამხედველო კაპიტალის დათვლისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი კორექტირებები:

ა)აქტივების გადაფასების რეზერვის დაქვითვა უნდა მოხდეს ძირითადი პირველადი კაპიტალიდან.

ბ)მოგებასა და ზარალში აქტივების არარეალიზებული გადაფასების შედეგად მიღებული აკუმულირებული მოგების ის ნაწილი (იგულისხმება ისტორიულად აკუმულირებული და არა მხოლოდ მიმდინარე წლის მოგება), რომელიც აღემატება მოგებასა და ზარალში არარეალიზებული გადაფასების შედეგად ასახულ აკუმულირებულ ზარალს (იგულისხმება ისტორიულად აკუმულირებული და არა მხოლოდ მიმდინარე წლის ზარალი), უნდა დაიქვითოს ძირითადი პირველადი კაპიტალიდან.

აღნიშნულის გაანგარიშება უნდა განხორციელდეს „საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციაში" მოცემული ოთხნიშნა კოდით გამოსახული ცალკეული აქტივის კლასისათვის. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის კომერციულმა ბანკებმა არ უნდა გაითვალის წინონ მაღალი ლიკვიდურობის მქონე აქტივები, რომლებიც ივაჭრება ლიკვიდურ ბაზრებზე. ეროვნულ ბანკს შეუძლია მოთხოვოს კომერციულ ბანკს, კონკრეტული აქტივები არ მიიჩნიოს მაღალი ლიკვიდურობის მქონედ და კაპიტალიდან დაქვითოს მათი გადაფასების შედეგად აკუმულირებული მოგება, რომელიც აღემატება აკუმულირებულ ზარალი.

გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები უნდა დაიქვითოს ძირითადი პირველადი კაპიტალიდან. დაქვითვა უნდა მოხდეს შესაბამის გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებთან გაქვითვის შემდეგ:

გადავადებული საგადასახადო აქტივები, რომელთა რეალიზება დამოკიდებულია კომერციული ბანკის სამომავლო მომგებიანობაზე უნდა დაიქვითოს ძირითადი პირველადი კაპიტალიდან. გადავადებული საგადასახადო აქტივი შეიძლება გაიქვითოს მასთან დაკავშირებულ გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე, გადავადებული საგადასახადო აქტივიც და ვალდებულებაც, გადაიხდება ერთსა და იმავე საგადასახადო ორგანოში და გაქვითვა დაშვებულია შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიერ. დროებითი სხვაობების (მაგ: შესაძლო დანაკარგების რეზერვები) შედეგად წარმოშობილი გადავადებული საგადასახადო აქტივების თანხის დაქვითვა უნდა მოხდეს „ზღვრული დაქვითვის" მეთოდის გამოყენებით ამ დებულები (კანონი კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ, 2013).

ყველა სხვა ასეთი აქტივი, როგორიცაა საოპერაციო დანაკარგებთან დაკავშირებული მომავალ პერიოდზე გადატანილი გამოუყენებელი ზარალი ან გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტები, სრულად უნდა დაიქვითოს გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებთან გაქვითვის შემდეგ (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 34, 2015), როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, რომელიც შეიძლება გაიქვითოს გადავადებულ საგადასახადო აქტივთან, არ უნდა შეიცავდეს თანხას, რომელიც უკვე გაიქვითა გუდვილის და სხვა არამატერიალური აქტივების კორექტირებისას და უნდა გადანაწილდეს გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად და ზღვრული დაქვითვის პროპორციულად.

ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვის თანხა, რომელიც დაკავშირებულია საბალანსო უწყისის იმ ელემენტების ჰეჯირებასთან, რომლებიც არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით (მათ შორის, დაგეგმილი ფულადი ნაკადები), არ უნდა იქნას გათვალისწინებული ძირითადი პირველადი კაპიტალის დათვლისას (დადებითი თანხა უნდა გამოაკლდეს, ხოლო უარყოფითი თანხა უნდა დაემატოს). ამგვარი მიდგომით, ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვი არ უნდა იქნას აღიარებული პრუდენციული მიზნებისთვის. ელემენტები, რომლებიც იწვევენ ხელოვნურ მერყეობას

ძირითად კაპიტალში არ აღიარდება. ინვესტიციები საკუთარ აქციებში უნდა დაიქვითოს საზედამხედველო კაპიტალიდან. კომერციული ბანკის პირდაპირ თუ არაპირდაპირ მფლობელობაში არსებული ინვესტიციები საკუთარ ჩვეულებრივ აქციებში მთლიანად დაიქვითება ძირითადი პირველადი კაპიტალიდან (თუ უკვე არ მოხდა მათი აღიარების შეწყვეტა შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით). გარდა ამისა, ნებისმიერი საკუთარი აქცია, რომელიც კომერციულმა ბანკმა უნდა გამოისყიდოს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობების თანახმად, უნდა დაიქვითოს ძირითადი პირველადი კაპიტალიდან.

დამატებითი პირველადი კაპიტალის დათვლისას უნდა დაიქვითოს კომერციული ბანკის მიერ განხორციელებული ინვესტიციები საკუთარ დამატებით პირველად კაპიტალში და მეორადი კაპიტალის დათვლისას უნდა დაიქვითოს კომერციული ბანკის მიერ განხორციელებული ინვესტიციები საკუთარ მეორად კაპიტალში.

კომერციული ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების კაპიტალში ჯვარედინი მფლობელობა (ურთიერთმფლობელობა), რომელიც კაპიტალის ხელოვნურ გაზრდას ინვევს, სრულად დაიქვითება საზედამხედველო კაპიტალიდან. კომერციულმა ბანკებმა უნდა დაქვითონ სხვა ბანკების, სხვა ფინანსური ინსტიტუტებისა და სადაზღვევო ორგანიზაციების კაპიტალში აღნიშნული ტიპის ინვესტიციები „შესაბამისი დაქვითვის მეთოდის" გამოყენებით. ეს ნიშნავს, რომ დაქვითვა უნდა მოხდეს კაპიტალის იმ კომპონენტიდან, რომლის ნაწილიც ის იქნებოდა ამ წესის შესაბამისად თუ იგი თავად კომერციული ბანკის მიერ იქნებოდა გამოშვებული.ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის კაპიტალი წარმოადგენს ამ დებულებით განსაზღვრულ პირველად და მეორად კაპიტალი (კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, 2017).

აქტივების კლასიფიკაციის შედეგად მიღებული რეზერვების უკმარისობა უნდა დაიქვითოს ძირითადი პირველადი კაპიტალიდან, კერძოდ, დაქვითვას ექვემდებარება ეროვნული ბანკი მიერ დადგენილი აქტივების კლასიფიკაციის წესზე დაყრდნობით გაანგარიშებული შესაძლო დანაკარგების რეზერვების მეტობა ფასს–ით გაანგარიშებულ შესაძლო დანაკარგების რეზერვზე. ამასთან,ღირებულება სრულად უნდა დაიქვითოს და არ უნდა მოხდეს ღირებულების შემცირება რაიმე საგადასახადო ეფექტებით, რომლებიც წარმოიშობოდა თუ რეზერვების დონე მიაღწევდა მოსალოდნელი დანაკარგების დონეს (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 38, 2017).

ინვესტიციები კომერციული ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების კაპიტალში, რომლებიც არ ექვემდებარება საზედამხედველო კონსოლიდირებას უნდა დაიქვითოს საზედამხედველო კაპიტალიდან. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის კაპიტალი წარმოადგენს ამ დებულებით განსაზღვრულ პირველად და მეორად კაპიტალს. თუ მოცემული ორგანიზაციის კაპიტალის ინსტრუმენტი, რომელშიც კომერციულ ბანკს აქვს ინვესტიცია განხორციელებული,არ აკმაყოფილებს ამ დებულების განსაზღვრულ ძირითადი პირველადი, დამატებითი პირველადი და მეორადი კაპიტალის კრიტერიუმებს, ამ საზედამხედველო კორექტირების მიზნებისთვის ინსტრუმენტი უნდა მიეკუთვნოს ჩვეულებრივ აქციებს (ძირითადი პირველადი კაპიტალი), ხოლო თუ ინსტრუმენტი გამოშვებულია კომერციული ბანკის მიერ და არ მიეკუთვნება საზედამხედველო კაპიტალს, იგი არ უნდა დაიქვითოს საზედამხედველო კაპიტალიდან. ინვესტიციები,რომლებიც არ წარმოადგენს ჩვეულებრივ აქციებს, სრულად უნდა დაიქვითოს შესაბამისი დაქვითვის მეთოდის გამოყენებით. შესაბამისი დაქვითვის მეთოდის მიხედვით, დაქვითვა უნდა მოხდეს კაპიტალის იმ კომპონენტიდან რომლის ნაწილიც ის იქნებოდა ამ წესის შესაბამისად, თუ იგი თავად კომერციული ბანკის მიერ იქნებოდა გამოშვებული. თუ კაპიტალის კონკრეტული კომპონენტიდან დაქვითვის მოთხოვნის შემთხვევაში კომერციულ ბანკს არ აქვს აღნიშნული კომპონენტის საკმარისი ოდენობა, დარჩენილი თანხა უნდა დაიქვითოს მომდევნო (უფრო მაღალი) რანგის კაპიტალიდან.აქციების ფლობა და სხვა სახით 10%–ზე მეტი წილის ფლობა კომერციული იურიდიული პირების კაპიტალში დაიქვითება ძირითადი პირველადი კაპიტალიდან.

ჩვეულებრივ აქციებში განხორციელებული ინვესტიციები დაექვემდებარება ზღვრულ მიდგომას (ზღვრული დაქვითვის მეთოდი):

ძირითადი პირველადი კაპიტალის დათვლისას ქვემოთ მოცემული ელემენტები დაექვემდებარება ლიმიტირებულ აღიარებას/ჩათვლას ძირითად პირველად კაპიტალში სრულად დაქვითვის ნაცვლად. აღიარებას ექვემდებარება თითოეული ელემენტი არაუმეტეს ძირითადი პირველადი კაპიტალის 10%-ის ოდენობით.

მნიშვნელოვანი ინვესტიციები არაკონსოლიდირებული კომერციული ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების ჩვეულებრივ აქციებში, როდესაც კომერციული ბანკი ფლობს მათ მიერ გამოშვებული ჩვეულებრივი აქციები 10%-ზე მეტს და ინვესტიციები კომერციულ ბანკთან მონათესავე არაკონსოლიდირებული კომერციული ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების ჩვეუ-

ლებრივ აქციებში დროებითი სხვაობების შედეგად წარმოშობილი გადავადებული საგადასახადო აქტივები (დებულება, კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ, 2017).კომერციულმა ბანკმა ასევე უნდა დაქვითოს ზემოთ ხსენებული ორი ელემენტის ჯამის ის ნაწილი,რომელიც აჭარბებს ძირითადი პირველადი კაპიტალის (დათვლილი ზემოხსენებული ელემენტების დაქვითვამდე, მაგრამ ძირითადი პირველადი კაპიტალის ყველა სხვა დანარჩენი საზედამხედველო კორექტირებების გათვალისწინების შემდეგ) 15%–ს (კანონი კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ, 2013);

დასკვნა

ინვესტიციები არაკონსოლიდირებული კომერციული ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების ჩვეულებრივ აქციებში, როდესაც კომერციული ბანკი ფლობს მათ მიერ გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების 10%-ზე ნაკლებს დაექვემდებარება ლიმიტირებულ აღიარებას/ჩათვლას: თუ ინვესტიციები ჯამურად აჭარბებს კომერციული ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალის 10%–ს ნამეტი თანხა უნდა იქნას დაქვითული. ძირითადი პირველადი კაპიტალიდან უნდა დაიქვითოს ინვესტიცია, რომელიც აჭარბებს 10%–ს გამრავლებული ძირითადი პირველადი კაპიტალის მთლიან საზედამხედველო კაპიტალში წილზე. დამატებითი პირველადი კაპიტალიდან უნდა

დაიქვითოს ინვესტიცია, რომელიც აჭარბებს 10%–ს გამრავლებული დამატებითი პირველადი კაპიტალის მთლიან საზედამხედველო კაპიტალში წილზე. მეორადი კაპიტალიდან უნდა დაიქვითოს ინვესტიცია, რომელიც აჭარბებს 10%–ს გამრავლებული მეორადი კაპიტალის მთლიან საზედამხედველო კაპიტალში წილზე (კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე, 2013).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. №100/04, ბ. (2013). კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების. კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების, 4.

2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 34. (2015 წლის 2 july). saras.gov.ge. მოპოვებული www.saras.gov.ge: https://www.saras.gov.ge/Content/files/IAS-BASS/2017/2017_IAS_01.pdf-და

3. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 38. (2017 წლის 2 july). ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 38. მოპოვებული saras.gov.ge: https://www.saras.gov.ge/Content/files/IAS-BASS/2017/2017_IAS_38.pdf-დან

4. კანონი კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ. (2013). კანონი კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ . თბილისი.

5. კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ «საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე». (2001). „კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. თბილისი.

6. კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ. (2017). საქართველოს კანონი.

7. კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება. (2017 წლის 2 july). www.nbg.ge. მოპოვებული www.nbg.ge: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3248-დან

8. კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე. (2013). კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე. თბილისი: საქართველოს მაცნე.

9. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის №100/04 ბრძანება „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”. (2017).

10. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის №100/04 ბრძანება „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”. თბილისი.

11. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. (2001 წლის 2 july). www.matsne.gov.ge. მოპოვებული www.matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/view/15718?publication=0-დან

12. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ. (1996). საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ. თბილისი.

CAPITAL ADEQUACY STANDARDS IN GEORGIA

Irakli Petriashvili
PhD/student business Technology faculty/General in Finance
Georgian Technical University

ABSTRACT

The main purpose of the statement on requesting capital adequacy standards from commercial banks is to support reduction of risks for bankruptcy of commercial banks, and maintenance of financial stability of the entire banking system.

The National Bank of Georgia (hereinafter the National Bank) should ensure functioning of an efficient, transparent and competitive environment in the banking sector, protecting the customer and investor rights in the way that don't threaten implementation of its core tasks. In order to achieve this goal, with support of the Georgian Government and the European Union, the National Bank has moved to the principles of risk-based supervision starting from 2017 year and is being implementing the bank supervision according to the standards and principles developed by the Basel Committee.

Keywords: Risk Assessment, liquidity Coverage Ratio.

ეფექტური გადაწყვეტილების მიღება თანამედროვე ორგანიზაციებში

სალომე ციმაკურიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი
ელ.ფოსტა:s.tsimakuridze@gmail.com

ანოტაცია

წინამდებარე სტატიაში განხილულია ეფექტური გადაწყვეტილების მოდელის ეტაპები, გადაწყვეტილების ტიპები, ძირითადი მიდგომები თუ როგორ შეიძლება გადაწყვეტილების მიღება იყოს რაციონალური და ნაკლებ რისკებთან დაკავშირებული, ეთიკური გადაწყვეტილების PLUS მოდელი და ეთიკასთან დაკავშირებული საკითხები. განხილული საკითხების მიზანია სწორი გზა დაანახოს მენეჯერებს თუ როგორ უნდა იმოქმედონ და რა საკითხები გაითვალისწინონ პრობლემის იდენტიფიცირების პროცესში. წარმოდგენილი მიდგომები პრაქტიკული გამოცდილებიდან მომდინარეობს, რომლის საშუალებითაც წარმატებული მენეჯერები იღებენ ეფექტურ გადაწყვეტილებებს.

საკვანძო სიტყვები: *გადაწყვეტილების მიღების მოდელი, გადაწყვეტილების მიღების ტიპები, გადაწყვეტილების მიღების მიდგომები, მენეჯმენტი, PLUS მოდელი.*

შესავალი

მენეჯერებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესი ყოველდღიური სამუშაო პროცესის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, ისინი აკეთებენ არჩევანს, რაც ბუნებრივია, პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების აღებასთან არის კავშირში. ხშირ შემთხვევაში, მიღებული შედეგები განპირობებულია თუ რამდენად რაციონალურად არის გადაწყვეტილება წარსულში მიღებული. ორგანიზაციებში მენეჯერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განსაზღვრავენ წარმატებას თუ წარუმატებლობას, შესაბამისად, ისინი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდონ გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

ცხადია, რაციონალური გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია მენეჯერებმა სწორად მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება, ალტერნატივების ანალიზი, იმპლემენტაცია და გადაწყვეტილების ეფექტურობის შეფასება. ამასთანავე, მენეჯერები ყოველდღიურ სამუშაო პროცესში მუდმივად დგებიან პროგრამირებადი და არაპროგრამირებადი გადაწყვეტილებების წინაშე, რომელთა მიღებაც მთლიანი სტრუქტურის მუშაობის ეფექტიანობაზე ახდენს გავლენას. დღევანდელი სწრაფად ცვალებადი გარემო არაპროგნოზირებადი და არასტაბილურია, რომლის დროსაც მენეჯერები უნდა იყვნენ მოქნილები და შეეძლოთ სწრაფი ადაპტაცია, ამასთანავე, გააჩნდეთ კომპლექსური ხედვის, სხარტი აზროვნებისა და ანალიტიკური უნარი, რომ სწორად გათვალონ მოსალოდნელი რისკები.

ძირითადი ტექსტი

რასაკვირველია, გადაწყვეტილების მიღებას ყოველთვის თან ახლავს გარკვეული რისკები. თუმცა, აღნიშნული რისკების შესამცირებლად არსებობს ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მოდელი, რომელიც შედგება იმ ძირითადი ეტაპებისგან, რასაც მენეჯერებმა ორგანიზაციული გადაწყვეტილებების დროს უნდა გაითვალისწინონ:

1. პრობლემის იდენტიფიცირება;

2. გადაწყვეტილების კრიტერიუმის იდენტიფიცირება;

3. კრიტერიუმებისთვის წონის მინიჭება;

4. ალტერნატივების ჩამოყალიბება;

5. ალტერნატივების ანალიზი;

6. ალტერნატივის არჩევა;

7. ალტერნატივის იმპლემენტაცია;

8. გადაწყვეტილების ეფექტურობის შეფასება.

დღევანდელ გამოწვევებით სავსე სამყაროში ორგანიზაციებისთვის დიდი მონაპოვარია ისეთი მენეჯერები, რომლებსაც შესწევთ უნარი მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილებები. ხშირ შემთხვევაში მდგომარეობას ის ფაქტიც ართულებს, რომ დრო არის ხოლმე შეზღუდული, რის გამოც ვერ ხდება ამომწურავი ინფორმაციის მოძიება და გარკვეული დაშვებებისა და ინტუიციის გამოყენების საჭიროება დგება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსური და მაშტაბური გადაწყვეტილებები გარკვეულ სითამამესა და გამბედაობას მოითხოვს მენეჯერების მხრიდან. მენეჯერული პოზიციების მთავარი სირთულე სწორედ გამბედავი გადაწყვეტილებების მიღებაა, რომელიც დიდ პასუხისმგებლობასთან და ვალდებულებებთან არის დაკავშირებული. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ფაქტის გაცნობიერება ნათლად ხდებოდეს იმ თანამშრომლებში, რომლებიც შემსრულებელი პოზიციიდან წინაურდებიან მენეჯერულ პოზიციებზე. სრულებით შესაძლებელია, რომ პროდუქტიულად მომუშავე თანამშრომელმა ვერ შეძლოს მენეჯერულ პოზიციაზე საკუთარ თავზე დიდი პასუხისმგებლობების აღება და გარკვეულ რისკებზე წასვლა. მენეჯერული პოზიციები გარკვეული ბენეფიტების მიღებასთან ერთად დიდ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით დღევანდელ სამუშაო გარემოში.

მენეჯერები ორგანიზაციის მართვის პერიოდში მუდმივად დგებიან ორი ტიპის გადაწყვეტილების წინაშე:

- პროგრამირებადი გადაწყვეტილება არის რუტინული, თითქმის ავტომატური პროცესი, რომელსაც მენეჯერი ხშირად იღებს და აქედან გამომდინარე, მას არ უწევს ხანგრძლივი ფიქრი ან ანალიტიკური აზროვნება რა მოიმოქმედოს.
- არაპროგრამირებადი გადაწყვეტილების დროს მენეჯერები არ არიან დარწმუნებულნი, რომ სასურველ შედეგს მიიღებენ, რადგან სიტუაცია მოულოდნელია და უწევთ არასტანდარტული გადაწყვეტილების მიღება, რომლისთვისაც არ არსებობს გამზადებული შაბლონური წესები.

ამასთანავე, აღსანიშნავია მენეჯერების მიდგომები, რომლებიც ყველაზე ხშირად ვლინდება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში:

- რაციონალურობა - რაციონალური გადაწყვეტილების მიმღები ყოველთვის ეცდება, იყოს მაქსიმალურად ობიექტური და ეყრდნობოდეს ლოგიკას. აუცილებელია, რომ მისთვის პრობლემა იყოს საკმაოდ მკაფიო და გასაგები.
- შეზღუდული რაციონალურობა - შეზღუდული რაციონალურობა გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის რაციონალური, ეყრდნობა ლოგიკას და რეალურ მოვლენებს.
- ვალდებულებათა ესკალაცია - მენეჯერების გადაწყვეტილებებზე დიდ გავლენას ახდენს ორგანიზაციული კულტურა, შიდა პოლიტიკა, ძალაუფლებები, რაც გულისხმობს წინა გადაწყვეტილების მიმართ ვალდებულების ზრდას, მიუხედავად სამხილისა, რომ ეს იყო არასწორი.
- ინტუიცია - მენეჯერების გადაწყვეტილებები ხშირად მათ ინტუიციას ეყრდნობა. განსაკუთრებულად დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერებს აქვთ გამძაფრებული ინტუიციის შეგრძნება, რასაც ხშირადაც ენდობიან და ამართლებს კიდეც უმეტეს შემთხვევებში. რასაკვირველია, აბსოლუტური გარანტია არ არსებობს სასურველი შედეგის მიღების, რადგან თავად გადაწყვეტილების მიღების პროცესი ყოველთვის რისკებთან არის დაკავშირებული.

გადაწყვეტილებას, ამავდროულად, თან ახლავს ეთიკური ნორმები და სტანდარტები, რაც სხვა ზემოხსენებულ ფაქტორებთან ერთად არანაკლებ მნიშნელობისაა. ორი ადამიანი ყოველთვის განსხვავებულად ხედავს შედეგებს. შედეგის დადებითობა და უარყოფითობა არის სუბიექტური ფაქტორი, რომელზეც სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის, პიროვნული თვისებები. მენეჯერებს აქვთ პასუხისმგებლობა, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს ეთიკური. ამიტომაც, პრაქტიკულ სამუშაო პროცესში აქტუალურია „PLUS“ მოდელის მიხედვით არსებული მდგომარეობის შეფასება. PLUS მოდელი შეკითხვების ნაკრებს წარმოადგენს, რომელიც ეთიკური თვალსაზრისით, ადამიანებს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება. PLUS მოდელი ობიექტურია, მენეჯერებს პრობლემის მიმართ კანონიერი და სამართლიანი მიდგომისკენ მოუწოდებს. PLUS მოდელი განიმარტება შემდეგნაირად:

P = პოლიტიკები და პროცედურები;

L = იურიდიული (სამართლებრივი რეგულაციები);

U = უნივერსალური (კომპანიის კულტურა და ძირითადი ღირებულებები);

S = თვითონ (პირადი სამართლიანობისა და პატიოსნების სტანდარტები).

ეთიკური ბიზნეს გარემოს შექმნა ერთ დღეში არ ხდება. მენეჯერებს ნათლად უნდა ჰქონდეთ გააზრებული, რომ ორგანიზაციული კულტურა დიდ გავლენას ახდენს ეთიკურ გადაწყვეტილებებზე და თანამშრომლებში ეთიკური სტანდარტებისა და ნორმების ჩამოყალიბებაში. აღნიშნული ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბების პროცესში კი დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ეთიკური საქციელის წახალისებას. თანამშრომლებში შეიძლება იყოს გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის და რა არ არის ეთიკური, ამიტომაც მენეჯერმა უნდა მისცეს სტიმული და ჩამოუყალიბოს პერსონალს ეთიკური ფიქრი და დამოკიდებულება განსაზღვრული საკითხებისადმი.

არსებობს მოსაზრებები, რომლებიც მენეჯერის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე უარყოფითად ახდენს გავლენას, მაგალითად:

- პირველი შთაბეჭდილებების გავლენა - ხშირად მენეჯერის გონებაში რჩება კონკრეტულ ფაქტზე წარსულში გაგონილი ინფორმაცია/სტატისტიკური მონაცემები, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახსენდება და კონცენტრირებას ახდენს აღნიშნულ მონაცემებზე.
- სტატუს კვოს დაწესება - მენეჯერები მუდმივად უნდა ეძებონ ახალი შესაძლებლობები, გარემოში არსებულ ცვლილებებზე მოახდინონ სწრაფი რეაგირება და არ იფიქრონ, რომ მათი შესაძლებლობა ლიმიტირებულია.
- ზედმეტი თავდაჯერებულობა - თავდაჯერებულობა საჭირო და მნიშვნელოვანია, რაც ეხმარება მენეჯერს დაარწმუნოს სხვები კონკრეტული ქმედების რაციონალურობასა და სისწორეში. თუმცაღა, გადაჭარბებული შეგრძნება იმისა, რომ საკუთარი შეხედულება აუცილებლად სამართლიანია და ეფექტურ შედეგს გამოიღებს, არა სასურველია.

ისიც უნდა აღინიშნობს, რომ კვლევების თანახმად გადაწყვეტილებების მიღების სტილი და თანამშრომელთა მონაწილეობის დონე ერთმანეთისგან განსხვავებულია. ამ მხრივ, განსხვავდება სწორედ მმართველობის სტილი ორგანიზაციაში, თუ რა მოცულობით არიან თანამშრომლები ჩართულები პრობლემის იდენტიფიცირებასა და მოგვარების ძიების პროცესში. მაგალითად, დეცენტრალიზებული ორგანიზაციებში თანამშრომლებს მეტი ავტონომია გააჩნიათ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ხოლო ცენტრალიზებულ ორგანიზაციებში გადაწყვეტილებები ორგანიზაციის მაღალ დონეებზე მიიღება. თანამედროვე ორგანიზაციებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომელთა თანამონაწილეობის ხარისხს, რადგან მათი უნარები და გამოცდილება გამოყენებულ იქნას პრობლების ანალიზსა და ალტერნატივების შემუშავების პროცესში. ერთ-ერთი საკვანძო მახასიათებელი თანამედროვე ორგანიზაციისთვის სწორედ გუნდური მუშაობის პრინციპია, რაც აისახება გარკვეულწილად თანამშრომელთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობასა და ავტონომიის მიცემაში. ამასთანავე, განსხვავებულია კულტურაში პრობლემის აღქმა სხვადასხვა კულტურაში, რადგან ზოგში პრობლემა აღიქმება, როგორც ბუნებრივი სიტუაცია.

დასკვნა

ეფექტური, რეალურ ინფორმაციაზე დაყრდნობილი გადაწყვეტილება არც თუ ისე ხშირია დღევანდელ ცვალებად გარემოში. ეს ყოველივე ნიშნავს, რომ ორგანიზაციები ხშირ შემთხვევაში ვერ ფლობენ სწორ და ამომწურავ ინფორმაციას, რომ შეზღუდულ ვადებში მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილება მიმდინარე სიახლეებზე. რასაკვირველია, გაზრდილი კონკურენცია და ტექნოლოგიური განვითარების სისწრაფეც მოქმედებს გადაწყვეტილების მიღების ხარისხზე. აღნიშნული გარემოება თავისთავად ითხოვს ორგანიზაციის თანამშრომელთა ჩართვას პრობლემის იდენტიფიცირების, ალტერნატივების შემუშავების, შეფასებისა და ზოგადად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თანამედროვე ორგანიზაციებში თითოეულ თანამშრომელს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს თავისუფლად გამოხატონ თავიანთი ინიციატივები და ჩართულები იყვნენ პრობლემის მოგვარების გზების ძიებაში. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ზუსტად განისაზღვროს, თუ რა დროს არის საჭირო ინდივიდუალური და გუნდური გადაწყვეტილების პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Stephen P. Robbins, Mary Coulter, Management, Fourteenth Edition, Pearson Education, 2018
2. Samuel C. Certo & S. Trevis Certo, Modern Management Concepts and Skills, Twelfth Edition, Pearson, 2012
3. Management, Richard L. Daft, Ninth Edition, 2010
4. https://www.ethics.org/resources/free-toolkit/decision-making-model/ - გადამოწმებულია 22.05.2020
5. https://peterstark.com/why-leaders-make-bad-decisions/ - გადამოწმებულია 22.05.2020

EFFECTIVE DECISION MAKING PROCESS IN MODERN ORGANIZATIONS

Salome Tsimakuridze
Georgian Technical University,
Business Technology faculty/General in Business Administration,
PhD student

ABSTRACT

This article discusses the stages of an effective decision model, the types of decisions, PLUS Model and the basic approaches to how a decision can be made rationally and with less risk. The purpose of the issues discussed is to show managers the right way to act and what issues to consider in the process of identifying the problem. The presented approaches are derived from practical experience, through which successful managers make effective decisions.

Keywords: Decision Making Process, Types of Decisions, Basic Approaches, Management, PLUS Model.

ტყის ექსპლუატაციის პროცესში მცენარეული საფარისათვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი ფორმების გამოყენების თაობაზე დასკვნები და ამ მიმართებით არსებული ვითარების სრულყოფასთან დაკავშირებით წინადადებები

თემურ მონიავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო
და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სატყეო საქმის
სპეციალობის დოქტორანტი

ანოტაცია

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ადამიანისათვის ტყის მცენარეული საფარის მნიშვნელობის მიუხედავად ტყის ექსპლუატაციის პროცესში მცენარეული საფარისათვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დღემდე არსებული სამართლებრივი ფორმების გამოყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ცალკეული გამონაკლისის გარდა არ პასუხობს იმ გამოწვევებს რაც არსებობს ზოგადად მცენარეული საფარის დაცვის სფეროში. შესაბამისად, როგორც კანონმდებლების ისე ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისათვის შეთავაზებულია კონკრეტული წინადადებები არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

საკვანძო სიტყვები: *ტყის ექსპლუატაცია, ეკოლოგია, ზიანი, პრობლემები, დასკვნები და წინადადებები.*

შესავალი

კაცობრიობის არსებობა, ასევე მისი შემდგომი განვითარება, წარმოუდგენელია ტყის მცენარეული საფარის გარეშე. აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად საქართველომ კონსტიტუციით დაცულ სიკეთედ გამოაცხადა ჯანსაღ გარემოზე უფლება და მიიღო სხვა არაერთი სამართლებრივი აქტიც ამ მიმართებით. თუმცა, გარკვეულ მიზეზთა გამო ისინი ბოლომდე ვერ პასუხობენ რეალურად არსებულ გამოწვევებს.

აღნიშნულის უმთავრესი მიზეზი მთელ რიგ ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად ისიცაა, რომ ტყის ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შედეგები მხოლოდ სამართლებრივი, სოციალური ან თუნდაც ცალკე აღებული ეკონომიკური საზომით ვერ შეფასდება და ისინი უნდა გადაწყდეს კომპლექსურად.

ამ სახით მათი გადაწყვეტა კი მოითხოვს უპირველესად კითხვაზე პასუხს-რამდენად იძლევა ტყისთვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შეფასების შესახებ დღეს არსებული ორი სამართლებრივი, კერძოდ მიყენებული ზიანის მატერიალური, ანუ წინასწარ ნიხრის სახით დადგენილი, ან/და ნატურალური ანუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის შესახებ, შეფასების ფორმის გამოყენება სასურველ შედეგს?.

დასმულ კითხვაზე პასუხი დღემდე არ არსებობს, რადგან თემის აქტუალურობის და მნიშვნელობის მიუხედავად, კონკრეტულად ამ პრობლემის კვლევით არავინ დაინტერესებულა. ამდენად, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს არსებული ხარვეზის აღმოფხვრისკენ მიმართულ პირველ ცდას და გამოირჩევა იმით, რომ გარდა არსებული მდგომარეობის შესახებ დასკვნებისა, საზღვარგარეშის ქვეყნებში არსებული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, მასში მოცემულია ტყის მცენარეული საფარისათვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სამართლებრივი ფორმების სწორად გამოყენებისა და ამ მიმართებით არსებული ვითარების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე

წინადადებები. ტყის საფარის ნებისმიერი სახით დაზიანების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებების განსაზღვრა და მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შეფასების სამართლებრივი ფორმების სწორად შერჩევა, უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე პირობებში.

აღნიშნულის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ეკონომიკური განვითარების საკითხი არ შეიძლება გარემოსგან განყენებულად განვიხილოთ[1], რადგან ეკონომიკის განვითარება რასაც თან სდევს ისეთი ანტროპონოგენური წნეხი ეკოლოგიაზე, როგორიცაა-ტყის საფარის უსისტემო, მასობრივი გაჩეხვა და აშ. იწვევს ჰაერის დაბინძურებას, მეწყერული ზონების გადიდებას, წყალდიდობებს და აშ. შესაბამისად, გამოუსწორებელი ზიანი ადგება გარემოს და ტყის ბიომრავალფეროვნებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გლობალური ეკონომიკური პრობლემები. ადამიანის მიზანმიმართული აქტიური ჩარევა ბუნებრივი პროცესების განვითარებაში დაიწყო იმ დროიდან როცა ჩაისახა მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. რამაც თანდათანობით საგანგაშო ხასიათი მიიღო, რადგან ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებზე უარყოფით გავლენას ახდენს მთელი რიგი გარემოებები, კერძოდ: ა) არამდგრადი წარმოება და მოხმარება, მოსახლეობის მატება, ვაჭრობის გლობალიზაცია, სიღარიბე, მავნე სუბსიდიები, მოქნილი კანონმდებლობის უქონლობა, ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნების არქონა და პოლიტიკური არასტაბილურობა;

ბ) ინსტიტუციონალური და სოციალური მოუწესრიგებლობა, ინფორმაციის უკმარისობა;

გ) ბიომრავალფეროვნებისა და მდგრადი განვითარების როლისა და მნიშვნელობის არასაკმარისი გაგება და გაცნობიერება იმ პირთა მხრიდან, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ბიომრავალფეროვნების მენეჯმენტთან;

დ) საბაზრო ეკონომიკის წარუმატებლობა, კორუფციის რისკის მაღალი დონე, რასაც განაპირობებს ამ სფეროზე საზოგადოების სუსტი კონტროლი და ზედამხედველი ორგანოების ვალდებულების არ არსებობა აწარმოონ ქმედითი და ყოველმხრივი შემოწმებები და ა.შ. წარმოადგენენ იმ საფრთხეებს, რომლებიც ზოგადად, მათ შორის ქართულ სინამდვილეშიც, ემუქრება, როგორც ტყეს ისე მთლიანად მწვანე საფარს ექსპლუატაციის პროცესში.

ამდენად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოება, რომელთა უმეტესობა განპირობებულია, როგორც ობიექტური ისე სუბიექტური ფაქტორებით, მართალია იწვევს მცენარეული საფარის შემცირებას, თუმცა, საქართველოში ტყისა და მინდვრის ეკოსისტემების დეგრადაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მაინც რჩება ექსპლუატაციის პროცესში ტყის მერქნული რესურსის არამდგრადი ჭრა ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის განხორციელების ასევე, წიაღისეულის (მაგ. ჭიათურის მანგანუმის) მოპოვების მიზნით და სხვა.

აღნიშნული თავის მხრივ განპირობებულია იმით, რომ ექსპლუატაციის პროცესში, როგორც წესი აუცილებელი ხდება ღია კარიერული წესით მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რაც იწვევს გარკვეულ ფართობებზე მწვანე საფარის დაკარგვასა და დეგრადაციას. შედარებისთვის მხოლოდ 2001-2014 წლებში ამ გზით ქვეყანამ დაკარგა ტყის საფარი ფართობით 8917 ჰექტარი, მაშინ როცა იმავე პერიოდში ტყის საფარი გაიზარდა მხოლოდ 4778 ჰექტარით.[2]

რეალობაა ისიც, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ფონზე თუ არ იარსებებს სათანადო კონტროლის მექანიზმი, კერძოდ ეკოლოგიური აუდიტისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის სავალდებულო წესით ჩატარების, ამ პროცესში საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობისა და დამკვირვებლიდან აქტიური პოზიციის მქონე სუბიექტად მისი საკანონმდებლო გზით ქცევის, ასევე ტყის დაზიანების რეალური მდგომარეობის ან მისი აღდგენის შემთხვევაში აღდგენილი ფართობის დაზიანებულ ფართობთან ექვივალენტობის დადგენისათვის ვიზუალური მეთვალყურეობის თანამედროვე ტექნიკური საშუალებების (მაგ. დრონის) გამოყენების შესაძლებლობის მინიჭების ჩათვლით, მოსალოდნელია არსებული ვითარების კიდევ უფრო გაუარესება.

მით უფრო, რომ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა გარდა იმისა, რომ დაგეგმილია ახალი მილსადენების, კაშხლების, ელექტროგადამცემი ხაზების და საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა, ძირითადად ორიენტირებულია ჰიდრორესურსების განვითარებაზე, ჰიდროელექტროსადგურებისა და კაშხლების მშენებლობა კი სხვა ზემოთ ჩამოთვლილ პროექტთა განსახორციელებლად დამატებით მოითხოვს ტყის და ზოგადად მცენარეული საფარით დატვირთული მნიშვნელოვანი ფართობების გაკაფვას.

1 იხ. გაეროს 48-ე სესიაზე მისი გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის ანგარიში, რომლის დასახელებაა „განვითარება და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა“, სადაც მან პირდაპირ განაცხადა, რომ „განვითარებად ქვეყნებში ეკოლოგიურმა პრობლემებმა შეიძლება ხანგრძლივი განვითარების პრობლემები შეაფერხონ“.

2 იხ. GLOBAL FOREST WATCH-ის მიერ მომზადებული ინტერაქტიული რუკა, რომელზეც ნათლად ჩანს საქართველოში წიაღის მრეწველობისა და განვითარების პროექტების შედეგად დაკარგული ტყის ფართობები, ასევე არამდგრადი ჭრისა და ძოვების შედეგად დეგრადირებული ტყეები. (Http://www.globalforestwatch.org/map/)

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, როგორც არსებული რეალობა ცხადყოფს ტყის ექსპლუატაციის პროცესში მცენარეული საფარისათვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დღემდე არსებული სამართლებრივი ფორმების გამოყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ცალკეული გამონაკლისის გარდა არ პასუხობს იმ გამოწვევებს რაც არსებობს ზოგადად მცენარეული საფარის დაცვის სფეროში.

გარკვეული დადებითი ძვრების მიუხედავად მათ შორისაა საქართველოც, რადგან ამ მიმართებით ჩატარებული კვლევის შედეგად მოპოვებული მასალები იძლევა არაერთი მათ შორის შემდეგი სახის დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას:

1. ქართულ სინამდვილეში, ტყისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, საქართველოს ტყის კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, თითქოსდა აღიარებს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის, ანუ ზიანის შეფასების ნატურალურ სამართლებრივ ფორმის უპირატესობას, თუმცა რეალურად პრიორიტეტულადაა დამკვიდრებული მონეტარული, ანუ წინასწარ დადგენილი ნიხრის შესაბამისად გადასახდელი ფულადი თანხის დაკისრების გზით ზიანის ანაზღაურება;

2. მიუხედავად იმისა, რომ ტყის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, სახეზე შეიძლება იყოს, როგორც ეკონომიკური ისე ეკოლოგიური ზიანი, დაზარალებულის სტატუსით სარგებლობს მხოლოდ ტყის მესაკუთრე. საზოგადოება, როგორც კოლექტიურად ისე ინდივიდუალურად კი მოკლებულია ექსპლუატაციის პროცესში ტყისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას;

3. უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ ტყის ექსპლუატაციის პროცესში ნებადართული საქმიანობის დროს ტყის მცენარეული საფარისთვის მიყენებული ზიანი, როგორც წესი ანაზღაურებას არ ექვემდებარება ან/და ექვემდებარება ნატურით ანაზღაურებას იმ ფარგლებში, რაც მოცემულია გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში (გზშ-ე). თუმცა, ამ შემთხვევაშიც დაკისრებული ვალდებულება ყოველთვის არ არის ტყის მცენარეული საფარის ნეგატიური ცვლილების ექვივალენტური;

4. მეტიც, ვინაიდან ამ პროცესში საზოგადოების ჩართულობა გათვალისწინებული არ არის, ხოლო ეკოლოგიური აუდიტისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის გამოყენება მინიმუმამდეა დაყვანილი, თანაც იმ პირობებში, როცა სახეზეა კორუფციის მაღალი რისკი, დაბალია იმის ალბათობაც, რომ თუნდაც გზშ-თი გათვალისწინებული ვალდებულება ტყისთვის მიყენებული ზიანის ნატურით ანაზღაურებასთან დაკავშირებით ჯეროვნად სრულდება თუ არა და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ ტყისათვის და ზოგადად გარემოსათვის ეკოლოგიური ზიანის მიყენების შემთხვევაში ქართულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, ის, რომ:

ა) ტყის მცენარეული საფარისათვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შეფასების პრიორიტეტულ სამართლებრივ ფორმად რეალურად იქცეს ამ ზიანის შეფასების ნატურალური ფორმა, რაც გულისხმობს რესტიტუციას, ანუ, თავდაპირველად არსებული მდგომარეობის აღდგენას, ან/და მიყენებული ზიანით გამოწვეული მოსალოდნელი და დამდგარი მავნე შედეგების შეძლებისდაგვარად შერბილებას. მით უფრო, რომ ზიანის შეფასების ნატურალურ ფორმას იცნობდა ძველი რომის კანონმდებლობა და მასზე საუბარი წამოიწყო ჯერ კიდევ სენეკამ (ნერონის მმართველობის პერიოდში), რომელიც ამბობდა, რომ არსებობენ თანხები, რომლებიც უნდა მივაკუთვნოთ კრედიტორს, მაგრამ მათი იძულებით ამოღება არ შეიძლება (debenture non exiguntur);[3]

გ) ტყის მცენარეული საფარის ხელყოფით დაზარალებული საზოგადოების დაცვის მიზნით მთელი რიგი ისეთი ხერხების/საშუალებების გამოყენება, რომლებიც აპრობირებულია მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში და მისცემს საზოგადოებას, როგორც კოლექტიურად ისე მის ცალკეულ წევრს შესაძლებლობას მოითხოვოს და მიიღოს არაქონებრივი ზიანის კომპენსაცია, რომელიც მიადგა ტყეს, მისი მცენარეული საფარის გარემოს მთლიანობის დარღვევის შედეგად.

ყოველივე ამის მიღწევა კი შეიძლება როგორც საკანონმდებლო ცვლილებების ისე იმ სახის საგადასახადო მანევრების გზით, რომლებიც სასარგებლო იქნება ტყის მცენარეული საფარის ექსპლუატაციით დაკავებული სუბიექტისთვისაც, კერძოდ მიგვაჩნია, რომ:

1) სასურველ გარემოზე უფლება, ამერიკის შეერთებული შტატების, ზოგიერთი შტატის მსგავსად, შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილების შეტანის გზით, გადატანილი იქნეს პირად ურთიერთობათა სფეროში.[4]რათა დაზარალებულს მიეცეს უფლება მოითხოვოს, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისთვის, როგორც ქონებრივი ისე მორალური ზიანის ანაზღაურება;

2) შვეიცარიის მსგავსად, ქართული კანონმდებლობა, კერძოდ საქართველოს საგადასახადო

3 Новицкий И. Б." Римское Право," Москва, Зерцало- М , 2002, СТ. 118

4 ოსაკე ქ., (მთარგმნელი თ. შოთაძე),,ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება", თბილისი, 2015 წელი, გვ. 7-15, 27-29, 30-34, 39-41, 66-69, 73, 87-98.

კოდექსის 7.1 მუხლი, ვინაიდან ანიჭებს უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ტყის ექსპლუატაციის პროცესში მცენარეული საფარისათვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანის კომპენსირების მიზნით, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ეს შესაძლებლობა და შემოიღონ ადგილობრივი გადასახადები;

3) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების გააქტიურება, ამ მიმართებით შესაძლებელია იმითაც, რომ მათ შემოიღონ პირობითად ე.წ. „პროგრესული გადასახადი[5];

4)წარმოდგენილი პოზიციის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ამგვარი გადასახადით დაბეგვრას შეიძლება დაექვემდებაროს როგორც მცირე ისე დიდი საწარმოები, რადგან საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყანა არ არის და ამდენად მასზე არ ვრცელდება გარკვეული შეზრუდვების თაობაზე რეკომენდაციის შემცველი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის შემუშავებული მცირე საწარმოთა დებულება (Charter for Small Enterprises[6]). თანაც, ამ რეკომენდაციას ხშირად თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც არ იცავენ ასე მაგ. შვედეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მცირე საწარმოებისათვის განსაკუთრებულ რეჟიმს, შესაბამისად, ყველა საწარმოს მიმართ მათი იურიდიული ფორმის, საქმიანობის ტიპის, ზომის ან ადგილმდებარეობის მიუხედავად ერთი და იგივე საგადასახადო რეჟიმი და საგადასახადო განაკვეთები გამოიყენება;[7]

6) ანალოგიურად, კარგი იქნება თუ საქართველო გამოიყენებს მცირე საწარმოებთან დაკავშირებით მთელ რიგ ქვეყნებში (ნიდერლანდებში, საფრანგეთში) აპრობირებულ საგადასახადო შეღავათების განსაკუთრებულ რეჟიმს და გაავრცელებს მათ ყველა იმ ინვესტორზეც, რომლებიც საქართველოში ახორციელებენ პროექტებს, რაც იწვევს ექსპლუატაციის პროცესში ტყის მცენარეული საფარისათვის ზიანის მიყენებას. კერძოდ, მათი შემოსავლები და მოგება საფრანგეთის მსგავსად (სადაც მცირე საწარმო სტანდარტული 33 %-ის მაგიერ მხოლოდ 19 პროცენტიან საშემოსავლო გადასახადს იხდის) საქართველოში ნაცვლად დღეს არსებული 20 %-ი და 15 %-ისა, კომპანია საურველია დაიბეგროს შესაბამისად 15 და 10 პროცენტიანი განაკვეთით, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ სახით დაზოგილი სახსრების მკაცრად განსაზღვრული ნაწილი გამოყენებული იქნება ტყის მცენარეული საფარის სარეაბილიტაციოდ;

7). ან/და, ნიდერლანდების მსგავსად საშემოსავლო გადასახადის დასაბეგრი ოდენობა შემცირდეს მაგ. ტყის მცენარეული საფარისთვის მიყენებული ზიანის აღსადგენად განხორციელებული ინვესტიციების სიდიდის მიხედვით;

8).გაზიარებული და ყოველმხრივ წახალისებული უნდა იქნეს ნიგერიის პრემიერ მინისტრის წამოწყება, რომელმაც 2019 წელს, 350 მილიონი ხის დარგვით მშვიდობის დარგში ნობელის პრემია დაიმსახურა და აშ.

დასკვნა

საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ უფრო მეტად უნდა აიღოს ვალდებულება, ტყის ახალი მასივების გაშენებისა და არსებულის მაქსიმალურად შენარჩუნებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დომინანტური უნდა გახდეს ტყის მცენარეული საფარისთვის მიყენებული ზიანის შეფასების ნატურალური სამართლებრივი ფორმა.

ამ მიზნით გამოყენებულ იქნეს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში არსებული პრაქტიკული და საკანონმდებლო გამოცდილება. ხოლო იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველო ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციები ნამდვილად იხარჯება მკაცრად განსაზღვრული მიზნობრიობით, აუცილებელია აქამდე არსებულისგან განსხვავებული, მათ შორის დამატებითი საზედამხედველო ფუნქციებით აღიჭურვოს ეკოლოგიური აუდიტის და ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების უფლებამოსილების მქონე სუბიექტები. მთელ ამ პროცესში კი უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების წარმომადგენლების ქმედითი მონაწილეობა.

5 ხუნდაძე ტ, European-ge-სთვის, „პროგრესული გადასახადები და კეთილდღეობის სახელმწიფო დანიასა და ესპანეთში“. 2019 წ. გვ. 3-4.

6 კრიტერიუმები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით თუმცა, ევროკავშირის კომისიის 1996 წლის 3 აპრილის რეკომენდაციის თანახმად მცირე საწარმოებად მიჩნეული იყო შემდეგი პარამეტრის მქონე ფირმები: ა) საწარმო სადაც დასაქმებულია 50-ზე ნაკლები ადამიანი, ბ) ან აქვს წლიური ბრუნვა, რომელიც არ აღემატება 7 მილიონ ევროს, გ) ან გააჩნია წლიური ბალანსი, რომელიც არ აღემატება 5 მილიონ ევროს, ანდა აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის კრიტერიუმს.

2003 წლის 6 მაისს კი მოხდა ამ კრიტერიუმების გადასინჯვა და ამჟამად მცირე საწარმოდ ითვლება საწარმო, სადაც დასაქმებულია 10-დან 49-მდე ადამიანი, აქვს ბრუნვა 10 მილიონ ევრომდე წელიწადში, ან/და ბალანსი 10 მილიონ ევრომდე.

7 იხ. იგივე კვლევა. გვ. 9.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს ტყის კოდექსი.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
4. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია.
5. „მდგრადი განვითარების სატყეო პრინციპების შესახებ“ გაეროს 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის დეკლარაცია.
6.. GLOBAL FOREST WATCH-ის მიერ მომზადებული ინტერაქტიული რუკა, (Http://www.globalforestwatch.org/map/);
7. Новицкий И. Б.” Римское Право,” Москва, Зерцало- М , 2002.
8. ოსაკე ქ., (მთარგმნელი თ. შოთაძე),,ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება“, თბილისი, 2015 წელი,
9. ხუნდაძე ტ, European-ge-სთვის, ,,პროგრესული გადასახადები და კეთილდღეობის სახელმწიფო დანიასა და ესპანეთში“. 2019 წ.
10. საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული კვლევა სახელწოდებით „მცირე ბიზნესი განვითარებულ ქვეყნებში (ავტორი-ავთანდილ ჩუთლაშვილი). 2006 წელი.
11. Трофимов В., Военная и Экологическая Безопасностъ, 1991, 78
12. გოცირიძე ლ, ,,დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბების მსოფლიო-ისტორიული პროცესი და საქართველოს რეალობა” (ბორჯომ-ხარაგაულის პარკის მაგალითზე). ჟურნალი „სატყეო მოამბე“. დეკემბერი, 2015 წელი, #10, გვ. 29.
13. ლომიძე ჯ., მონიავა თ. სატყეო საქმის ექსპერტიზა, ჟურნალი ,,სატყეო მოამბე“, 2015 წლის დეკემბერი, #10. გვ. 21-26.
14. Schroder H. ,,Tabuforschund als Aufgame interkultultureller Germanisti, Iahrbuch Deutsch als Fremdsprache, Bd.21 (1995), 15.
15. გვაზავა თ., ,,საქართველოს სატყეო მეურნეობის დარგის აღორძინებისა და განვითარების კომპლექსური ღონისძიებები,“ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „სატყეო მოამბე“, დეკემბერი, 2015 წელი, #10. გვ. 7-8.
16. ბითაძე მ. „ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალზე“. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი. თბილისი. 2008 წელი.
17. ფიფია ს, ჯაიანი დ. „ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების შინაარსი საერთაშორისო სამართალსა და საქართველოს კონსტიტუციაში“. სტატიათა კრებული-ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა. (რედაქტორი კონსტანტინე კორკელია), 2018 წელი, გვ. 270.
18. ჩუთლაშვილი ა., ,,მცირე ბიზნესი განვითარებულ ქვეყნებში 2006 წელი,

CONCLUSIONS WITH REGARD TO THE APPLICATION OF THE LEGAL FORMS OF COMPENSATION FOR ENVIRONMENTAL DAMAGE CAUSED TO VEGETATION DURING FOREST EXPLOITATION AND SUGGESTIONS FOR IMPROVING THE SITUATION IN THIS REGARD

Temur Moniava
Doctoral Student of Georgian Technical University,
Faculty of Transportation and Mechanical Engineering

Abstract

In the work shows that despite the importance of forest vegetation for humans, the present-day use of the legal forms of compensation for environmental damage caused to vegetation during forest exploitation in various countries of the world, with some exceptions, does not meet the challenges existing in the area of protection of vegetation, in general.Consequently, the legislators, as well as the local and central authorities, have been offeredsome concrete proposalsfor eradication of the existing problems.

Keywords: Forest management, ecology, damage, problems, conclusions and suggestions.

LANGUAGE OF JOURNALISM – THE REASON IT ALTERS

TAMAR KARAIA
Master in European Languages and Translation
Sokhumi State University
E-mail: tamrikoqaraia@yahoo.com

ABSTRACT

The language of the media is powerful. It conveys news, and the stream of words is not just memory prods, but at the same time, it is the reminder of the precise ability of homo sapiens to convey a concept from mind to mind virtually instantaneously and make sensible order of words and combination of thoughts in a reasonable way.

The world of words is one of the most complicated systems, which requires ingenuity to accomplish the highly important task to assemble, transmit and understand knowledge and information. The way language works, is that each persons' brain contains a lexicon of words and the concepts they stand for and a set of rules that combine the sentences to convey relationship among concepts, collect data and construct intelligence, knowledge and coherence of humankind.

The sheer vastness of language lies in the huge word chain stored in the human brain. Human species are capable of creating an unlimited number of distinct word combination from a finite set of elements. The stored and separate words are grouped into phrases, - like twigs joined in a branch. The small phrases can be joined into bigger ones to make sense, interact and provide information and knowledge. It is a distinctive and essential part of human cooperation and sharing awareness. That is how language functions. Therefore, it is the window to understand the human mind.

Since the language is central to human life in the following article, we aim at illuminating a brief sight of this phenomena in the means of media language, which is a clear example of modernisation and alteration.

Keywords: *article, headline, addresser, addressee, information, language, newspaper*

INTRODUCTION

Media language is a complex and sophisticated phenomenon. We often meet slang, jargon, new combinations in media language, which determine its style and form and distinguishes it from the spoken and literary language. Considering the above-mentioned it has a huge influence on human coherence it may affect human thought and the way of speaking. In the following article, we will discuss language units that are characteristic of media language and briefly answer the key question: How do media use different forms of language to convey information and ideas? How new language forms are created and take their place in the general language?

The main function of media is to draw the readers' attention to interesting and exiting plots and information relevant to their everyday interests. In the 21st century there is an avalanche of news from which individuals may make their own selections according to their personal taste, interest, views, and preferences that mass media provide them with. The quality and quantity of information we get permanently gives individuals a feeling of social identification and awareness of intellectual strength.[4]

Each form of media – television, radio, the internet, newspaper, as we'll see below shape our culture. As language is an aspect of our culture, is not an exception to the influence of media. Thus, nowadays we have a dominant media language, which is heard anywhere

and has the power to influence our everyday language. It has penetrated deeply in our society and exerts on every human being in that society. Hence, the influence of mass media on language development and creating and using new word combinations to express ideas and concepts are common and the development of language cannot be seen apart of the media itself. Therefore, the outline of the possible implications of the mass media regarding language development, with particular reference to the influence of press, television or other media sources.[8]

The main function of media language is to transmit messages and information. The media can act as a key source of forming new vocabulary, idioms, slang, jargon and different word combinations, as they show innovations and spread new shape of language. In this process, people absorb new vocabulary and using new ways to express their thoughts. Language systematically influences how one perceives and conceptualizes the world. And all of this knowledge of the language is about to connect the world and exchange and share the stored information and thoughts with the appropriate words, that are modernized over time and the media plays the principal role in this operation.

1. THE ARTICLE BEGINS WITH THE HEADLINE

No article in any newspaper is published without a headline in any country in the world. This is because, in the composition of newspaper publication, the headline performs a very specific, unique function. The headline should match the content of the publication; It should be concise, succinct and mind-boggling; It should arouse the interest of the reader to get acquainted with the article.

The headline is not abstract. It is one of the main elements of the whole complex subject. According to Kronrod it is a unit, separate form from the news item. Headline consists of elements, such as announcements, rubric, newspaper subject column, title, subtitle, tab in the text. If we take into consideration the perception phycology of the press, in the process of selecting the article, the headline plays a crucial role.[6]

In accordance with the theorists of journalism, the headlines just underline the problem in the article, and the attempt to solve this issue is given later in the same text; In some cases – the headline may be a thesis of the context contained in the text; In other cases – it is so-called code, the key of the text, which can be decrypted only after careful reading of the text.

In addition, newspaper headlines can be informative, nominative, emotional-evaluative, advertising, integrative, and composite. This listing may go even further, but as it is mentioned above, the headline is the most important part of the article. It should attract the readers' attention; the readers should be interested in the context of the article before they actually read the text; it separates the most significant context from the article and provides readers with preliminary information; the headline also makes it easier to understand the main topic of the article, for which it is written. The reader remembers the article through the headline; and the article that the reader memorizes by the headline, is considered to be influential.

It is beyond despite that in the XXI century, in an extremely busy atmosphere, a huge army of readers get the information from the headlines. Another very important issue, such as the compliance of the headline with the content of the article - is on the agenda; the interplay and interdependence of the headline and the article is a matter of concern.

2. THE LANGUAGE AND JOURNALISM

In recent decades, have undergone an unprecedented amount of changes. The speed of transmission has also increased and more and more viewers participate in it actively or passively, therefore it has seen wider public participation. 'Newspaper and television language' has been established and implies something between the literary and the professional jargon. The newspaper and television language and style in the modern condition alter the language we speak with. Based on the demands of the modern journalism, the journalist has to convey the information briefly, rationally, and shortly; to put in another way, they need to promote as much information as possible in a few words; This should be done at their earliest convenience.[1]

An abundance of information in the present times gives possibilities to the journalists to utilize the elements of the language that are relevant to the present-day situation. In the contemporary press, both foreign and Georgian reality, we often encounter jargon, slang, and neologisms. Journalists should be careful, when writing an article or making TV programme, to avoid such forms, which could be confusing for the audience.

Language is primarily an expression of culture and we can define the culture by the language it belongs to. Thus, we could not understand a particular culture without having direct access to its culture, because they have very special intimate connection. Language is also a measure of person's mental capacity. Language as a means of communication involves the art of conveying

thought correctly and concisely, as well as distorting or concealing (coding) the thought. Except the newspaper or television language, there is the language of literature, science, diplomacy, computer, justice, advertisement, gestures and mimics, music, cinema, architecture, and so on.[5]

From our history and modern age, the language caretakers knew well that declining the language means disappearing of the people speaking this language from the field of history. Therefore, language is the primary and foremost sign of nation's identification. It usually reflects social reality more plainly and swiftly than other system or events.

When we discuss of the relationship between language and journalism, we consider the following as one of the most acceptable explanations of language: language is what our thought will transform later, language is a clear expression of human thinking – it could be oral, written, gestures and mimics and so on. Scientists, who study human nature and human capacities agree that all normal human acquire language for communication, whereas the acquisition of even its basic rudiments is quite beyond the capacities of an intelligent ape. Consequently, human language appears to be a unique phenomenon, without significant analogue in the animal world. Hence, if we take scientific truth into consideration that bees, dolphins, dogs, beavers and all animals and birds can communicate with each other, then they also have the ability to think. If the way of thinking is primitive, it is natural that the means of expression would be primitive and scarce.[2]

One of the main functions of language is that it is the means of communication. There is the transmitter – speech apparatus (speech organ), which produces the sounds of language; and the receiver – listening apparatus (listening organ), that analysis transmitted and receiving information and gathering it in the brain. This information is the quite complex system of sounds, letters or other signs.

From the above mentioned, we can conclude that language is the interconnection of signs, sounds, words, sentences, text, what transforms human thoughts into speech.

As the Nobel Prize winner, Chinese novelist – Gao Xingjian (1999) said: 'The human need for language is not simply for the transmission of meaning, it is at the same time listening to and affirming a person's existence… Language is inherently not concerned with logic. As an expression of the psychological activities of humankind, it simply follows a linear process as it seeks actualisation. Moreover, it does not obey the objective concepts of time and space that belong to the physical world…'

Therefore, the journalist's knowledge and attitude towards the language is of great importance. The journalist must understand and comprehend the speech of politicians, artists, scientists and other public figures, and convey the meaning of the conversation to the audience as seamlessly as possible.

3. PRAGMATIC FUNCTIONS AND LEXICAL CATEGORIES OF NEWSPAPER LANGUAGE

As we know the article consists of paragraphs and these paragraphs make up the text. The paragraphs are related to each other and are arranged thematically.

The opinion of the author or writer should not be expressed. The reader or the listener should not hear the author's subjective opinion, but they must get accurate information about a particular case of fact. We can say that the purpose of the author is to convey the story objectively

The author of the article must take certain requirements into account. The addresser should write engagingly. To make the article interesting and attract readers' attention, the author or the addresser should consider the following:

1. The addresser should choose an interesting headline that appeals to the readers and listeners (addressees). It is the target of the author. The form and the content of the article depend on the addressee. It can be official (formal) and unofficial (informal);

2. The beginning of the article should be absorbing to enchant the audience. After reading the very first paragraph, the reader should be eager to peruse it;

3. The author should describe specific facts and events, not broad concepts or generalizations;

4. He must use relevant and compelling words and phrases with expressive adjectives and adverbs;

5. The article should include novelty;

6. The article should not be too long. It should have consequently good conclusion;

7. The addresser must consider the audience, to whom the article is intended. The age, the nationality, the interest of the reader should also be regarded. The author should take into account what the reader knows about the particular topic and what he needs to explain;

8. The author must be aware of the purpose of his/her article.[9]

The structure of the article should be the following: it must have a headline, paragraphs and conclusion. In the report, the discussion should focus on one particular topic and its title should be relevant to the context.

The conclusion of the article is as significant as the headline or the first paragraph. It must have some

necessary tips to be good and powerful:

1. Return to the theme in the introduction: it periphrases the introduction;
2. Make the disclaimers;
3. Purpose a course of action, a solution to the issue;
4. Ask a question;
5. Summarize the article;
6. Provide the reader with a sense of closure on the topic.[3]

In the article, we want to review is quite interesting and grabs the attention of the reader from the very beginning. Its headline is also catchy: ***'The vaccine hunters racing to save the world from the coronavirus pandemic.'***

The first paragraph is engrossing:

'In a laboratory in the depths of Imperial Collage London, all eyes are on a group of mice scurrying about their daily business. The rodents were injected a few weeks ago with a prototype vaccine which it is hoped will achieve what the world has so far singularly failed to do so far – stop the coronavirus Covid-19'.[10]

There is not the opinion of the author. He tells us about viral pneumonia without any single hint of his point of view. The language of this article is academic and diverse.

In the article, there are two subjects: the author of the article – addresser and the reader – addressee. We will give a brief review of the pragmatic functions and lexical categories which focus on newspaper language and the peculiarities of their use in the article. They are the following: ***location function, modality function, assessment function, emotional function and distance function.***

Generally, they distinguish objective and subjective modality. The objective modality is not characteristic to the literary text. The newspaper article, we are discussing about, is characterized by objective modality. The objective modality is a relationship between the described situation and the real fact.

The emotional function does not fit with the abovementioned article, because, as we mentioned the emotion of the author does not appear in the article. He does not express his feelings and emotion in the article. He gives an objective account of the event.

This article also does not apply to the function of distance, as the author himself is not involved in the story.

The addresser must consider his audience, which is the basis for the success of the communication act. In order to be interesting and effective, the language in the article should be informative, expressive and transparent. The mentioned article is a clear example of it.

The location function is found at the beginning of the article: '*In a laboratory in the depths of Imperial Collage London…*' and it is obvious where the event takes place.

In this article, two functional moments of expressiveness are combined together. The addresser tries to impact the addressees and attract their attention. As we mentioned, the article is communicative, clear and relevant, therefore it is effective and absorbing.

CONCLUSION

The following article reviews the linguistic and structural characteristic of media and the different functions that is attributive for newspaper language. As we discussed above, the media – press, television, newspaper did become a changing power of society and the way of communication. Therefore, it is conspicuous the mass media functions as a significant source of language changing. The result is media creates new words, makes prevailing words disappear, uses abbreviations and spreads the outcome on human language. However, the media brought various changes, the most obvious and crystal clear is the way people talk to each other due to modern technology and media influence.

The emergence of new technologies usually causes new words, In the case of news and media many existing words got new meanings, lot of new words that producing in this process, many informal types of spoken language catch our ear and become the part of everyday use without much effort. The media has changed the way we communicate, all of these changes none might be as influential as language changes. The media obviously created the new language and therefore caused a current chapter of language change.

It is clear, that the formation and alteration of a language eventually have political and economic causes, as well as technical development. It shapes our thoughts. We can merely say that if thought corrupt language, language can also corrupt thought. This modulation of language reflects existing social condition, words and constructions that take its path to the human brain through the media.

For the reason language focus on creativity and productivity, it is not unexpected that language is constant renewal and the acquisition of new terms and combinations often does not require much commitment of time and it often occurs unaccountably, without reasoning. And all these huge data of world of the words are gathered in the human memory, which later expressed as sentences, opinions, information and knowledge. So the language is the window to the human mind.

REFERENCES:

1. Aitchison, Jean, Diana M. Lewis – 'New Media Language', Routledge – 2003.
2. Chomsky, Noam – 'Language and Mind, Linguistic Contributions to the Study of Mind', 1968.
3. Fleming, Grace – 'How to Write a News Article That's Effective', 2019.
4. Gerber, George – 'Mass Media Discourse: Message System as a Component of Cultural Independence, 1988.
5. Guessabi, Fatima – 'Blurring the Line Between Language and Culture', Language Magazine, 2018.
6. Knordor, Ann – 'Accessibility Theory and Referring Expression in Newspaper Headlines'; Journal of Pragmatics, 2001.
7. Kokoros, Teddy – 'Mass Media and its Effect on Language Maintenance and Acquisition', 2018.
8. Willie, Michael – 'The Mass Media and Language Development'; Tasmanian College of Advanced Education, 1979.
9. Koridze, Teimuraz – 'Conversations About Journalism', Tbilisi,2010.

The Independent – 'The Vaccine Hunters Racing to save the World from the Coronavirus Pandemic', by Joe Shute, 2020.

ჟურნალისტიკის ენა და მისი შეცვლის მიზეზი

თამარ ქარაია
ევროპული ენისა და თარგმანის მაგისტრი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

მედიის ენა ძლიერია. იგი ახალი ამბების გადმოცემის ერთ-ერთი საშუალებაა და სიტყვების ნაკადი არის არა მხოლოდ მეხსიერების ბიძგი, მაგრამ ამავდროულად, იგი ხაზს უსვამს ჰომო საპიენსის უნიკალურ შესაძლებლობას იდეა გონებიდან გონებას მყისიერი და პრაქტიკული გზით გადასცეს და შექმნას სიტყვებისა და კომბინაციის ზუსტი წყება აზრების გონივრულად გადმოცემის საშულებით.

სიტყვების სამყარო ერთ – ერთი ყველაზე რთული სისტემაა, რომელიც მოითხოვს დიდ ინტელექტს ინფორმაციის შეკრების, გადაცემისა და გაგების თვალსაზრისით. ენის ფუნქციონირების გზა, არის სწორედ ის, რომ თითოეული ადამიანის ტვინი შეიცავს სიტყვათა ლექსიკონს და ცნებებს რომელსაც იგი წარმოადგენს, აგრეთვე ეს არის წესების ერთობლიობა, რომელიც თავს უყრის წინადადებებს რათა წარმოაჩინოს აღნიშნულ ცნებებს შორის არსებული დამოკიდებულება. ენის საშუალებით ასევე ხდება მონაცემთა შეგროვება და კაცობრიობის ინტელექტის, ცოდნისა და ცნობიერების ფორმულირება.

ენის უნივერსალურობა ადამიანის ტვინში დაცულ უზარმაზარ სიტყვით ჯაჭვში მდგომარეობს. ადამიანებს შეუძლიათ შექმნან სიტყვების ზუსტი კომბინაციის უსასრულო რაოდენობა ელემენტების სასრული წყობიდან. ერთიანი და ცალკეული სიტყვები იყოფა ფრაზებად, ისევე როგორც ხის ტოტები. მცირე ფრაზები უერთდება უფრო დიდი ფრაზებს და იქმნება წინადადებები, რათა მოხდეს ინფორმაციისა და ცოდნის გადაცემა. ეს არის ადამიანური თანამშრომლობისა და ცნობიერების გაზიარების გამორჩეული და არსებითი ნაწილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესა არის ენის მოქმედების ძირითადი ფუნქცია. მაშასადამე, იგი არის ადამიანის გონების შეცნობის მთავარი წყარო.

რადგანაც, ენა წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილს, მოცემულ სტატიაში, ჩვენი მიზანია ამ ფენომენის მოკლედ აღწერა მედიის ენაზე დაყრდნობით, რაც ენის მოდერნიზაციისა და შეცვლის ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: სტატია, სათაური, მისამართი, ადრესატი, ინფორმაცია, ენა, გაზეთი.

ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა — 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;
3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება — 10 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.loi.ge
tel: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.
3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.
4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari) or 5 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE61HB0000000000713602, "Halyk Bank Georgia", central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

www.neweconomist.ge
E-mail: editor@neweconomist.ge